სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 25 ივნისი 1999 №118 (891) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

3 გზა გამოჩნდა

ლევან კობიაშვილის თქმით, იოჰან ბოსკამპმა საქართველოს ნაკრები მნიშვნელოვნად შეცვალა

4 ფედერაციამ კალენდარი შეადგინა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ახალი ჩემპიონატის კალენდარი შეადგინა და ახლა სტადიონების მზადყოფნასაც ამოწმებს

6 ნატომ ფიორენტინა გააძლიერა

„რეალზე“ ნაწყენი პრედრაგ მიატოვიჩი ფლორენციაში გაიხიზნა

8 ევროპის საკალათბურთო ჩემპიონატზე ორდღიანი ზავია

EUROBASKET 99 FRANCE

ხვალიდან ბრძოლას 12 გუნდი განაახლებს

14 აზოტი — ვითა 2:1 სიუჟეტი გამძაფრდა

ორი უცნობი შესვენებაზე მსაჯს დაემუქრა

„აზოტი“—„ვითას“ გუშინდელი მატჩის შესვენება ჩვეულებრივზე დიდხანს გაიწელა. გასახდელიდან დაბრუნებული ერთ-ერთი მსაჯი მურმან ქურიძე კატეგორიულად მოითხოვდა უსაფრთხოების გარანტიას. მსაჯებს თუ არ დაგვიცავთ, შეხვედრას არ გავაგრძელებთო — ამბობდა ქურიძე.

ხმები დაირხა და მოგვიანებით „სარბიელს“ „აზოტის“ მთავარმა მწვრთნელმა ოთარ ხმელიძემაც განუცხადა, რომ ამის მიზეზი მსაჯებზე ზეწოლა, უფრო მეტიც, მუქარა ყოფილა. ქურიძეს დანით აშინებდნენო — გვითხრა ხმელიძემ.

მომხდარის თაობაზე თავად მურმან ქურიძის კომენტარი ასეთი გახლავთ:

— შესვენებაზე გასახდელისკენ მივდიოდი, როცა ორი უცნობი ახალგაზრდა მომიახლოვდა. ერთ-ერთი წინ გადამიდგა და მუქარით მითხრა: „წესიერად იმსაჯე, თორემ საქმე ჩვენთან გექნება“. ვინ ხართ-მეთქი, ვკითხე, მაგრამ უცებ ხალხში გაუჩინარდნენ. ახლაც არ ვიცი, ვინ იყვნენ, ვერც ის გავიგე, რომელი გუნდის ინტერესი ამოძრავებდათ...



იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი

შესვენებაზე ქურიძე უსაფრთხოების გარანტიას ითხოვდა



ვერაგ დოლელიძისა და ფოტოები

აზოტი — ვითა 65:78. ვითელი ჩუბინიძის (ბურთით) აქტიურობას ამ მატჩში დიდი დავა-კამათი მოჰყვა

გერმანელები ისევ მოდიან

REUTERS ლონდონიდან

ბორის ბეკერმა ნიკოლას კიფერს ხეზე ასვლა არ ასწავლა

რა აკლია ჯერჯერობით უიმბლდონს? ტრადიციული წვიმა და სენსაციები. ავდარი ღმერთმა არა ქნას, სენსაციების დეფიციტს კი დრამატულ შეხვედრათა სიჭარბე ავსებს. ერთ რამედ ღირდა იმის ცქერა, როგორ მოინელა შტეფი გრაფმა კიდევ ერთი გოლიათი, ანაც, როგორ წაიტეხა კისერი კარლოს მოიამ „კლდეზე“. ამ ამბებს მეათე გვერდზე წაიკითხავთ, წუხელ კი ცენტრალურ კორტზე შეკრებილი რჩეული პუბლიკა უიმბლდონის სამგზის ჩემპიონმა და საპენსიოდ გამზადებულმა ბორის ბეკერმა ასიამოვნა. დიდმა გერმანელმა თავისი ნაშეგირდალი ნიკოლას კიფერი ისე მწარედ დაკბინა, როგორც ბებერმა გერმანულმა ნაგაზმა თავხედი ლეკვი — 6:4, 6:2, 6:4.

გიორგი ქინქლაძე ახალი კლუბის მოლოდინში

სელტიკი ქინქლაძის შეძენაზე ყოყმანობს

შოტლანდიელებს გამთამაშებლად უფრო სლოვაკი იოჟეფ მაიოროში ესახებათ

ოთხშაბათის „დეილი მეილმა" ამსტერდამის „აიაქსის" მიერ ტრანსფერზე დაყენებული გიორგი ქინქლაძის ახალი მსურველი „გამოააშკარავა" — ცნობილი შოტლანდიური გრანდი გლაზგოს „სელტიკი". თუმცა გუშინ შვებულებიდან დაბრუნებულმა „სელტიკის" მენეჯერმა, კენი დალგლიშმა, ამ ინფორმაციის კომენტარისას გლაზგოს გოლფკლუბში მხოლოდ მხრები აიჩეჩა.

ხმები ქინქლაძის შესაძლო ტრანსფერის შესახებ შოტლანდიელი კათოლიკეების უსაყვარლეს კლუბში მას შემდეგ დაირხა, რაც „სელტიკმა" ზაგრების „კროაციადან" ნაყიდი ავსტრალიელი მარკ ვიდუკა ტრანსფერზე დააყენა.

ოთხშაბათის „დეილი მეილის" ინფორმაციაში სწორედ ეს აზრი იყო გატარებული: ვიდუკაში აღებული ფულით „სელტიკი" ნახევარდაცვის გაძლიერებას შეეცდება, ამ ადგილზე კი აიაქსელი ქინქლაძე კარგი კანდიდატიაო.

ჯერჯერობით სქოთებს ნახევარდაცვისთვის არ სცალიათ: კლუბის თავმჯდომარე, ცნობილი შოტლანდიელი ბიზნესმენი ალან მაკდონალდი ფულს ახალი მეკარეების, მცველებისა და თავდამსხმელების შესაძენად გამოყოფს.

„სელტიკმა" მილიონად უკვე იყიდა „ჩელსის" რუსი მეკარე დმიტრი ხარინი, „ნიუკასლიდან" გადაიყვანა მეკარეების მწვრთნელი ტერი გენოე და ახლა „ნიუკასლის" ყოფილ მეკარეს, ირლანდიელ შეი გივენსაც ელაპარაკება.

„სელტიკის" მენეჯერებმა მარცხენა მცველის პოზიციაზე უკვე შეარჩიეს ფრანგული „მონაკოს" წევრი — ლილიან მარტინი. ასევე დაცვის ხაზისთვის ამოირჩიეს „სანდერლენდის" 20 წლის მოთამაშე მაიკლ ბრიჯესი.

თავდასხმის გასაძლიერებლად კი მზად არიან, ბულგარელ თინეიჯერ სტილიან პეტროვში 2 მილიონი გირვანქა გადაიხადონ. „ვესტ ჰემს" კი 5 მილიონ გირვანქას სთავაზობენ ისრაელის ნაკრების წევრ ეიალ ბერკოვიჩში.

ამ ფეხბურთელთა შესაძენად მხოლოდ კენი დალგლიშისა და ალან მაკდონალდის თანხმობაღაა საჭირო. დალგლიში მხოლოდ გუშინ დაბრუნდა შვებულებიდან. მაკდონალდი კი ჯერ კიდევ ისვენებს.

რაც შეეხება ნახევარდაცვას, ამ მიმართულებით კლუბში კვლავ უძრაობაა. თუმცა გუშინდელი შოტლანდიური „დეილი რეკორდის" ცნობით, „სელტიკი" სერიოზულად დაინტერესდა 29 წლის სლოვაკეთის ნაკრების გამთამაშებლით, იოჟეფ მაიოროშით. თავად მაიოროშის თქმით, იგი უკვე ელაპარაკა „სელტიკის" წარმომადგენლებს ბრატისლავაში. მაიოროშს რეკომენდაცია „სელტიკის" ყოფილმა მწვრთნელმა იოჟეფ ვენგლოშმა გაუწია. გლაზგოს „სელტიკი" მზადაა, სლოვაკში 800 ათასი გირვანქა გადაიხადოს.

ვის აირჩევს საბოლოოდ დალგლიში, მომავალი კვირის ბოლოსთვის იქნება ცნობილი. ქინქლაძის ტრანსფერის განხორციელებას ისიც უშლის ხელს, რომ ჯერჯერობით „ტოტენჰემი" და „ვესტ ჰემი" ავსტრალიელი ვიდუკას მიმართ მხოლოდ ინტერესს იჩენენ. ამ ტრანსფერის განხორციელების გარეშე კი „სელტიკი" უბრალოდ ვერ შესწვდება „აიაქსის" ქართველი ნახევარმცველის ფასს.

სიმონ მენაბდე

საქართველოს მოქალაქეთა ახალგაზრდული კავშირი
25 ივნისს გიწვევთ მინი-ფეხბურთის ტურნირის

საქართველოს ახალგაზრდობის თასის

ფინალზე. ერთმანეთს ხვდებიან საბურთალოს სმკ-ი და თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის „აჭარის" გუნდი. მატჩი შედგება სპორტკომპლექს „ქარიშხალაში".

დასაწყისი 20.30 საათზე

მერსედესი, მწვადი და... გოგონები

„სარბიელის" ტრადიციული გამოკითხვის შედეგად ქართველმა სპორტულმა ჟურნალისტებმა 1998-99 წლების სეზონის საუკეთესო ფეხბურთელები დაასახელეს. საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და კიევის „დინამოს" მცველ კახა კალაძეს მეორე ადგილი ერგო.

— აღიარებისთვის ყველასი დიდი მადლობელი ვარ — გვითხრა კალაძემ, როცა გამოკითხვის შედეგები ვამცნეთ. შემდეგ თავის სამომავლო გეგმებზე გვესაუბრა. ამ ზაფხულს ძალიან სერიოზული მზადება მელის კლუბთან ერთად და იქნებ საქართველოში ჩამოსვლა ვერც მოვახერხოო — თქვა კახამ სინანულით.

მუდამ ვარჯიშები და შეკრებები, ოჯახიდან მოწყვეტა, თავისუფალი დროის დეფიციტი — ასეთია პროფესიონალი ფეხბურთელის ხვედრი. 21 წლის კალაძემ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში ითამაშა. ლიგის გათამაშებაში ორი გოლი გაიტანა. ამხანაგურ შეხვედრაში „სან სიროზე" სახელგანთქმულ „მილანს" საჯარიმოდან ბრწყინვალე დარტყმით შეურხია კარის ბადე...

მოდით, ცოტა დავისვენოთ ფეხბურთისგან. ვინ არის კახა კალაძე ფეხბურთს გარეთ? რითი ერთობა? რა უყვარს? რას კითხულობს?... გთავაზობთ უკრაინულ პრესაში სულ ახლახან გამოქვეყნებულ ინტერვიუს კახა კალაძესთან.

კახა კალაძე მიუნხენის „ბაიერნის" კარში გოლის გატანას ზეიმობს

სარბიელის არქივიდან

— ბავშვობაში რაზე ოცნებობდით?

— ფეხბურთელობაზე. თანაც ექვსი-შვიდი წლიდან. ჯერ კიდევ მაშინ მეუბნებოდა მამა: „კახა, შენ ფეხბურთელი იქნები". ისიც ფეხბურთელი იყო და მის გზას გავყევი.

— ვინ არის თქვენი საუკეთესო მეგობარი?

— მამაჩემი. კარლო კალაძე.



კახი კალაძე „რეალის" ჰოლანდიელ კლარენს ზეედორფს გაურბის

სარბიელის არქივიდან

— რა მანქანით დადიხართ?

— „მერსედესის" ფირმის ჯიპით. ისე, კიდევ ორი მანქანა მყავს.

— ვის შეუძლია კალაძეს სიცილისგან ცრემლები ადინოს?

— გუნდში — ხაცკევიჩს და რებროვს. საერთოდ მიყვარს იუმორი და ჩემი გაცინება არც ისე რთულია.

— რომელ საქციელს ნანობთ?

— ასეთი არ მახსოვს.

— იქნებ, სკოლაში?...

— ძალიან მოწესრიგებული მოსწავლე ვიყავი... ყველაზე ცუდად, ალბათ, მაინც თვენახევრის წინათ მოვიქეცი. ივანო-ფრანკოვსკში „პრიკარპატიესთან" შეხვედრაში, ერთ-ერთ ეპიზოდში, ორთაბრძოლის მომთავრების შემდეგ მოწინააღმდეგეს ფეხში მივარტყი მწარედ.

— მგონი, ყვითელი ბარათიც დაიმსახურეთ?

— დიახ. ისე, მსაჯმა შეგვიბრალა მეც და გუნდიც, თორემ აშკარად გაძევებას ვიმსახურებდი...

— კალაძის საყვარელი კერძი და სასმელი...

— მწვადი და „კოკა-კოლა".

— სპირტიანი სასმელებიდან?

— იცით, არავინ მიჯერებს, როცა ვამბობ, რომ ცხოვრებაში ერთხელაც არ გამისინჯავს ალკოჰოლის გემო. მერწმუნეთ, ეს სიმართლეა.

— თქვენი ჰობი?

— მანქანის საჭესთან ჯდომა. ძალიან მსურს, ბევრი ლამაზი ავტომობილი მყავდეს.

— ყველაზე უფრო რომელი კითხვა გაღიზიანებთ?

— „რატომ წააგეთ „ბაიერნთან?"

— ვის გაცნობას ისურვებდით?

— კოტე მახარაძის.

— კიევის „დინამოს" 70-ე წლის იუბილეს საზეიმო ცერემონიალზე შეგნიშნეთ, მასთან საუბრობდით. თანაც ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ ადრინდელი ნაცნობები იყავით.

— თბილისის „დინამოში" თამაშისას ერთხელ ბატონი კოტე ბაზაზე გვესტუმრა, კიევში შეხვედრისას კი სტუმრად დავპატიჟე და დიდხანს ვილაპარაკეთ.

— კახა კალაძეს უყვარს...

— გოგონები.

— არ უყვარს...

— წაგება.

— რა არის თქვენი არასაფეხბურთო ოცნება?

— მშვიდობა ჩემს სამშობლოში. არასოდეს იყოს ომი.

— ტელევიზორში როგორი ხასიათის გადაცემებს უყურებთ?

— ოურტეს ერტეერის და ენტევეს მუსიკალურ პროგრამებს. აგრეთვე „ბოევიკებს".

— თქვენი საკითხავი...

— ახლა მეორეჯერ ვკითხულობ ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიას". ამ წიგნიდან ბევრი ცხოვრებისეული გამოცდილების მიღება შეიძლება. რეგულარულად ვათვალიერებ გაზეთ „კამანდას", პერიოდულად კი ყოველკვირეულ გამოცემა „ფუტბოლს". ვსწავლობ ინგლისურს.

— ყველაზე მეტად რა განიჭებთ სიამოვნებას?

— მოგება ფეხბურთში.

— მეგობარ გოგონაში რა გიყვართ ძალიან?

— ასეთი არავინ მყავს.

— როცა გეყოლებათ?

— ჰოდა მაშინ შევიყვარებ.

— როგორი იქნება იგი?

— ალბათ ლამაზი, მხოლოდ კარგი ქცევებით გამორჩეული.

— შვებულების გატარებას სად ისურვებდით?

— რა თქმა უნდა, თბილისში, მეგობრებთან ერთად.

— თქვენი საყვარელი ანეკდოტი?

— მოსკოვის „დინამოს" ყოფილი მცველის იური კოვტუნის შესახებ კარგად მოგეხსენებათ. თუ გახსოვთ, რუსეთის ეროვნული ნაკრებისა და კლუბის შემადგენლობაში კოვტუნმა ზედიზედ გაიტანა ავტოგოლები. ჰოდა, ხვდება ერთმანეთს „დინამოს" ორი გულშემატკივარი და ერთი ეკითხება მეორეს.

— აგარაკზე ვიყავი. ხომ არ იცი, რა ქნეს ჩვენებმა?

— ეჰ, 0:3 წააგეს...

— კოვტუნმა გაიტანა?...

გაზეთი „კამანდა" 21 ივნისი



გასულ სეზონში გერმანიის ჩემპიონატში ქართველი გულშემატკივრები ერთ გუნდს განსაკუთრებით ქომაგობდნენ. შარშან ზაფხულს პირველ ბუნდესლიგაში ხელახლა აღზევებულმა „ფრაიბურგმა" ჩემპიონატი ერთი ქართველი ლეგიონერით დაიწყო და სამით დაასრულა. ალექსანდრე იაშვილმა მარტომ სულ სამი თამაში ჩაატარა, სექტემბრის დასაწყისში კი მას ლევან კობიაშვილიც შეუერთდა (იანვარში ცქიტიშვილის მისვლის შემდეგ ქართული დუეტი, ტრიოდ გადაიქცა). ბუნდესლიგაში კობიაშვილის დებიუტი მეოთხე ტურში მიუნხენის „ბაიერნთან" საშინაო მატჩში შედგა. ლევანმა მრისხანე ბავარიელების წინააღმდეგ ისე ითამაშა, უმალ მთავარი მწვრთნელის, ფოლკერ ფინკეს, ნდობა დაიმსახურა. მას შემდეგ კობიაშვილი ძირითადი შემადგენლობის წევრი გახდა, იაშვილის ტრავმის მერე კი „ფრაიბურგის" ლიდერადაც მოგვევლინა. სწორედ მისი ფლანგური გარღვევების შედეგად გაჰქონდათ თავდამსხმელებს გოლების უმეტესობა.

კობიაშვილმა, ისევე როგორც სხვებმა, ნაკრებში კლუბისგან განსხვავებით, შედარებით სუსტად ითამაშა. მიუხედავად ამისა, ქართველ ქომაგებს 22 წლის ფეხბურთელის კვლავაც სწამთ და ეიმედებათ. ამჟამად ლევან კობიაშვილი თბილისშია, თუმცა სულ მალე ლევან ცქიტიშვილთან ერთად გერმანიისკენ აიღებს გეზს. ივლისის დასაწყისში „ფრაიბურგი" სამივე ჩვენებურთან ერთად მომავალი სეზონისთვის დაიწყებს მზადებას. გუნდს წლეულსაც მძიმე სეზონი ელის. ბუნდესლიგაში გამობრძმედილი და დაღვინებული ქართველებიც, იმედია, ნაკრებს გამოადგებიან. წასვლამდე ცოტა ხნით ადრე კი ლევან კობიაშვილს შევხვდით და ინტერვიუ ჩამოვართვით, რომელიც, ცხადია, საქართველოს ეროვნულ ნაკრებზე საუბრით დავიწყეთ, რადგან ჩვენი უპირველესი საწუხარი სწორედ ისაა.

ლევან კობიაშვილი: ამ გზას სწორად უნდა გავყვეთ

— ვფიქრობდით, კენჭისყრამ იოლი ჯგუფი გვარგუნა. ფეხბურთელებსაც და მწვრთნელებსაც ევროპის ჩემპიონატის ფინალურ სტადიაზე მოხვედრა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი გვეგონა, მაგრამ ყველაფერი სხვაგვარად მოხდა. თავადაც ნახეთ, ერთი მეტოქეც არ აღმოჩნდა ხელწამოსაკრავი და საბოლოოდ ასეთი სავალალო შედეგიც მივიღეთ. ჩვენს ასეთ ცუდ გამოსვლას სხვა მიზეზებიც ჰქონდა, მაგრამ ახლა ამაზე მსჯელობა ძნელია, რადგან ყველაფრის გასაანალიზებლად დროა საჭირო.

— ალბათ, ერთ-ერთი მიზეზი მოუნდომებლობაც იყო. გარედან ისე ჩანდა, თითქოს გუცაევის ხელში უფრო ინერტულად თამაშობდით. ახლა კი სხვაგვარადაა. ბერძნებთან მარცხის მიუხედავად, გულშემატკივრებს ერთგვარი კმაყოფილების გრძნობა დაეუფლათ, რადგან მინდორზე დაინახეს გუნდი, რომელიც ბოლომდე იბრძოდა.

— ძნელია ასე ლაპარაკი. თუ გახსოვთ, გუცაევის დროს ერთი პერიოდი ზედიზედ რამდენიმე შეხვედრა წაუგებლად ჩავატარეთ, თუმცა შემდეგ ისე აეწყო, მარცხს მარცხზე განვიცდიდით. არც ვიცი, რას დავაბრალო ეს ყველაფერი. იმაში კი გეთანხმებით, რომ ნაკრების ბოლო თამაში წინა შეხვედრებისგან ძალიან განსხვავდებოდა. ბოსკამპის მოსვლამ გუნდი მნიშვნელოვნად შეცვალა.

— მაინც რა შეცვალა ბოსკამპმა, რითი განსხვავდება იგი წინამორბედებისგან?

— ამაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევი მგონია. ბოსკამპს ისე არ ვიცნობ, რომ მის დადებით და უარყოფით მხარეებზე ვისაუბრო. თუმცა ძლიერი და საქმის მცოდნე მწვრთნელი რომ ჩანს, ფაქტია. მასთან სულ ერთი კვირა მომიწია მუშაობამ და როგორც დავასკვენი კარგი სპეციალისტი უნდა იყოს. ისე, როგორი ძლიერი მწვრთნელიც არ უნდა ჰყავდეს ნაკრებს, ბევრი რამ მაინც ფეხბურთელებზეა დამოკიდებული. საქმეს ჩვენც პროფესიულად უნდა მივუდგეთ. რაც მთავარია, რაღაც გზა გამოჩნდა და ახლა მას სწორად უნდა გავყვეთ. ასე თუ მოხდა, ვფიქრობ, საქართველოს ნაკრებსაც ეშველება და მთლიანად ქართულ ფეხბურთსაც. წინააღმდეგ შემთხვევაში მდგომარეობა არ გამოსწორდება.

— საერთოდ „ფრაიბურგში" თითქმის ყველა სტანდარტულს შენ ასრულებ, ნაკრებში სხვაგვარადაა. ყოველთვის განზე დგები...

— ეს ჩემს სურვილზე არ არის დამოკიდებული. „ფრაიბურგში" მწვრთნელმა დამავალა ეს, მისი თქმით, ყველა ჯარიმა თუ კუთხური მე უნდა შევასრულო, ნაკრეში კი საქმე სხვაგვარადაა. ეს თუ არ დაგავალეს, შენი სურვილით ვერ გააკეთებ.

— „ფრაიბურგზეც" ვთქვათ, ბოლო ტურის შემდეგ „ნიურნბერგი" და მისი მწვრთნელი ფრიდელ რაუში, ალბათ, სამკვდროსასიცოცხლოდ გადაიკიდეთ. მთელი მატჩის განმავლობაში რაუში და ფინკე საკმაოდ ხშირად ესაუბრებოდნენ ერთმანეთს, რამაც არცთუ უსაფუძვლო ეჭვები აღძრა.

— მაშინ შეუძლოდ ვიყავი და ამიტომ ვერ ვითამაშე. მატჩს ტრიბუნიდან ვუცქერდი და ისე ვიყავი მასში ჩართული, ყურადღება არც მიმიქცევია. ამიტომ ვერ გეტყვით, რა საუბარი ჰქონდათ მწვრთნელებს. მე პირადად გამორიცხული მგონია ის, რომ თამაში ჩაწყობილი ყოფილიყო. ბუნდესლიგაში ასეთი რამეები არ ხდება. თანაც რატომ უნდა დათანხმებოდა ჩვენი ხელმძღვანელობა ფრეზე, ამ შემთხვევაში ხომ ვვარდებოდით ლიგიდან. თამაშის შემდეგ ნიურნბერგელები მართლაც აღშფოთებულნი იყვნენ, მაგრამ თავიანთი თავის მიმართ. მათ პირველ ბუნდესლიგაში დარჩენის ყველაზე მეტი შანსი ჰქონდათ, მაგრამ ვერ გამოიყენეს. ისევ მინდა გავიმეორო, რომ ჩაწყობის ფაქტს მე ასი პროცენტით გამოვრიცხავ.

— მეორე წრისგან განსხვავებით, პირველში „ფრაიბურგმა" მშვენივრად ითამაშა, ცხრილის შუაგულშიც დამკვიდრდა, გავარდნაც არ გემუქრებოდათ, მაგრამ საბოლოოდ ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდით.

— პირველ წრეში მართლაც კარგად გამოვედით, საკმაო რაოდენობის თამაშებიც მოვიგეთ, მაგრამ მეორეში მდგომარეობა გაგვირთულდა. ამას ძირითადად ორი ფაქტორით ავხსნიდი. ერთი ის, რომ გუნდში ძალიან მოგვიმრავლდნენ ტრავმირებული ფეხბურთელები, ყველა მატჩში ამ მიზეზით რამდენიმე წევრი გვაკლდა. რამაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ჩვენს თამაშზე. მეორე წრეში წარუმატებელ თამაშს კი უფრო მეტად მაინც გამოუცდელობას დავაბრალებდი. „ფრაიბურგში" ხუთი-ექვსი კაცი გვყავდა ისეთი, ვისაც შესაბამისი გამოცდილება ჰქონდა. სხვები კი გამოუცდელნი ვიყავით. თავიდან ჩვენი მონდომებით რაღაცას კი მივაღწიეთ, მაგრამ ბოლომდე ასე ველარ გავაგრძელეთ და მეორე ბუნდესლიგის ზღურბლზეც აღმოვჩნდით.

— თქვენი დარჩენა ძირითადად ზედიზედ ორმა გამარჯვებამ განაპირობა. ჯერ „კაიზერსლაუტერნს" მოუგეთ სტუმრად, მერე კი „აინტრახტს" სძლიეთ შინ. არადა, ამ ორ მოგებას წარუმატებლობის გრძელი სერია უსწრებდა წინ. როგორ შეძელით მობილიზება?

— ეს ძირითადად ფინკეს დამსახურება გახლდათ, რომელსაც მატჩის წინ გუნდის სათანადოდ განწყობის უჩვეულო უნარი აქვს. „ლაუტერნთან" თავიდანვე გასამარჯვებლად ვიყავით შემართულნი. საბედნიეროდ, მოვიგეთ კიდეც, რამაც რწმენა დაგვიბრუნა. ამას მოჰყვა შინ ჯერ „აინტრახტის" ძლევა, შემდეგ — „გლადბახისა", ბოლოს კი „ნიურნბერგსაც" მოვუგეთ, თუმც ამ მატჩებს შორის მარცხებიც ვიწვნიეთ.

— გასულ სეზონში ერთხელ გაგაძევეს. „ვერდერთან" საშინაო მატჩის 30-ე წუთზე საჯარიმოში წაიქეცით, მსაჯმა კი სიმულაციისთვის მეორე ყვითელი ბარათი გიჩვენათ. ალალად თქვით, პენალტზე ითამაშე?

— იმ ეპიზოდში ჯარიმა ნაღდად არ იყო, თუმცა როცა საჯარიმოში შევედი, პენალტზე სულ არ ვფიქრობდი. ისე მოხდა, რომ დავეცი, მეტოქე ფაქტობრივად არც შემხებია, ამიტომ თერთმეტმეტრიანზე საუბარი ზედმეტი იყო, თუმცა არც უნდა გავეძევებინე. ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი იყო და 30-ე წუთზე მსაჯს ასეთი მკაცრი გადაწყვეტილება არ უნდა მიეღო.

— ფინკე „ფრაიბურგში" ძალიან ხშირად გიცვლიდათ ადგილს. ჯერ მარცხენა მცველი იყავით, მერე ნახევარმცველი, ბოლოს კი საყრდენად დაგაყენათ. რა იყო ამის მიზეზი?

— თავიდან მარცხენა მცველად დავიწყე თამაში, თუმცა შეტევებშიც ხშირად ვერთვებოდი. ცქიტიშვილის მოსვლის შემდეგ მწვრთნელმა ადგილი შემიცვალა, მარცხენა მცველად ლევანი განამწესა, მე კი ნახევარდაცვაში წამწია. ბოლოს კი საყრდენად დამაყენა. საბოლოოდ ამ პოზიციებზე ჩვენი თამაშით კმაყოფილი დარჩა და სეზონის ბოლომდე ასე დაგვტოვა.

— თქვენ რა ადგილს გირჩევნიათ თამაში?

— ჩემთვის ამას პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს. სულ ერთია, მარცხნივ ვითამაშებ, თუ ცენტრში, ყოველთვის ვეცდები ჩემი საქმე ბოლომდე გავაკეთო. მწვრთნელმაც გვკითხა მე და ცქიტიშვილს, სად გირჩევნიათ თამაშიო. მაგრამ არჩევნის საშუალება თავად მას მივეცით.

— გუნდის თამაშზე, ალბათ, იაშვილის ტრავმამაც დიდი გავლენა იქონია.

— იაშვილის არყოფნა მართლაც ძალიან დაგვეტყო. უმისოდ გოლის გატანა ძალიან გვიჭირდა. ბევრ მომენტს ვქმნიდით, მაგრამ ბურთს ვერ ვიტანდით. აშკარად ჩანდა, მაღალი კლასის თავდამსხმელი არ გვყავდა. არადა, სანამ იაშვილი თამაშობდა, გოლის გატანის პრობლემა არ გვქონდა. ჩემპიონატის დასაწყისში რამდენიმე თამაში რომ მოვიგეთ სწორედ მისი დამსახურება გახლდათ.

— ცქიტიშვილი იანვარში შემოგიერთდათ, გუნდთან შეგუება ხომ არ გაუჭირდა?

— როცა შუა სეზონში ახალი ფეხბურთელი მოდის, შეგუება ყოველთვის უჭირს, თუმცა ლევანს „ფრაიბურგში" ჩვენ დავხვდით და ეს პერიოდი გარკვეულწილად შევუმსუბუქეთ. მას გუნდესლიგასთან შეგუება უფრო გაუჭირდა, ვიდრე გუნდთან. ეს გასაკვირი არც არის. გერმანიის ჩემპიონატი ხომ ერთ-ერთი უძლიერესია მსოფლიოში. თუმც, როგორც სეზონის მიწურულმა გვიჩვენა, ცქიტიშვილმა ბუნდესლიგას ალღო აუღო.

— გერმანული ენის არცოდნა გარკვეულ პრობლემებს შეგიქმნიდათ.

— თავიდან ძალიან გაგვიჭირდა, მაგრამ თანდათანობით ვითვისებთ გერმანულს. მასწავლებლებიც გვყავს აყვანილი. ასე რომ, უახლოეს მომავალში ენობრივი პრობლემები აღარ გვექნება. მანამდე კი ჩვენი მშველელი ალექსანდრე იაშვილია, რომელიც გერმანულს ჩინებულად ფლობს.

— ყველაზე მეტად ქართველები ვისთან მეგობრობთ?

— ბევრთან ვმეგობრობთ, განსაკუთრებით ახლოს კი მარკო ვაისჰაუპტთან და კაპიტან ტორბენ ჰოფმანთან ვართ. ეს უკანასკნელი ახლახან „ლევერკუზენმა" შეიძინა. სხვებთანაც კარგი ურთიერთობა გვაქვს.

— როგორც ვიცით, გასულ სეზონში თბილისის „დინამომ" გაგანათხოვრათ „ფრაიბურგში". ახლა როგორაა საქმე, ვისი საკუთრება ხართ?

— ამჟამად მთლიანად „ფრაიბურგს" ვეკუთვნი. გერმანელებთან კონტრაქტი კი 2000 წლის ივნისამდე მაქვს. „ფრაიბურგში" კიდევ ერთი წელი დავრჩები, მერე ვნახოთ, რა იქნება.

— ხმები დადის, თითქოს „ფრაიბურგს" კიდევ ერთი ქართველის შეძენა სურს.

— ამასთან დაკავშირებით ვერაფერს გეტყვით. არდადეგებზე წამოსვლის შემდეგ გერმანელებს არც მე დავკავშირებივარ და არც თვითონ შემხმიანებიან. ამიტომ გუნდში რა ხდება, არ ვიცი.

— შარშანდელი სეზონის წინ ფინკე სულ იმას ამბობდა, ჩვენი მიზანი მე-15 ადგილზე გასვლააო, ახლა რას ისახავთ მიზნად?

— გასულ ჩემპიონატში ჩვენი უმთავრესი მიზანი ლიგაში ადგილის შენარჩუნება გახლდათ. გასაკვირი არც არის, რადგან გუნდი მთლიანად ახალგაზრდა, გამოუცდელი ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული. „ფრაიბურგი" ყველაზე ახალგაზრდული გუნდია ბუნდესლიგაში. ახლა კი გარკვეული გამოცდილება შევიძინეთ. გავიგე, ახალი ფეხბურთელებიც აუყვანიათ. ვფიქრობ, მომავალ სეზონში გვექნება იმის ძალა, ათეულისთვის ვიბრძოლოთ, ფინკეც ამ აზრზეა, წლევანდელი შედეგის გაუმჯობესება სურს.

— ახლახან „სარბიელმა" საქართველოს 1998-99 წლების საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენი ტრადიციული გამოკითხვა მოაწყო, რომელშიც მეოთხე ადგილზე გახვედით. თავად ვის დაასახელებდი სამეულში?

— ფეხბურთელების გამორჩევა კი მიჭირს, მაგრამ მაინც ვეცდები, დავასახელო. ვფიქრობ, იაშვილი, ცქიტიშვილი და კალაძე იმსახურებენ სამეულში მოხვედრას. ოღონდ ადგილების მიხედვით, ვინ პირველია, ვინ მეორე და ვინ მესამე, ამის თქმა მიჭირს.

ვანო ოქრობირიძე

ლევან კობიაშვილი (№6) ორ ალბანელ მცველს გაურბის

ვის ეკუთვნის ყვავილები?

— კიევში ხომ ნერვები დამაწყვიტეს, ახლა აქაც პრობლემები შემექმნა. ლამის თვითმფრინავზე უარი ვთქვა და მატარებლით მგზავრობა ვარჩიო.

— ასეთი რა მოხდა?

— კიევიდან ძალი არ გამომატანეს. ძალიან კარგი და ჯიშიანი ლეკვი ვიყიდე, გორში უნდა ჩამომეყვანა. ერთი კვირა ცივი ნიავი არ მიმიკარებია. სამგზავროდაც ყველაფერი გავაწყვე, საგანგებო კალათაში ჩავსვი, აქეთ ჯანმრთელობის ცნობაო, იქეთ სხვა საბუთები.

აეროპორტში მისულმა აღმოვაჩინე, რომ გადაყვანის უფლება არ მქონია. რა არ ვცადე, მაგრამ არაფერი გამივიდა. აეროპორტშივე დავტოვე, ვიღაც ქალს ჩავაბარე, ფულიც დავუტოვე, რათა არაფერი მოაკლდეს. ჩავალ და მოვუვლი, მაგრამ გული დამწყდა.

— პრობლემები აქაც გაგიჩნდა.

— ხუთი თვის წინ რომ გაფრინდი, იმდროინდელი დეკლარაცია სად წაიღეო. კანონის მიხედვით კი უნდა შემენახა, მაგრამ სად წავიღე, აღარც კი მახსოვს. მას შემდეგ სულ ცოტა, ოც ქალაქში ვიყავი და...

— ჯერჯერობით მაინც ყველა პრობლემა ზურგსუკანაა. რამდენი ხნით ჩამოხვედი?

— ათი დღით. 12 ივლისს უკრაინის ჩემპიონატი იწყება, 2-ში კი გუნდში უნდა ვიყო.

— „ნივაზე“ გვითხარი. ფინანსურად მთლად წელგამართული გუნდი ვერ უნდა იყოს, გავარდნასაც ბოლო ტურებში გადარჩით.

— „ნივა“ ჩვეულებრივი, პროვინციული ქალაქის გუნდია. მართალია, ფინანსურად კიევის „დინამოს“ და დონეცკის „შახტიორს“ ვერ გაუჯიბრება, მაგრამ სალაროში იმდენი კი მოეძებნება, საქართველოს ნებისმიერ გუნდს გადასწონის, ალბათ, ჩვენს „დინამოსაც“ კი.

რაც შეეხება აუტსაიდერობას, ვერ ვიტყვი, რომ „ნივა“ ფიზიკური კონდიციებით ვინმეს ჩამოუვარდებოდა-მეთქი, უკრაინაში მსგავს სხვაობას ფაქტობრივად ვერც შეამჩნევდით. სხვაობა გამოცდილებასა და ოსტატობაშია. არიან კლუბები, რომლებსაც გაცილებით მაღალი დონის შემსრულებლები ჰყავთ. „დინამოსთან“ და „შახტიორთან“, გნებავთ შვიდეულის სხვა წარმომადგენლებთან „ნივა“ ვერ მივიდოდა.

ალეკო კაიდარაშვილი ის ფეხბურთელია, რომელიც კახა კალაძის, მიხეილ ფოცხვერიასა და ვიტალი დარასელიასთან ერთად უკრაინაში ქართული ფეხბურთის სახეს წარმოაჩენს. ხუთი თვის წინ გორიდან ტერნოპოლში გადაბარგებულმა, „ნივას“ შემადგენლობაში 12 მატჩი ჩაატარა და სამი გოლი გაიტანა. უკრაინის და საქართველოს ჩემპიონატებს შორის კი არის გვარიანი სხვაობა, ჰოდა, თითქმის შეკრებაგაუვლელმა ბიჭმა „ნივას“ გადარჩენაში თავისი არცთუ უმნიშვნელო წვლილი რომ შეიტანა, ურიგო შედეგად ვერავინ ჩაუთვლის. ხუთთვიანი უკრაინული სეზონის შემდეგ ალეკო სამშობლოში დაბრუნდა, თუმცა აეროპორტიდან სხვადასხვა ფორმალობებს თავდაღწეული, ძლიერ გულდაწყვეტილი და აღშფოთებული შეგვხვდა...

ბადრი კეთილაძის ფოტო

დილელი ალეკო კაიდარაშვილი (მარცხნივ) „ვიტ ჯორჯიასთან“ თამაშისას

— 12 მატჩში სამი გოლი, როგორ ფიქრობ, თავდამსხმელისთვის ცოტა ხომ არ არის?

— ჩემი გარჯით მთლად კმაყოფილი ვარ-მეთქი ვერ დავიჩემებ, მაგრამ უკმაყოფილების საბაბიც არ გამაჩნია.

დავიწყოთ იქიდან, რომ გუნდს მაშინ შევუერთდი, როცა ფაქტობრივად მზადება სრულდებოდა. „ნივასთან“ ერთად მხოლოდ ერთი შეკრებაღა გავიარე. თავიდანვე რომ დამეწყო, დარწმუნებული ვარ, ჯანიც ორმაგი მექნებოდა და გუნდსაც უფრო შევეწყობოდი.

— საქართველოდან წასული უკრაინულ დატვირთვებს თუ უძლებდი.

— ადამიანი ყველაფერს ეგუება. გაძლებით კი ვუძლებდი, მაგრამ ისიც ხომ ფაქტი იყო, რომ ძალიან ვიღლებოდი, თუმცა თანდათან შევეჩვიე და ვარჯიშიც მოთხოვნილებად მექცა. ახლა დღეში სამჯერ კუპერს ვირბენ და დაღლილობას ვერ ვგრძნობ.

— ისევ „ნივას“ დავუბრუნდეთ. უკრაინაში ქართველების გუნდს გიწოდებენ. კლუბის თავკაცი ჩვენებურია, ნახევარი გუნდიც საქართველოდანაა. ამის გამო ადგილობრივებთან პრობლემები ხომ არ გექმნებოდათ.

— პრეზიდენტს თუ არ ჩავთვლით, გუნდში კიდევ ექვსი ქართველი ვიყავით. აქედან ოთხი-ხუთი მუდამ ძირითადში თამაშობდა. ბუნებრივია, ადგილობრივი მოთამაშეები ბოლომდე კმაყოფილები ვერ იქნებოდნენ, იყო გაუგებრობები. ერთხელ ქართველები საერთოდ არ გვათამაშეს და მატჩის შედეგი კატასტროფული იყო „ნივასთვის“. ვერ გვჯობნიან და იძულებულები არიან, გაჩუმდნენ. ისე, დიდი უთანხმოებაც არასდროს მომხდარა. მინდორზე ყველა ერთ საქმეს აკეთებს, მის გარეთ კი დაჯგუფებებიც შეინიშნება.

— კლუბის ხელმძღვანელობამ როგორ შეაფასა განვლილი სეზონი?

— თავიდან თურმე ექვსეულში მოხვედრას გეგმავდნენ, რეალურად სხვა სურათი შეიქნა, კინაღამ გავვარდით. თითქოს ყველა პირობა იყო, უკეთ გვეთამაშა, მაგრამ... პრეზიდენტთან ბოლო საუბრისას გაირკვა, რომ ახალი სეზონიდან „ნივას“ ახალი მწვრთნელი ეყოლება. კლუბის თავკაცმა მითხრა, ახლა წადი, დაისვენე, რომ დაბრუნდები, ესენი აქ აღარ დაგხვდებიანო. მგონი, იგორ იურჩენკოს სამუშაოს ძებნა მოუწევს.

განა მარტო მწვრთნელები. 7 ფეხბურთელს დაქირავება, კონტრაქტი და კლუბის თავკაცებს ხელშეკრულების პირობებზე არანაირი სერიოზული არ გამოუმჟღავნებიათ. მოკლედ, ახალი სეზონიდან, ფაქტობრივად, ახალი გუნდი შეიკრიბება.

— ტერნოპოლში კიდევ რა ხნით გიწევს დარჩენა?

— ხუთი თვეც და კონტრაქტი დამთავრდება. კლუბის ხელმძღვანელობა მანამდე ეცდება ჩემს გაყიდვას. ისე, არც მალავენ, შენი შესაძლებლობების მქონე ფეხბურთელში გვარიან ფულს გავაკეთებთო. ვნახოთ, ფეხბურთს იმიტომ არ ვთამაშობ, რომ კარიერა „ნივაში“ დავასრულო.

— სხვა გუნდებიდან ხომ არ მიგიღია წინადადებები?

— ჩემამდე არავინ მოსულა. ისე, მწვრთნელმა და პრეზიდენტმა რამდენჯერმე მითხრეს თამაშის წინ, შენს სანახავად მოვიდნენო. უშუალოდ არავინ დამლაპარაკებია.

— 2 ივლისს მიემგზავრები, 12-ში ჩემპიონატი იწყება. 9 დღეში რა მზადებას მოასწრებთ, თანაც ამბობ, ახალი გუნდი ვიქნებითო.

— ასეთი წესია უკრაინაში და მის შეცვლას არავინ ცდილობს. კუპერი და საკონტროლო მატჩი ერთ დღეს და ასე ბოლომდე.

სამაგიეროდ, ზამთარში დიდი შესვენებაა წრეებს შორის და მთელი სამი თვის მანძილზე შეკრებაზე იმყოფებიან. დანაკლისსაც მაშინ ინაზღაურებენ.

... მეტიც არაფერი ჰქონდა კაიდარაშვილს სათქმელი. მამას და პატარა ძმას ჩაეხვია. სხვათა შორის, გიორგი კაიდარაშვილს ტექნიკას და საზრიანობას უქებენ. ამბობენ, უფროს ძმას აჯობებსო. ვნახოთ, მანამდე კი ალეკო ოჯახის წევრებისთვის საჩუქრებს ყიდულობს, მამას ცალკე, თქმა არ უნდა, დედას განსაკუთრებული, ძმებიც რიგში არიან.

... მაგრამ გუშინწინ აეროპორტიდან წამოსულმა ალეკო კაიდარაშვილმა გზად ერთი ძალიან ლამაზი ბუკეტი შეუკვეთა, რა თქმა უნდა, ყვავილები განსაკუთრებულად იყო გამოწყობილ-შეფუთული. მხოლოდ ეს ვერ ვკითხეთ, ვის უძღვნიდა მას...

მამუკა კვანტალიანი

სტუდენტთა საიდუმლო სერობა თუ?

სტუდენტებისთვის ერთობ ჩვეული და ახლობელი გამოთქმაა — აი ეს გამოცდები ჩამაბარებინა და კურსი ჩამამთავრებინა, მერე მე ვიცი. შემოდგომიდან სწავლას დავიწყებო. დაახლოებით ამდგვარი რამ იქნებ საფეხბურთო კლუბ თსუ-საც დაემართოს.

გასული ჩემპიონატი თსუ-სთვის ია-ვარდით მოფენილი ნამდვილად არ ყოფილა, გუნდი ქართული ფეხბურთის ელიტიდან გავარდნის პირას იმყოფებოდა. არც ხელფასები, არც პრემიები, მხოლოდ ენთუზიაზმზე თამაში. ბოლოს სტუდენტ ფეხბურთელთა მოთმინების ფიალაც აივსო და ყოველივე ამას მათი გაფიცვაც ზედ დაერთო. ფეხბურთელები ჩემპიონატის კალენდარული მატჩების ჩატარებას უარობდნენ და ასეც მოიქცნენ, თუმცა ბოლოს ხელმძღვანელობამ ისინი მაინც დაიყბუნა, ოღონდ ახლა გადაგვარჩინეთ ლიგიდან გავარდნას და მერე ჩვენ ვიცითო. „ძირითადის ხალხმაც“ ყურად იღო თხოვნა. გადათამაშებაში კახეთის „ოცნების გუნდი“, ძველი ანაგის „ღარწყალი“, 3:0 დაამარცხა და ლიგაშიც დარჩა.

მაგრამ რა იქნება მომავალში, ეს თავად ხელმძღვანელებმა არ იციან. ამბობენ, თსუ-ში ფეხბურთელთა მასობრივი მიგრაცია დაიწყებაო. იქნებ ასე არც მოხდეს, მაგრამ ფაქტია, სტუდენტთა ორი ფეხბურთელი, ორივე მცველები — თენგიზ კობიაშვილი და გიორგი შაშიაშვილი გუნდს ალბათ მართლა დატოვებენ. ორივემ გუშინ ერთვნულ სტადიონზე თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში ითამაშა ამხანაგური მატჩი სომხურ „ერევანთან“.

ყოველივე ამას ისიც დაემატა, რომ გავიგეთ, თსუ შესაძლოა მისმა მთავარმა მწვრთნელმა, წარსულში სახელოვანმა მეკარემ, ოთარ გაბელიამ დატოვოს. ბუნებრივია, საქმეში უკეთ გასარკვევად გაბელიას მივმართეთ:

— ამ დღეებში გუნდის ხელმძღვანელებს უნდა შევხვდე და დავილაპარაკოთ. თუ იქნება რამე სასიკეთო წინ გადადგმული ნაბიჯი დავრჩები, სხვა შემთხვევაში არაა გამორიცხული, გუნდიდან წავიდე. მართლაც ძნელია, ენთუზიაზმის ხარჯზე მუშაობა. თუ ასე მოხდა, სხვა კლუბებში არ დავიწყებ კარდაკარ სიარულს, გინდა თუ არა თქვენს გუნდში მამუშავეთ-მეთქი. არა ვარ მე ის კაცი... თუ ვინმეს დავჭირდი, ჩემი თავი ენაცვალოთ, თუ არადა...

ჯერჯერობით ესაა. მეც გაურკვევლობაში ვარ, მომავალს თსუ-ს რექტორატთან და კლუბის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკება გადაწყვეტს.



ბადრი კეთილაძის ფოტო

ოთარ გაბელია

ჩვენ კი იმას დავამატებთ, რომ როგორც „სარბიელისთვის“ გახდა ცნობილი, ამ მოლაპარაკებაში თსუ-ს პრეზიდენტყოფილი ალეკო ბუკიაც მიიღებს მონაწილეობას.

ერთი სიტყვით, თსუ საიდუმლო სერობის მოლოდინშია.

გიორგი ვაშაკიძე

ფედერაცია, კალენდარი, სტადიონები და მსაჯები...

საქართველოს რიგით მეთერთმეტე ჩემპიონატი ფეხბურთში სავარაუდოდ 2 აგვისტოს დაიწყება. მართალია, ფეხბურთის ფედერაციას ჩემპიონატის კალენდარი ოფიციალურად ჯერ არ წარუდგენია და არ დაუმტკიცებია, მაგრამ მისი პროექტი უკვე მზადაა.

დღეისთვის პირველ ჯგუფში მოასპარეზე ყველა გუნდის მწვრთნელმა და პრეზიდენტმა აქედანვე იცის პირველ ტურში მეტოქედ ვინ ეყოლება. მზადების ბოლო ციკლსაც ამის მიხედვით გეგმავენ.

თუ გათამაშების კალენდრის პროექტი მზადაა, მაშინ ჩავთვალოთ, რომ ერთი დიდი პრობლემა გადაჭრილია. ფეხბურთის ფედერაცია უკვე მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვან საკითხზე მუშაობს.

მოგეხსენებათ, ძველი ფედერაცია ყოველი ჩემპიონატის წინ სტადიონების მიმღებ კომისიას ჩამოაყალიბებდა და მის წევრებს შემოწმებაზე გზავნიდა. ასე იყო ადრე და საქართველოშიც, თუ ადრინდელი კომისიის წევრებს ვერწმუნებოდით, ყველა სტადიონი აკმაყოფილებდა დებულებაში ჩაწერილ მოთხოვნებს.

ახალი ფედერაციის კომისიაც ამოწმებს სტადიონებს. ეს აქცია კვირის დასაწყისში დაიწყო და სავარაუდოდ კვირის ბოლოს დასრულდება. ვნახოთ, საქართველოში რამდენი სტადიონი გვექნება ვარგისი.

გადასაწყვეტია მსაჯების საკითხიც. თეორიულ-ფიზიკური გამოცდის ჩაუბარებლად მატჩზე დანიშვნას ვერც ერთი მათგანი ელირსება. იციან ეს არბიტრებმა და ინდივიდუალურადაც ემზადებიან, მაგრამ ფედერაციას ივლისში მათი ერთად თავშეყრა და შეკრების მოწყობა განუზრახავს, რაც მსაჯებისთვის ერთობ სასარგებლო იქნება.

მამუკა კვანტალიანი

სკონტო და სილაგაძე სექტემბერში გაიყრებიან

ხმები ლევან სილაგაძის ლატვიიდან წამოსვლის შესახებ საფუძველს მოკლებული სულაც არ ყოფილა, ოღონდ ეგ არის, ლევანს ჩემპიონთა ლიგაში თამაში „სკონტოს“ შემადგენლობაში აქვს გულსამოჭრილი.

— ლატვიელებთან კონტრაქტი სექტემბრის ბოლოს მომთავრდება, მაგრამ უკვე გადავწყვიტე, რომ ხელშეკრელების ვადის გასვლის შემდეგ კლუბს დავტოვებ. ჩემით რამდენიმე გუნდია დაინტერესებული და მათთან მოლაპარაკებებს „სკონტოს“ მენეჯერი აწარმოებს — განაცხადა გუშინ ჩვენთან სატელეფონო საუბარში სილაგაძემ. მისი მსურველი კლუბების ვინაობა ქართველ ფეხბურთელს არ დაუკონკრეტებია — ჯობს, სექტემბერს დაველოდოთო.

შეგახსენებთ, რომ თავის დროზე სილაგაძით დორტმუნდის „ბორუსია“ და თურქული „გალათასარაიც“ დაინტერესდნენ. ამას წინათ კი ხმები გავრცელდა, სილაგაძის, „ინტერში“ გადასვლაზე, თუმცა ამას გაგრძელება არ მოჰყოლია.

პაატა კვანტალიანი

ევროპასპორტის ყველა მონაწილე ცნობილია, იმ ცხრილს, რომელიც ივნისში უკვე ორჯერ გაახლეთ, ამჯერად საბოლოო, დაზუსტებული სახით გთავაზობთ. მანამდე კი სანამ ინტერტოტოს თასის პირველი ეტაპი ჩაივლის ამ გათამაშების კიდევ ერთი მონაწილე გამოიცვალა: საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის განცხადებით, წლეულს ერთიანულ ჩემპიონატში მეათე ადგილზე გასული „მეცი“ ინტერტოტოს თასზე იასპარეზებს. „მეცს“ ამის შესაძლებლობა მეცხრე ადგილზე გასულმა პსჟ-მ მისცა, რომელმაც ინტერტოტოზე თამაში არ ისურვა. ამგვარად „მეცი“ მესამე ფრანგული გუნდია, „რენთან“ და „მონპელიესთან“ ერთად, უეფას თასის დამატებითი საგზურისთვის რომ იბრძოლებს. მანამდე კი, ვიდრე საქმეში მოწინავე ქვეყნების კლუბები ჩაებმებოდნენ, მოგეხსენებათ სხვები, მათ შორის ქართველებიც, ცდიან ძალას. ამ უქმეებზე ინტერტოტოს თასის პირველი ეტაპის საასუხო მატჩებია. ჩვენი ფოთის „კოლხეთი“ შაბათს მაკედონიური სკოპიეს „ცემენტარნიცას“ მასპინძლობს.

ქუქუნა წვიმა მოვიდა, ფაზის მინდორი დანამა

მაკედონიელები ფოთს დღეს ეწვევიან



შაბათს ფოთელები „ცრვენას“ შარშანდელი კოშმარის დავიწყებას და „ცემენტარნიცასთან“ ორბურთიანი ჩამორჩენის გაბათილებას ეცდებიან. ამაში მათ სკოპიეში ერთი გოლის გამტანი გიორგი დარასელია (№10) დაეხმარება

ხვალ ფოთში ინტერტოტოს თასის პირველი ეტაპის საპასუხო მატჩია. „კოლხეთი“ მაკედონიურ „ცემენტარნიცას“ მშობლიურ „ფაზისზე“ დაუპირისპირდება.

ზღვისპირელები ყველანაირად შეეცდებიან, ბალკანელები ორი მატჩის ჯამში დაამარცხონ. პირველი შეხვედრა, როგორც იცით, სკოპიეში ჩვენებურებმა 2:4 დათმეს.

მოიგებენ ფოთელები სასურველი შედეგით და გზა ხსნილია, კოლხები ინტერტოტოს თასის მეორე ეტაპზე რუსულ დონის როსტოვის „როსტსელმაშს“ შეეტოქებიან, თუ არა...

მაკედონიელები ჩვენს ქვეყანას ნაშუადღევს ბულგარული ავიაკომპანიის თვითმფრინავით ეწვევიან. დაახლოებით 30-კაციანი დელეგაცია ქუთაისში, ანაც სენაკის აეროპორტში ჩაფრინდება, იქიდან კი ავტობუსით გასწევენ ზღვისპირა ქალაქისკენ. ფოთელებმა, როგორც სტუმარმასპინძლური წესია, ბალკანელთ წინასწარვე დაუჯავშნა ნომრები სასტუმრო „მალთაყვაში“. ამ შეხვედრას, როგორც უეფამ წინასწარ დაადგინა, ჩეხი მსაჯები განსჯიან. ჩეხები, მატჩის სლოვაკ დელეგატთან ერთად, ჯერ თბილისში ჩამოვლენ, მერე კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებთან ერთად ეწვევიან ფოთს. ისინი სასტუმრო „ოქროს ტბაში“ მოისვენებენ.

„კოლხეთი“ მშვიდად ემზადება მოახლოებული ძნელი, საპასუხისმგებლო მატჩისთვის. ვარჯიშებზე, საბედნიეროდ, ტრავმა არავის მიუღია. ბიჭები თურმე თავგამოდებით ემზადებიან და საბოლოო გამარჯვების იმედიც აქვთ, ოღონდ ეგაა, ეს ბოლო დღეებია, ფოთში წვიმს, თუ ხვალაც ასე გაგრძელდა, საკითხავი ისღაა, ვის უფრო წაადგება მადლიანი ჟუჟუნა წვიმა, „კოლხეთს“ თუ „ცემენტარნიცას“.

ხვალ საპასუხო მატჩი საღამოს 18 საათზე „ფაზისზე“ დაიწყება. მსაჯები, როგორც მოგახსენეთ, ჩეხები იქნებიან: არბიტრი კარელ ვიდლაკი, თანამსაჯები ონდო მილანი და მიროსლავ ცელინგერი. სათადარიგო მსაჯი კი ქართველი, სავარაუდოდ, გურამ ასკაროღლი იქნება. უეფას დელეგატი სლოვაკეთიდანაა — რუდოლფ ლისკა.

გიორგი ვაშაძიძე

ჩემპიონთა თასი

ჯგუფი	მესამე შესარჩევი ეტაპი	მეორე შესარჩევი ეტაპი	პირველი შესარჩევი ეტაპი		ქვეყანა	1/32 ფინალი	შესარჩევი ეტაპი
მანჩესტერი							
მილანი ლაციო	ფიორენტინა პარმა			1	იტალია	ბოლონია, რომა, უდინეზე	
ბაიერნი ლევერკუზენი	ჰერტა დორტმუნდი			2	გერმანია	ვერდერი, ვოლფსბურგი, ლაუტერნი	
ბარსელონა რეალი	მალიორკა ვალენსია			3	ესპანეთი	ატლეტიკო, სელტა, დეპორტივო	
ბორდო მარსელი	ლიონი			4	საფრანგეთი	ნანტი, ლანსი მონაკო	
ფეიენოორდი ტილბურგი	ეინდჰოვენი			5	ჰოლანდია	აიაქსი, ვიტესი, როდა	
არსენალი	ჩელსი			6	ინგლისი	ნიუკასლი, ლიდსი, ტოტენჰემი	
პორტუ	ბოავიშტა			7	პორტუგალია	ბეირა მარი, ბენფიკა, სპორტინგი, სეტუბალი	
ოლიმპიაკოსი	აეკ			8	საბერძნეთი	პანათინაიკოსი პაოკ იონიკოსი არისი	
სპარტა	ტეპლიცე			9	ჩეხეთი	სლავია	სიგმა
რუსენბორგი		მიოლდე		10	ნორვეგია	სტაბეკი	ვიკინგი, ბოდო გლიმტი
	შტურმი	რაპიდი		11	ავსტრია	ლინცერი	გრაცერი
	სპარტაკი	ცსკა		12	რუსეთი	ზენიტი	ლოკომოტივი (მ)
	კროაცია	რიეკა		13	ხორვატია	ოსიეკი	ჰაიდუკი
	გალათასარაი	ბეშიქთაში		14	თურქეთი	ფენერბაჰჩე	ანკარაგიუჯიუ
	ოლბორგი	ბრონდბიუ		15	დანია	აბ კოპენჰაგენი	ლიუნგბიუ
	სერვეტი			16	შვეიცარია	ლოზანა	გრასჰოპერი, ციურიხი
		დინამო (კ)		17	უკრაინა	კარპატი	შახტიორი, კრივბასი
		ვიძეი		18	პოლონეთი	ამიცა	ლეგია, ლეხი
		მტკ		19	უნგრეთი	დებრეცენი	ფერენცვაროში, უიპეშტი
		გენკი		20	გელგია		ლიერსი, ბრიუგე, ანდერლეხტი
		სლოვანი		21	სლოვაკეთი		დუკლა, ინტერი, სპარტაკი
		რაპიდი		22	რუმინეთი		სტიაუა, დინამო
		აიკ		23	შვედეთი		გიოტებორგი, ჰელსინგბორგი
		დინამო		24	საქართველო		ტორპედო, ლოკომოტივი
		ანორთოსისი		25	კვიპროსი		აპოელი, ომონია
		რეინჯერსი		26	შოტლანდია		სელტიკი, კილმარნოკი, სტ. ჯონსტონი
		ჰაპოელი (ჰ)		27	ისრაელი		ჰაპოელი (თ-ა), მაკაბი (თ-ა)
			მარიბორი	28	სლოვენია		ოლიმპია გორიცა
			დნეპრტრანსმაში	29	ბელარუსი		ბელშინა, ბეტა
			ვესტმანეიარი	30	ისლანდია		ლეიფტური, რეიკიავიკი
			ჰაკა	31	ფინეთი		ჰიკი, ვაასა
			სკონტო	32	ლატვია		რიგა, მეტალურგსი
			ლიტექსი	33	ბულგარეთი		ცსკა, ლევსკი
			სლოგა	34	მაკედონია		ვარდარი, სილექსი
			ჟალგირისი	35	ლიტვა		კარედა, კაუნასი
			პარტიზანი	36	იუგოსლავია		ცრვენა ზვეზდა, ვოივოდინა
			ზიმბრუ	37	მოლდოვა		შერიფი, კონსტრუქტორული
			ფლორა	38	ესტონეთი		ლევადია, ლანტანა ტულევიკი
			ცემენტი	39	სომხეთი		ერევანი, შირაქი
			გლენტორანი	40	ჩრდ. ირლანდია		პორტადაუნი, ლინფილდი
			ვალეტა	41	მალტა		ბირკირკარა, შლემა
			ბერი თაუნი	42	უელსი		ინტერი, ქვიმბრან თაუნი
			სენტ პატრიკი	43	ირლანდია		ბრეი, კორკ სიტი
			ჰაფნარი	44	ფარერები		კლაკსვიკარი, ბ 36 ტორსჰაგენი
			ტირანა	45	ალბანეთი		ვლაუნია, ბილიში
			ჟენეს ეში	46	ლუქსემბურგი		მონდერკანჟი, დუდელანჟი
			ქიაფაზი	47	აზერბაიჯანი		ნეფთჩი, შამქირი
					ლიხტენშტაინი		ვადუცი
					ანდორა		პრინჩიპატი

მადრიდიდან ფლორენციაში

პრედრაგ მიატოვიჩი (მარჯვნივ) „რეალში" აღარ ითამაშებს

იუგოსლაველი თავდამსხმელი პრედრაგ მიატოვიჩი მადრიდის „რეალიდან" „ფიორენტინაში" გადავიდა.

კრისტიან ვიერის „ლაციოდან" „ინტერში" გადასვლის შემდეგ ეს ტრანსფერი ყველაზე ხმაურიანი გახლავთ. ის, რომ მიატოვიჩს „რეალის" დატოვება სურდა, ახალი ამბავი სულაც არ იყო, მაგრამ მართლა გადავიდოდა თუ არა თავდამსხმელი სხვა კლუბში, გუშინდლამდე გაურკვეველი რჩებოდა.

13 მილიონი გირვანქა — ფლორენციულმა კლუბმა სწორედ ეს თანხა გაიღო იმ ფეხბურთელისთვის, რომლის გოლმაც მადრიდის „რეალს" შარშან გაზაფხულზე ჩემპიონთა თასი მეშვიდედ მოაგებინა.

ფლორენციელებს ახალ გუნდში ოთხი ძლიერი თავდამსხმელი ჰყავთ — არგენტინელი გაბრიელ ბატისტუტა, იტალიელი ფაბრიციო რავანელი, ბელგიელი ლუის ოლივეირა და იუგოსლაველი პრედრაგ მიატოვიჩი. ყველაფერი ეს იმაზე მიუთითებს, რომ „ფიორენტინას" ხელმძღვანელობა „პარმიდან" ენრიკო კიეზას შეძენას აღარ შეეცდება. რამდენიმე ხნის წინ „ფიორენტინა" იტალიის და უეფას თასების მომგებ „პარმას" 13 მილიონ გირვანქას სთავაზობდა კიეზას სანაცვლოდ.

იუგოსლაველი ფეხბურთელისა და „ფიორენტინას" შორის გაფორმებული ხელშეკრულება ოთხწლიანია. რა თანხას მიიღებს მიატოვიჩი კლუბში გატარებული წლების სანაცვლოდ, უცნობია, თუმცა იტალიური პრესა იტყობინება, რომ მიატოვიჩს სეზონში მინიმუმ ორი მილიონი დოლარი ექნება.

26 წლის თავდამსხმელი, რომელიც მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, „რეალიდან" წასვლას მართლაც აპირებდა. პირველადი ცნობების მიხედვით, მიატოვიჩის თაობაზე „რეალს" „რომა" უკავშირდებოდა, მაგრამ საბოლოოდ მოთამაშე მაინც ფლორენციელი გახდა.

პრედრაგ მიატოვიჩს მადრიდის „რეალის" ხელმძღვანელობასთან უთანხმოება მოუვიდა და სამეფო გუნდის დატოვებაც ამიტომ ეწადა. დაპირისპირება მას შემდეგ გაღვივდა, რაც ნატოს იუგოსლავიაზე თავდასხმების საპროტესტოდ მიატოვიჩმა „რეალში" თამაშზე დროებით უარი განაცხადა. „რეალში" ეს, ცხადია, არ მოეწონათ, მიატოვიჩმა კი კარგა ხანს არ შეცვალა გადაწყვეტილება. დაპირისპირება საბოლოოდ დაშორებით დასრულდა.

ესპანეთის ყველაზე ტიტულიანი კლუბის ხელმძღვანელობას ხორვატი თავდამსხმელის, დავორ შუკერის გაყიდვის იმედიც აქვს. მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირს რამდენიმე ლონდონური კლუბი ეპატიჟება.

„ფიორენტინა" მიატოვიჩზე შეჩერებას არ აპირებს — ფლორენციელებს „ლაციოდან" კიდევ ერთი იუგოსლაველის, ოღონდ მცველის — სინიშა მიხაილოვიჩის შეძენა გადაუწყვეტიათ. მათ ამოცანა იმ შემთხვევაში გაუადვილდებათ, თუ „ლაციო" „პარმადან" არგენტინელ მცველ ნესტორ სენსინის გადაიბირებს.

ირაკლი ილაშვილი

ახალი სახეები ტურინში

„იუვეს" ახალწვეული ჯონათან ბაკინი

დადგა ამის დროც: ფეხბურთელები გუნდებს იცვლიან, გუნდები — ფეხბურთელებს.

სეზონჩავარდნილი გუნდები გაძლიერებას ცდილობენ, ჩემპიონები და თასის მფლობელები კი ახალ-ახალ ფეხბურთელებს შედარებით ნაკლებად ეტანებიან.

ტურინის „იუვენტუსისთვის" გასული სეზონი მართლაც წარუმატებელი გამოდგა. გუნდმა ვერც ჩემპიონატში იმარჯვა, ვერც იტალიის თასი მოიგო. ევროტურნირებს კი ბოლო ხუთი წლის მანძილზე პირველად გამოეთხოვა ნახევარფინალიდან.

სანამ სხვა გუნდები თითო-ოროლა მოთამაშეს იცვლიან, ანაც სასურველ ფეხბურთელებს აკვირდებიან, ტურინის „იუვენტუსმა" შვიდი მოთამაშე შეიძინა, ორი კი გაასხვისა.

ბოლო ახალწვეულია ჯონათან ბაკინი, „უდინეზეს" და იტალიის ნაკრების ნახევარმცველი. ბაკინი იტალიის ყველაზე ტიტულოვანმა კლუბმა სამშაბათს შეიძინა, ხელშეკრულებაზე კი ოფიციალურად პირველად გუშინ ითქვა. ჯერჯერობით უცნობია, რის სანაცვლოდ დაუთმო „უდინეზემ" „იუვენტუსს" ჯონათან ბაკინი, მაგრამ ის, რომ ნახევარმცველი უკვე „ბებერი ქალბატონის" სრულუფლებიანი წევრია, გადაწყვეტილი საქმეა.

ბაკინი ტურინში გუშინ ჩავიდა:

— ვამაყობ „იუვენტუსში" რომ უნდა ვითამაშო. მიხარია ასეთ დიდ კლუბში გადასვლა. მიუხედავად იმისა, რომ „უდინეზეში" უეფას თასზე თამაში განაღდებული მქონდა, „იუვენტუსთან" ერთად კი ამ უფლებისთვის უნდა ვიბრძოლო, მწამს, გუნდი მიაღწევს მიზანს. აქ მოხვედრაზე ყოველთვის ვოცნებობდი.

კლუბის მწვრთნელი კარლო ანჩელოტი ჯონათან ბაკინის მომავალი „იუვენტუსის" ერთ-ერთ მთავარ ფიგურად მიიჩნევს:

— მისი მოსვლით ნახევარდაცვა აშკარად გაძლიერდა. მჯერა, ბაკინი და კიდევ სხვა ახალწვეულები „იუვენტუსს" უკეთესობისკენ შეცვლიან.

ახალწვეულები „იუვენტუსში" მართლაც არიან — ჯონათან ბაკინის გარდა ტურინულმა კლუბმა ამსტერდამის „აიაქსის" მეკარე ედვინ ვან დერ სარი და მცველი სანდი ოლისე შეიძინა, „ბარიდან" ჯანლუკა ძამბროტა გადაიბირა, „სამპდორიაში" და „ემპოლიში" ერთი წლის წინ გაშვებული ფაბიო პეკია და მარსელო ზალაიეტა უკან დაიბრუნა, „სოსიედადიდან" კი თავდამსხმელი დარკო კოვაჩევიჩი შეიმატა.

ცვლილებები, ცხადია, იქნება. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ „იუვენტუსის" ნახევარდაცვას დიდიე დეშამპი და ანჯელო დი ლივიო დააკლდებიან (დი ლივიო „ფიორენტინაში" გადავიდა), ცვლილებებს უეჭველად უნდა ველოდოთ.

— „იუვენტუსი" მომავალ სეზონში გაცილებით კარგი გუნდი იქნება, ვიდრე შარშან. ჩვენ ზინედინ ზიდანთან და ფილიპო ინძაგისთან ახალ, გრძელვადიან ხელშეკრულებებს გავაფორმებთ, დელ პიეროსთანაც იგივეს ვაპირებთ. ბევრი კარგი ფეხბურთელი დავიმატეთ. ეს ყველაფერი გვაიმედებს, — აცხადებს ტურინული კლუბის გენერალური მენეჯერი ლუჩანო მოჯი.

„იუვენტუსი" სეზონს სხვებთან შედარებით ადრე იწყებს — კლუბს ინტერტოტოს თასზე მოუწევს ასპარეზობა.

ლაშა გოდუაძე

იტალიურმა „ბოლონიამ" მილანის „ინტერისგან" 4 მილიონ გირვანქად ახალგაზრდა თავდამსხმელი ნიკოლა ვენტოლა შეიძინა. ბოლონიელებს მილანური კლუბისგან კიდევ ორი ფეხბურთელის — მეკარე ჯანლუკა პალიუკას და ბრაზილიელი ნახევარმცველის ზე ელიასის გადაბირება სურთ. „თუ „ინტერმა" ანჯელო პერუცი შეიძინა, ძნელად დასაჯერებელია, რომ პალიუკა ძირითადში მოხვდეს. არც ისაა სარწმუნო, ჯანლუკა მეორე მეკარეობას შეეგუოს. ამიტომაც ჩვენთან გადმოსვლა შევთავაზეთ. რაც შეეხება ზე ელიასს, მან „კალიარისგან" უკვე მიიღო წინადადება, მაგრამ „ბოლონია" გაცილებით უკეთეს პირობებს სთავაზობს" — განაცხადა ბოლონიური კლუბის წარმომადგენელმა.

იუგოსლავიის თასის ნახევარფინალური მატჩები გაიმართა. პარტიზანი — ობილიჩი 1:0, ნოვი სადი — ცრვენა ზვეზდა 0:2. ფინალში, რომელიც კვირას ჩატარდება, „პარტიზანი" „ცრვენა ზვეზდას" შეხვდება.

ჩილეს დედაქალაქში მასპინძელთა ეროვნული გუნდი ეკვადორს ამხანაგურად ეთამაშა. შეხვედრაც მეგობრულად დამთავრდა — 0:0.

ინგლისის ჩემპიონი და თასის მფლობელი, ჩემპიონთა ლიგის უკანასკნელი გამარჯვებული „მანჩესტერ იუნაიტედი" მომავალ სეზონს 7 აგვისტოს ლივერპულში დაიწყებს, სადაც პირველ პრემიერლიგურ მატჩში იქაურ „ევერტონს" ესტუმრება.

რუსეთის ჩემპიონმა მოსკოვის „სპარტაკმა", რომელმაც ჩემპიონატის ბოლო ტურში „ჟემჩუჟინას" ცარიელ „ლუჟნიკებზე" უმასპინძლა, 35 ათასი დოლარი დაკარგა. „მატჩზე გულშემატკივართა დასწრება შესაძლებელი რომ ყოფილიყო, შეხვედრის სანახავად მინიმუმ 20 ათასი ფანი მოვიდოდა. აი, თქვენი 35 ათასი დოლარიც" — განაცხადა „ლუჟნიკების" წარმომადგენელმა სერგეი ბორისოვმა. შეგახსენებთ, რომ რუსეთის საფეხბურთო კავშირის მიერ დასჯილმა მოსკოველებმა სოჭელებს 4:0 სძლიეს.

ბულგარეთის ეროვნული ნაკრების ნახევარმცველი მილენ პეტკოვი, რომელიც გლაზგოს „სელტიკში" გასასინჯად იმყოფებოდა, ინგლისურ „საუთჰემპტონში" გადავიდა. ინგლისელებმა პეტკოვის სანაცვლოდ მის ყოფილ კლუბ სოფიის ცსკა-ს 2 მილიონი გირვანქა გადაუხადეს. გლაზგოში პეტკოვთან ერთად მყოფი მისი თანამემამულე და თანაკლუბელი სტილიან პეტროვი კი 2,8 მილიონ გირვანქად შოტლანდიელების კუთვნილება გახდა.

რუსეთის უმაღლესი დივიზიონის კლუბ „ურალანის" მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან გაათავისუფლეს გამოცდილი უკრაინელი ფეხბურთის სპეციალისტი ევგენი კუჩერევსკი. ეს ინფორმაცია „ურალანის" პრეზიდენტმა ნიკოლაი შოვგუროვმა გაავრცელა. 57 წლის კუჩერევსკი ელისტური კლუბის თავკაცად სულ რაღაც ერთი კვირის დანიშნული იყო. „ყველაფრისგან დასვენება მჭირდება" — განაცხადა უკრაინელმა, რომელმაც 1988 წელს დნეპროპეტროვსკის „დნეპრს" მწვრთნელის რანგში საბჭოთა კავშირის პირველობა მოაგებინა, ხოლო 1993-94 წლებში რუსეთის ოლიმპიურ ნაკრებს ედგა სათავეში.

რუსეთის პირველი დივიზიონის კლუბ იაროსლავის „შინიკს" ლიტვის ეროვნული ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, ბენიამინას ზელკიავიჩუსი ჩაუდგა სათავეში. ზელკიავიჩუსი, რომელიც აქამდე „როტორის" თავკაცის, ვიქტორ პროკოპენკოს ასისტენტად მუშაობდა, „შინიკისთვის" ამ სეზონში რიგით მესამე მთავარი მწვრთნელია.

ესპანურმა „რეალ სოსიედადმა" კოლუმბიური კალის „დეპორტივოსგან" ვიქტორ ბონილა შეიძინა. 29 წლის თავდამსხმელში, რომელმაც ახალ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა, ესპანელებმა 640 მილიონი პესეტა (3,98 მილიონი დოლარი) გადაიხადეს.

იაპონიის ეროვნული ნაკრების და იტალიური „პერუჯას" ნახევარმცველი ჰიდეტოში ნაკატა ფრანგულ „მონაკოში" გადასვლას აპირებს. იტალიელები იაპონელის გაყიდვაზე ყაბულს არიან, თუ ფრანგები მათ სასურველ თანხას შესთავაზებენ. აქამდე გარიგებაც შედგებოდა, რომ არა ერთი ხელშემშლელი ფაქტი. „მონაკომ" ახლახან არგენტინელი მარსელო გალიარდოს შეძენით გუნდში არაევროკავშირელთა ყოლის ლიმიტი ამოწურა. არადა, ფრანგული კლუბის მარკეტოლოგთა განცხადებით, ნაკატას ყიდვა გუნდს ფინანსურადაც მისცემს ხელს. ეს მოტივი საკმაოდ სარწმუნოა, რადგან გასულ სეზონში მხოლოდ იაპონიაში ნაკატას 50 ათასი მაისურა გაიყიდა.

ინგლისის ვიცე-ჩემპიონ „არსენალში" გერმანული „მიუნხენ 1860"-ის ნახევარმცველი შტეფან მალცი გადავიდა. 27 წლის ფეხბურთელმა გასულ სეზონში მიუნხენელთა შემადგენლობაში 22-ჯერ ითამაშა და ერთი ბურთი გაიტანა. „გაისად მძიმე სეზონი გველის, სწორედ ასეთი ფეხბურთელებით შეგვიძლია მივაღწიოთ წარმატებას, შტეფანს უკვე დიდი ხანია, ვაკვირდები. ის მართლაც ძლიერი მოთამაშეა" — განაცხადა ლონდონელთა ფრანგმა თავკაცმა არსენ ვენგერმა.

ნორვეგიელის მოგზაურობა ინგლისში

ოივინდ ლეონარდსენი

EURO 2000

ჩვენი ჯგუფი

ნორვეგიის ნაკრების და ინგლისური „ლივერპულის" ნახევარმცველი ოივინდ ლეონარდსენი „შეფილდ უენსდეიში" გადავიდა. შეფილდელებმა ლეონარდსენში, რომელმაც საქართველოს ეროვნული ნაკრების წინააღმდეგაც ითამაშა ოსლოში, 3 მილიონი გირვანქა გაიღეს. „არჩევანი თვითონ გავაკეთე და ვგონებ, არც შევმცდარვარ. „შეფილდში" თამაში ჩემთვის უფრო უკეთესი იქნება" — განაცხადა ნორვეგიელმა, რომელიც „ლივერპულის" ძირითად შემადგენლობაში ბოლო დროს არცთუ ხშირად ხვდებოდა.

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ პლუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა არის დერბი?

როცა „მილანი“ ხვდება „ინტერს“, როცა „არსენალი“ ეთამაშება „ტოტენჰემს“, როცა „რეალი“ უპირისპირდება „ატლეტიკოს“, როცა... ერთი სიტყვით, როცა ერთი ქალაქის ორი გუნდი ეთამაშება ერთმანეთს, ვამბობთ, რომ შედგა მილანური, ლონდონური ანაც მადრიდული დერბი. ვამბობთ და არც გვებადება კითხვა, რას ნიშნავს დერბი. პასუხი თითქოსდა უმარტივესია — დერბი ხომ ერთი ქალაქის ორი გუნდის დაპირისპირებას ნიშნავს! ეს ერთი შეხედვით მართალია, მაგრამ პასუხი არაა სრული. ხდება ხოლმე, ის, რაც მარტივად გვეჩვენება და გვგონია, ზედმიწევნით კარგად ვიცით, აღმოჩნდება, რომ სულაც არა გვცოდნია.

რას ნიშნავს ტერმინი „დერბი“, საიდან მომდინარეობს, რატომ დამკვიდრდა ფეხბურთში?

ისევე როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში, ახლაც წარსულში ვიცქირებით, ვქექავთ არქივებს და ძიებაში ჭეშმარიტებასაც ვადგენთ. არის კითხვები, რომელთაც პასუხი ვერც აწმყოში ეძებნებათ და ვერც წარსულში. თუმც „დერბის“ შემთხვევაში საქმე არც ისე რთულადაა — ისტორია გვეხმარება.

„დერბი“ — საფეხბურთო ტერმინი, ისევე როგორც თამაში, ბრიტანეთიდან, უფრო კონკრეტულად კი ინგლისიდან მომდინარეობს, თუმცა ახლანდელი დატვირთვა გაცილებით აღრე შეიძინა, ვიდრე ფეხბურთით დაავადებოდა მთელი დედამიწა.

მე-18 საუკუნის მიწურულს, ინგლისის დაბა დერბიში ადგილობრივ მცხოვრებლებს ერთი უცნაური ტრადიცია ჰქონდათ — ცოდვათა შენდობის სამშაბათს დაბა დერბის მთელი მოსახლეობა მონაწილეობდა თამაშში, რომელსაც ბევრი ბრიტანელი საფეხბურთო მკვლევარი ფეხბურთის უპირველეს წინამორბედად ასახელებს.

დაბა დერბის მოსახლეობის თამაშს დღევანდელ ფეხბურთთან მხოლოდ ბურთით თუ დააკავშირებ, თორემ სხვა მხრივ იგი სპორტის მეფედ აღიარებული ფეხბურთისგან ძალიან განსხვავდება — საქმე ისაა, რომ ცოდვათა სამშაბათს უკლებლივ ყველა, ვისაც თამაშში მონაწილეობის სურვილი ჰქონდა, ორ ნაწილად იყოფოდა (შეხედულებისამებრ, დავუშვით დასავლეთის ან აღმოსავლეთის მცხოვრებლებად) და ცდილობდნენ, ბურთი წმინდა პეტრეს სახელობის ეკლესიიდან ყოვლად წმინდა ანგელოზის ტაძრამდე მიეტანათ. გამარჯვებულად ის გუნდი ითვლებოდა, რომელიც შეძლებდა ბურთის მეტოქის, პირობითად რომ ვთქვათ, კარამდე მიტანას. ერთი რამ აუცილებლად უნდა დავძინოთ — დაბა დერბისეულ თამაშში არ იყო განსაზღვრული თამაშის დრო, სათამაშო ტერიტორია ან მოთამაშეთა რაოდენობა. წესი იყო ერთადერთი -და მარტივი — ბურთი მეტოქის კარამდე უნდა მიეტანათ.

ტერმინი დერბი მას შემდეგ ნელ-ნელა დამკვიდრდა და დროთა განმავლობაში მიივიწყეს კიდეც ის, რომ იგი თავდაპირველად აღნიშნავდა დაბა დერბის თამაშს და არა ერთი სოფლის, დაბის ან ქალაქის ორი გუნდის დაპირისპირებას. მე-18 საუკუნეში ზემოაღნიშნული თამაში უცბად გავრცელდა და სხვადასხვა ქალაქებში სხვადასხვა დღესასწაულებზე იმართებოდა.

დაბა დერბის თამაშის მსგავსია, ქართული ლელო, რომლის მთავარი წესიც, ბრიტანული თამაშის დარად, ერთი და მარტივია — ბურთი მეტოქის „კართან“ უნდა მიიტანო. ისევე როგორც ბრიტანული თამაში, საქართველოში ლელოც მივიწყებას ეძლევა, თუმცა მას სადღაც კვლავ თამაშობენ.

ინგლისში რამდენიმე ხნის წინ დაიბეჭდა წიგნი „მანჩესტერის ისტორია — დერბები“, რომელიც ბევრ საინტერესო ინფორმაციასა და ცნობასთან ერთად, ერთსაც გვეუბნება: „დღეს ჭეშმარიტი დერბები ქალაქ ეშბორნის გარდა აღარსად იმართება. თუ თქვენ ჭეშმარიტი დერბის ხილვა გსურთ, ეწვიეთ ეშბორნს და შეიგრძნობთ თამაშის სულს, მის სილამაზეს“...

დღეს დერბი უკვე აღარ ნიშნავს დაბა დერბის მოსახლეობის დაპირისპირებას. დღეს დერბად ითვლება მილანის „მილანის“ და „ინტერის“, მადრიდის „ატლეტიკოს“ და „რეალის“ შეხვედრა. მსოფლიო ფეხბურთში უამრავი ცნობილი დერბია — მილანური, ლონდონური, მადრიდული, ბუენოს აირესული, სევილიური, ტურინული, ბარსელონური, ლივერპულური, არსებობს თბილისურიც...

ალბათ, ძალიან დიდი განსხვავებაა მაშინდელ და დღევანდელ დერბის შორის.

ლაშა გოდუაძე



...როცა ლონდონის „არსენალი“ ეთამაშება ლონდონის „ტოტენჰემს“

ნგრევა ამერიკაში

ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი



REUTERS პორტლენდიდან

რუსეთი — იაპონია 5:0. დიდმა პატარას აჯობა

მსოფლიოს ჩემპიონი ნორვეგია პირველია მიმდინარე გათამაშების მონაწილეთაგან, რომელიც მეოთხედფინალში გავიდა. ჯგუფური ტურნირის მეორე შეხვედრაში ნორვეგიელებმა კანადელ მეტოქეებს 7:1 მოუგეს და შემდეგ წრეში თამაში დაიბევეს.

თავდამსხმელმა ენ კრისტინ არონესმა, რომელმაც პირველი შეხვედრა მუხლის ტრავმისა და დიდი სიცხის გამო გამოტოვა, კანადელებთან დიდი ანგარიშით გამარჯვებას დაუდო სათავე. ნორვეგიელთა ზეობის შემდეგ, „ჯეკ კენტ კუკის“ სტადიონზე შეკრებილი 16 ათასი ქომაგი მოწყენილი სრულიადაც არ იყო.

არონესმა, 1995 წელს შვედეთში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა, ანგარიში მერვე წუთზე გახსნა დაახლოებით ექვსი მეტრიდან.

31-ე წუთზე კანადელთა თავდამსხმელმა კარმენ ჰუპერმა ანდრეა რილის საჯარიმო დარტყმის შემდეგ სხვაობა კი გააბათილა, მაგრამ თანაფარდობა დიდხანს არ გაგრძელებულა — მალე არონესმა მეორე გოლი გაიტანა. მთლიანობაში კარიერის მანძილზე არონესს მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე რვა გოლი გაუტანია.

1995 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ნორვეგიამ კანადა 7:0 დაამარცხა. ახლაც შვიდი გოლი გაუტანა მეტოქეს, მაგრამ კიდევ მეტის შეგდება შეეძლო.

62-ე წუთზე ნორვეგიელმა ლინდა მედალენმა კიდევ ერთი გოლი გაიტანა. ეს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მისი მეცხრე გოლი აღმოჩნდა, კარიერის მანძილზე კი — 64-ე.

ჯგუფის მეორე შეხვედრაში რუსეთმა 5:0 დაამარცხა იაპონია და მეოთხედფინალისკენ წაიწია.

D ჯგუფში შვედეთმა 3:1 აჯობა ავსტრალიას.

სკანდინავიელთა წარმატება ავსტრალიის ნაკრების დაცვის უხეშმა შეცდომამ განაპირობა. შვედეთის გუნდის ნახევარმცველმა ჰანა ლუნგბერგმა ტაიმებში თითო გოლი გაიტანა.

21-ე წუთზე ავსტრალიელთა მეკარემ ბელინდა კიჩინგმა უყურადღებოდ ითამაშა და ლუნგბერგსაც ბურთის კარში შეგორება არ გასჭირვებია.

ამავე ჯგუფში, 1996 წლის ატლანტის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორმა ჩინეთმა განა არ დაინდო — 7:0 სრული ტრიუმფით.

ჩინეთი, მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელ აშშ-ს ნაკრებთან ერთად ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტად ითვლება.

ირაკლი ილაჯვილი

WOMEN'S WORLD CUP USA 99 FIFA

A ჯგუფი

აშშ	1	1	0	0	3:0	3
ნიგერია	1	1	0	0	2:1	3
კორეა	1	0	0	1	1:2	0
დანია	1	0	0	1	0:3	0

B ჯგუფი

ბრაზილია	1	1	0	0	7:1	3
გერმანია	1	0	1	0	1:1	1
იტალია	1	0	1	0	1:1	1
მექსიკა	1	0	0	1	1:7	0

C ჯგუფი

ნორვეგია 7:1 კანადა

1:0 არონესი (8), 1:1 ჰუპერი (31), 2:1 არონესი (36), 3:1 ლეანი (49), 4:1 რიისე (54), 5:1 მედალენი (62), 6:1 პეტერსენი (76), 7:1 გულბრანდსენი (82)

რუსეთი 5:0 იაპონია

1:0 სავინა (29), 2:0 ლეტუჩოვა (52), 3:0 კარასევა (58), 4:0 ბარბაჩინა (80), 5:0 ლუტუჩოვა (90)

ნორვეგია	2	2	0	0	9:2	6
რუსეთი	2	1	0	1	6:2	3
კანადა	2	0	1	1	2:3	1
იაპონია	2	0	1	1	1:6	1

D ჯგუფი

შვედეთი 3:1 ავსტრალია

1:0 ტორნკვისტი (9), 2:0 ლუნგბერგი (21), 2:1 მიურეი (32), 3:1 ლუნგბერგი (69)

ჩინეთი 7:0 განა

1:0 ვენ სუნი (9), 2:0 ზაო (16), 3:0, 4:0 ვენ სუნი (21, 54), 5:0, 6:0 ზანგო (82, 89), 7:0 ზაო (90)

ჩინეთი	2	2	0	0	9:1	6
შვედეთი	2	1	0	1	4:1	3
ავსტრალია	2	0	1	1	2:4	1
განა	2	0	1	1	1:9	1

გრანდიოზული გეგმა

თუ ახალი მუშა ჯგუფის ამბიციურ გეგმებს ხორცი შეესხმება, „ევერტონის“ ფანებს, სულ მალე, მოვაგლახე მერსისაიდული გუნდის მომავლის განსაზღვრაში დიდი როლის თამაში მოუწევთ. „ევერტონ კონსორციუმის“ ინვესტორებმა, ლონდონში გამართულ თათბირზე, „გუდისონ პარკის“ ბინადართა მზარდი ფინანსური კრიზისიდან 65 მილიონ გირვანქად გამოყვანის გეგმა დასახეს და იმედოვნებენ, რომ დაახლოებით 20 მილიონს გულშემატკივრები შეაწევენ.

ევერტონელ დონ ჰაჩისონს და მის თანაკლუბელებს გულშემატკივრების იმედი აქვთ

საფეხბურთო ლიგის ერთ-ერთი დამფუძნებელი, „ევერტონი“, მძიმე კრიზისშია. კრიზისის მიზეზი 90-იანი წლებისთვის ალღოს ვერაღება გახლდათ. ახლა გუნდს 20 მილიონი გირვანქა მარტო საბანკო გადახარჯვის დასაფარავად სჭირდება. ყველაზე მოკრძალებული ანგარიშის თანახმად კიდევ 20 მილიონი კლუბის აქციათა პრეზიდენტ პიტერ ჯონსონის წილის გამოსყიდვას დაჭირდება (ეს წილი 68 პროცენტი გახლავთ და მის გაყიდვას ჯონსონი ჯერ კიდევ ნოემბერში აპირებდა), დაახლოებით 25 მილიონი კი „გუდისონ პარკის“ რკონსტრუქციისთვის უნდა გამოიყოს.

მერსისაიდელებს გაჭირვება განსაკუთრებით მაშინ დაუდგათ, როდესაც გუნდს შესაძლო მყიდველმა, ბილ კენრაიტმა ჯონსონის წილის გამოსასყიდი თანხა ვერ იშოვნა. სწორედ ამ კრიზისმა განაპირობა ის გარემოება, რომ გუნდის მწვრთნელი, უოლტერ სმიტი იძულებული შეიქნა „მარსელისთვის“ თავდამსხმელი იბრაჰიმ ბაკაიოკო მიეყიდა 4 მილიონ გირვანქად და ამ ფულით თურქული „ტრაბზონსფორიდან“ ნათხოვარი კევინ კემპბელი საბოლოოდ გამოესყიდა.

მაგრამ, მიუხედავად ასეთი სიდუხჭირისა, „ევერტონის“ ინვესტორებს იმედი აქვთ, რომ კლუბს გულშემატკივრები იხსნიან.

„ოთხმოციანი წლების შუიდან მოყოლებული გრძელდება სევდიანი ამბავი „ევერტონის“ დაკნინებისა და დროა ამის საწინააღმდეგოდ ნაბიჯი გადაიდგას“ — განაცხადა კლუბის პრეს ატაშემ მაიკ ოუენმა — „ჩვენ გამოსავალი უნდა მოვძებნოთ და გვინდა კლუბის საქმეთა გამოსწორებაში თავიანთი წვლილი ფანებმაც შეიტანონ. მართალია, ბოლო დროს ცუდად თამაშობს, მაგრამ „ევერტონი“ კვლავ რჩება ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე მრავალგულშემატკივრიან კლუბად და ამიტომაც გვაქვს მხარდაჭერის იმედი.“

მუშა ჯგუფის სურვილია „გუდისონ პარკის“ აუდიტორიიდან 20 ათასმა, სათითაო 1000 დოლარის აქცია შეიძინოს, ხოლო დანარჩენი 45 მილიონის შოვნას ქალაქიდან და სესხად აპირებენ. „ევერტონის“ საშუალო დასწრება 35 ათასი გახლავთ (გასული სეზონის მონაცემთა თანახმად) და ეს მაჩვენებელი პრემიერლიგაში მეექვსეა. ამიტომაც ჰგონიათ ჯგუფის წევრებს, რომ გუნდის ასეთი მხარდაჭერა ფულში გამოისახება.

პროფესორი სტივენ შიმანსკი, მენეჯმენტის იმპერიული კოლეჯის ლექტორი და საფეხბურთო ფინანსების ექსპერტი ამბობს: „ევერტონის“ ქომაგები ინგლისში ყველაზე დიდი ერთგულებით გამოირჩევიან და შეუძლიათ გვაჩვენონ, რომ ცუდი თამაშის მიუხედავად, მათ გუნდს მომავალში მაღალი ადგილებისთვის შეუძლია ბრძოლა. მათი მხარდაჭერითა და სწორი მნეჯმენტის წყალობით შესაძლოა მართლაც ყველაფერი გამოსწორდეს.“

იან სპრეგი

ქირავდება
ერთოთახიანი ბინა
ქავთარაძის ქუჩაზე
Tel: 931572

დიდი ჩვიდმეტი

კანონი 4

მოთამაშეთა აღჭურვილობა

მოთამაშეს უფლება არ აქვს, აღიჭურვოს ნივთით, რომელმაც მას ან რომელიმე სხვა ფეხბურთელს შეიძლება სხეული დაუზიანოს (ნებისმიერი სახის სამკლაურის ჩათვლით).

მოთამაშეთა ძირითად აღჭურვილობაში შედის: მაისურა; შორტი (შორტის ქვეშ თბილი ტრუსები, შორტის ძირითადი ფერისა უნდა იყოს); გეტრი; წვივსაფარი; ფეხსაცმელი.

წვივსაფარი გეტრით უნდა დაიფაროს. ის დამზადებული უნდა იყოს მისაღები მასალისგან (რეზინი, პლასტიკატი ან მონათესავე ნივთიერება).

მეკარეს უნდა ემოსოს სხვა ფეხბურთელთაგან განსხვავებული ფერის მაისურა. მისი ფერი აგრეთვე უნდა განსხვავდებოდეს მსაჯისა და თანამსაჯთა ფორმის ფერისგან.

მეოთხე კანონის დარღვევის შემთხვევაში:

ა) თამაშის შეჩერება აუცილებელი არ არის;

ბ) მოთამაშეს, რომელსაც სამოსი არასწორად აცვია, მსაჯი მიუთითებს და ფორმის მოსაწესრიგებლად მოედნის გარეთ გასვლას თხოვს;

გ) მოთამაშე მოედნიდან გადის, სამოსს მოიწესრიგებს და დაბრუნდება თამაშის პირველივე შეჩერების დროს;

დ) სამოსის მოსანესრიგებლად მოედნიდან გასულ ფეხბურთელს მსაჯის ნებართვის გარეშე დაბრუნება არ შეუძლია;

ე) მოედანზე დაბრუნების წინ მსაჯმა უნდა შეამოწმოს, მოიწესრიგა თუ არა მოთამაშემ ფორმა;

ვ) თუ მოთამაშე, რომელმაც მოედანი სამოსის მოსაწესრიგებლად დატოვა, თამაშში მსაჯის დაუკითხავად დაბრუნდება, იგი ყვითელი ბარათით უნდა დაისაჯოს.

თუ მსაჯმა შეხვედრა მოთამაშის გასაფრთხილებლად გააჩერა, განახლებისას გაფრთხილებულის მეტოქე გუნდმა თავისუფალი საჯარიმო დარტყმა უნდა შეასრულოს იმ ადგილიდან, სადაც მსაჯმა მატჩი შეწყვიტა.

კანონი 5

მსაჯი

ნებისმიერ შეხვედრას მსაჯი აკონტროლებს. მას ენიჭება სრული უფლება, ხორცი შეასხას თამაშის წესებს იმ მატჩში, რომლის მსაჯადაც არის დანიშნული.

ძალაუფლება და მოვალეობა

ა) მსაჯი ხორცს ასხამს ფეხბურთის წესებს;

ბ) თანამსაჯებთან ერთად აკონტროლებს შეხვედრას. მას ეხმარება მეოთხე არბიტრიც, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად ამოწმებს, რამდენად აკმაყოფილებს ბურთი მეორე კანონში ჩამოწერილ მოთხოვნებს;

გ) მსაჯი ამოწმებს, შეესაბამება თუ არა მოთამაშეთა აღჭურვილობა მეოთხე კანონში ჩამოწერილ მოთხოვნებს;

დ) აკონტროლებს თამაშის დროს და ანგარიშს;

ე) კანონების დარღვევის შემთხვევაში, აჩერებს, აუქმებს ან გადადებს მატჩს;

ვ) გარეშე ჩარევის შემთხვევაში, აჩერებს, აუქმებს ან გადადებს მატჩს;

ზ) თუ ჩათვლის, რომ მოთამაშე სერიოზულად დაშავდა, აჩერებს მატჩს და აკონტროლებს დაშავებულის მოედნიდან გაყვანას;

თ) თუ ჩათვლის, რომ მოთამაშე მსუბუქად დაშავდა, არ აჩერებს შეხვედრას;

ი) აკონტროლებს დატოვა თუ არა მოედანი მოთამაშემ, რომელსაც სისხლი სდიოდა. ასეთ მოთამაშეს მოედანზე დაბრუნება მხოლოდ მსაჯის ნებართვით შეუძლია;

კ) თუ მოთამაშის წინააღმდეგ მეტოქე იუხეშებს, მაგრამ მის გუნდს მწვავე შეტევის შესაძლებლობა ეძლევა, მსაჯი შეხვედრას არ აჩერებს. იგი შეხვედრას იმ შემთხვევაში გააჩერებს, თუ უხეშობამ მწვავე შეტევა ჩაშალა.

ლ) თუ მოთამაშემ ერთდროულად რამდენჯერმე იუხეშა, მსაჯი ამ უხეშობათაგან ყველაზე სერიოზულს აფასებს და სჯის;

მ) სჯის უხეშ მოთამაშეს: ყვითელი ბარათით აფრთხილებს ან მოედნიდან აძევებს. იგი არაა ვალდებული დაუყოვნებლივ დასაჯოს ფეხბურთელი. შეუძლია დაელოდოს, სანამ ბურთი მოედანს დატოვებს.

ნ) მსაჯს შეუძლია, დასაჯოს გუნდების თავშეუკავებელი ხელმძღვანელები და გააძევოს მოედნის შემოგარენიდან;

ო) მსაჯი ითვალისწინებს თანამსაჯის მონაყოლს იმ ეპიზოდზე, რომელიც თავად ვერ შენიშნა;

პ) აკონტროლებს გარეშე პირთა მოედანზე ყოფნა-არყოფნას;

ჟ) შეწყვეტის შემდეგ მატჩს განაახლებს;

რ) მატჩის მსვლელობისას ან მისი დამთავრების შემდეგ შესაბამის ოფიციალურ პირთ გადასცემს მოხსენებას, რომელშიც შეტანილია ინფორმაცია ინციდენტების, ფეხბურთელთა ან გუნდის ხელმძღვანელთა დასჯის შესახებ.

მსაჯის გადაწყვეტილებანი

მატჩთან დაკავშირებული ფაქტების მსაჯისეული შეფასება საბოლოოა. მსაჯს თავისი გადაწყვეტილების შეცვლა მხოლოდ თანამსაჯთან თათბირის შემდეგ შეუძლია.

ფეხბურთის საერთაშორისო ასოციაციის საგანგებო კომიტეტის გადაწყვეტილებანი:

1. მსაჯი (ან შესაბამის სიტუაციებში თანამსაჯი და მეოთხე არბიტრი) პასუხისმგებელი არ არის:

ა) მოთამაშის, ოფიციალური პირის ან მაყურებლის დაშავებაზე;

ბ) ნებისმიერი სახის ქონების დაზიანებაზე;

გ) ნებისმიერი სახის ზარალზე, რომელიც ინდივიდუმს, კლუბს, კომპანიას, ასოციაციას ან რომელიმე სხვა ორგანიზაციას მოუვიდა და რომელიც დაკავშირებული იყო მსაჯის საფეხბურთო წესებთან გამომდინარე გადაწყვეტილებასთან.

ეს შეიძლება შეიცავდეს:

ა) გადაწყვეტილებას, რომელიც მოედნის ან მისი შემოგარენის, ამინდის და სხვა მსგავსი პირობების გამო შეხვედრის ჩატარება-არჩატარებას ეხება;

ბ) მატჩის გაუქმებას ნებისმიერი მიზეზით;

გ) გადაწყვეტილებას, რომელიც მატჩის მსვლელობისას აღჭურვილობის მდგომარეობამ უკარნახა. აქ იგულისხმება ბურთის, ძელების, ხარიხის, ალმების და სხვა ნივთების ვარგისიანობა;

დ) მატჩის გაუქმებას მაყურებლის მოედანზე შეჭრის ან ტრიბუნაზე მომხდარი ექსცესის გამო;

ე) მატჩის შეწვეტას ან არ შეწყვეტას მოთამაშის დაშავების თუ სამკურნალოდ მოედნიდან გაყვანის გამო;

ვ) დაჟინებულ მოთხოვნას, რომ დაშავებულმა მოთამაშემ მოედანი დატოვოს;

ზ) გადაწყვეტილებას მოთამაშის სამოსის გამო;

თ) გადაწყვეტილებას გუნდის ან სტადიონის წარმომადგენლების, ფოტოგრაფების, ჟურნალისტების, დაცვის წევრების და სხვა პირთა მოედნის სიახლოვეს ყოფნა-არყოფნასთან დაკავშირებით;

ი) ნებისმიერ სხვა გადაწყვეტილებას, რომლის მიზეზიც საფეხბურთო კანონთა დაცვა და ფიფას, კონფედერაციის, ასოციაციის ან ლიგის წესთა მორჩილება გახლდათ.

კანონი 6

თანამსაჯი
მოვალეობანი

მატჩს ემსახურება ორი თანამსაჯი, რომელთა მოვალეობაა, შენიშნოს და აღნიშნოს:

ა) ბურთის მოედანს გარეთ სრული გადასვლა;

ბ) რომელ გუნდს უნდა მიენიჭოს კუთხურის, აუტის და კარიდან დარტყმის უფლება;

გ) მოთამაშის შეცვლის მოთხოვნა;

დ) ნებისმიერი ინციდენტი, რომელიც მსაჯს გამოეპარა.

გარდა ჩამოთვლილისა, თანამსაჯი მსაჯს ეხმარება მატჩის საფეხბურთო წესების თანახმად მართვაში. თუ თანამსაჯი არასწორად იქცევა, მსაჯს შეუძლია იგი მოვალეობისგან გაათავისუფლოს და ამ განთავისუფლების შესახებ ოფიციალურ პირებს აცნობოს.

კანონი 7

მატჩის ხანგრძლივობა

საფეხბურთო მატჩი ორი თანაბარი, 45-წუთიანი ნახევრისგან შედგება. წინააღმდეგ შემთხვევაში მსაჯი და მონაწილე გუნდები სხვა ვარიანტზე უნდა შეთანხმდნენ (მაგალითად, ტაიმთა 40 წუთამდე შემცირებაზე), მაგრამ ამ შემთხვევაშიც შეხვედრა საფეხბურთო წეს-კანონთა შესაბამისად უნდა ჩატარდეს.

ტაიმებს შორის შესვენება 15 წუთზე დიდხანს არ უნდა გაგრძელდეს. საფეხბურთო წესები შესვენებაზეც ვრცელდება. შესვენების დაწყებასა და დასრულებას მხოლოდ მსაჯი განაზღვრავს, რადგან ამატებს „დაკარგულ დროს“.

დაკარგულ დროში იგულისხმება წამები, რომლებიც დაიკარგა:

ა) შეცვლისას;

ბ) დაშავებული მოთამაშის დახმარებისას;

გ) დაშავებული მოთამაშის მოედნიდან გაყვანისას;

დ) დროის გაყვანისას;

ე) სხვა შემთხვევაში.

თუ პენალტი ბოლოწამს დაინიშნება (ან ხელახლაა დასარტყმელი), ტაიმის ხანგრძლივობა მის დარტყმამდე გრძელდება.

შეჯიბრების წესებიდან გამომდინარე, შეიძლება დაინიშნოს დამატებითი დრო, რომელიც მერვე კანონშია განხილული.

გადადებული (გაუქმებული) შეხვედრა ხელახლა უნდა გაიმართოს, თუ კონკრეტული შეჯიბრების წესები სხვას არ ითხოვს.

კანონი 8

მატჩის დაწყება
და განახლება

მატჩის დაწყებამდე ააგდებენ მონეტას და გუნდი, რომელიც ამ კენჭისყრას მოიგებს, ირჩევს პირველ ტაიმში რომელ კარს შეუტიოს. კენჭისყრაში დამარცხებული გუნდი თამაშს დაიწყებს. მეორე ტაიმში გუნდები კარებს ცვლიან.

თამაში ბურთის ცენტრიდან დარტყმით იწყება. ამის გარდა, ბურთს ცენტრიდან არტყამენ გოლის გასვლის შემდეგ; მეორე ტაიმის დაწყებისას და დამატებითი დროის ორივე ტაიმის დაწყებისას.

ცენტრიდან ბურთის დარტყმით გოლის გატანა ნებადართულია.

ცენტრიდან ბურთის დარტყმის დროს

ა) ყველა თამაშაე მოედნის საკუთარ ნახევარზე დგას;

ბ) ბურთის თამაშში შეყვანამდე უახლოესი მეტოქე სულ მცირე 9,15 მეტრით უნდა იყოს დაშორებული;

გ) დარტყმამდე ბურთი მოედნის ცენტრში უძრავად უნდა იდოს;

დ) დასარტყმელად მსაჯი იძლევა ნიშანს;

ე) ბურთი თამაშშია, როდესაც მას ფეხი მიარტყეს და იგი გაგორდა;

ვ) მოთამაშეს, რომელიც ბურთს პირველად შეეხება, მასთან მეორედ შეხების უფლება არ აქვს, სანამ რომელიმე სხვა მოთამაშე არ მიეკარება.

თუ ფეხბურთელი, რომელმაც თამაში ცენტრიდან დაიწყო, სხვის მიკარებამდე მეორედ შეეხო ბურთს, დაინიშნება თავისუფალი საჯარიმო დარტყმა იმ ადგილიდან, სადაც წესი დაირღვა.

ნებისმიერი სხვა დარღვევის შემთხვევაში ცენტრიდან დარტყმას გაიმეორებენ.

სადავო ინიშნება იმ შემთხვევაში, თუ მსაჯმა შეხვედრა თამაშის პროცესში შეაჩერა.

სადავოს დროს მსაჯი ბურთს დააგდებს იმ ადგილას, სადაც ის თამაშის შეწყვეტის მომენტში იყო. როგორც კი ბურთი მოედანს შეეხება, თამაში განახლებულად ითვლება.

სადავოს თავიდან ჩააგდებენ, თუ:

ა) ბურთს გრუნტზე დავარდნამდე შეეხო რომელიმე მოთამაშე;

ბ) ბურთი გრუნტთან შეხების შემდეგ მოთამაშის ჩაურევლად მოედანს დატოვებს.

საგანგებო მდგომარეობები

თუ რომელიმე გუნდმა საკუთარი მეკარის ბაქნიდან ჯარიმის დარტყმის უფლება მოიპოვა, მას შეუძლია, ბურთი ბაქნის ნებისმიერ ადგილას დადოს და იქიდან დაარტყას.

თუ შემტევი გუნდი მეტოქის მეკარის ბაქანში თავისუფალი საჯარიმო დარტყმის უფლებას მოიპოვებს, დარტყმა შესრულდება კარის ხაზის პარალელური ბაქნის ხაზიდან; დარღვევის ადგილის უახლოესი წერტილიდან.

თუ მატჩი რომელიმე მეკარის ბაქანში შეწყდა და სადავოთი უნდა გაგრძელდეს, სადავოს წესის დარღვევის ადგილის უახლოეს წერტილზე, კარის ხაზის პარალელურ ბაქნის ხაზზე ჩააგდებენ.

კანონი 9

ბურთი თამაშშია თუ არა

ბურთი თამაშში არ არის, თუ:

ა) მან აუტის ან კარის ხაზი, მინაზე ან ჰაერში, სრულიად გადაკვეთა;

ბ) მსაჯმა მატჩი შეაჩერა.

ნებისმიერ სხვა შემთხვევაში ბურთი თამაშშია. მაშინაც, თუ:

ა) იგი ძელმა ან კუთხურის ალამმა აისხლიტა და მოედანზე დაბრუნდა;

ბ) იგი მოედანზე მყოფმა მსაჯმა ან თანამსაჯმა აისხლიტა.

კანონი 10

გოლი

გოლი ითვლება, როდესაც იგი კარის ხაზს ძელებს შორის და ხარიხას ქვემოთ გადაკვეთავს, ხოლო მანამდე ფეხბურთის რომელიმე წესი არ დარღვეულა.

გუნდი, რომელიც მატჩის განმავლობაში მეტოქეზე მეტ გოლს გაიტანს, გამარჯვებულია. თუ ორივე გუნდმა გოლების თანაბარი რაოდენობა გაიტანა (ან საერთოდ ვერ გაიტანა), მატჩის შედეგი ფრეა.

თუ მატჩი ფრედ დამთავრდა, შეჯიბრების დებულებიდან გამომდინარე, შეიძლება დაინიშნოს დამატებითი დრო ან ჩატარდეს გამარჯვებულის გამოსავლენი რაიმე სხვა პროცედურა, რომელიც ფეხბურთის საერთაშორისო ასოციაციის საგანგებო კომიტეტის მიერაა დამტკიცებული.

პაპუნა კედია

გაგრძელება იქნება

სადავო



1, 2 და 3 — გოლი არ არის
4 — გოლია

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

ინტერტოტო. I ეტაპი. საპასუხო მატჩები

26.06	ნარვა (ესტონეთი) — იოკერიტი (ფინეთი)	(10,0-1,02)	2,5	2,9	2,5
	ფლორიანა (მალტა) — აბერისტუითი (უელსი)	(1,15-4,0)	1,5	3,4	5,6
	ბაზელი (შვეიცარია) — კოროტანი (სლოვენია)	(1,15-4,0)	1,4	3,5	7,0
	ტრენჩინი (სლოვაკეთი) — პობედა (მაკედონია)	(2,0-1,5)	1,5	3,3	6,0
	ჟილინა (სლოვაკეთი) — ჰერფოლგე (დანია)	(1,02-10,0)	1,9	3,0	3,3
	ვენტსპილსი (ლატვია) — ვალერენგა (ნორვეგია)	(4,0-1,15)	3,4	2,9	2,0
	ტილიგული (მოლდოვა) — პოლონია (პოლონეთი)	(25,0- —)	3,2	2,9	2,1
	არარატი (სომხეთი) — ბაკაუ (რუმინეთი)	(1,5-2,0)	3,0	2,9	2,2
	სტ. ტრუიდენი (ბელგია) — სპარტაკი (ბულგარეთი)	(1,02-10,0)	1,3	4,0	7,5
	ვარტექსი (ხორვატია) — ვიტებსკი (ბელარუსი)	(1,01-15,0)	1,25	4,4	8,0
	ვაშაში (უნგრეთი) — უნიონი (ლუქსემბურგი)	(— -25,0)	1,15	5,6	10,0
	ნიური (ჩრდ. ირლანდია) — დრაგოვოლიაცი (ხორვატია)	(4,0-1,15)	4,0	3,0	1,8
	გოტუ (ფარერები) — იედინსტვო (ბოსნია)	(7,5-1,05)	2,8	2,9	2,3
	ტეუტა (ალბანეთი) — აკრანესი (ისლანდია)	(25,0- —)	2,3	2,9	2,8
	კოლხეთი (საქართველო) — ცემენტარნიცა (მაკედონია)		ანგარიში —		5,0
	ყარაბაღი (აზერბაიჯანი) — მაკაბი (ჰაიფა)	(1,6-1,8)	3,3	3,0	1,9
27.06	ქსამაქსი (შვეიცარია) — შელბურნი (ირლანდია)	(1,15-4,0)	1,3	4,0	7,5
	გომელი (ბელარუსი) — ჰრადეც კრალოვე (ჩეხეთი)	(2,5-1,35)	2,3	2,9	2,8
	ეკრანასი (ლიტვა) — ჩაჰლაული (რუმინეთი)	(2,0-1,5)	2,0	3,0	3;1
	ჰალმსტადი (შვედეთი) — რუდარი (სლოვენია)	(1,2-3,5)	1,35	3,8	7,0

ესპანეთის ჩემპიონატი. პლეი ოფი. I მატჩები

27.06	სევილია — ვილიარეალი	1,7	3,1	4,4
	რაიო ვალეკანო — ესტრემადურა	1,7	3,1	4,4

რუსეთის ჩემპიონატი. XIII ტური

27.06	ტორპედო — ჩერნომორეცი	1,25	4,4	8,0
	0:1	1,8	3,3	2,8
	სატურნი — როტორი	3,4	2,9	2,0
	ჟემჩუჟინა — ცსკა	4,7	3,3	1,6
	ლოკომოტივი — სპარტაკი	2,9	2,8	2,3
	დინამო — ზენიტი	1,6	3,0	5,6
	კრილია — შინიკი	1,8	2,9	4,2
	ალანია — ურალანი	1,25	4,4	8,0
	0:1	1,8	3,3	2,8
	ნ. ნოვგოროდი — როსტსელმაში	2,4	2,8	2,7

ნორვეგიის ჩემპიონატი. XIII ტური

26.06	ოდ გრენლანდი — რუსენბორგი	4,2	2,9	1,8
27.06	ლილესტრომი — მოლდე	1,9	2,8	3,8
	მოსი — ბრანი	2,6	2,9	2,4
	სკეიდი — ბოდო გლიმტი	1,7	3,0	4,7
	ტრომსო — სტრომგოდსეტი	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3
	სტაბეკი — ვიკინგი	1,6	3,0	5,6

შვედეთის ჩემპიონატი. XII ტური

27.06	ტრელებორგი — იორგრიტე	2,8	2,9	2,3
28.06	იურგარდენი — მალმიო	2,3	2,9	2,8
	გიოტებორგი — იორებრო	2,0	2,8	3,5
	ელფსბორგი — ფრიოლუნდა	2,0	2,8	3,5
	ნორჩიოპინგი — აიკ	3,5	2,8	2,0

ესპანეთის თასის ფინალი. (სევილია)

26.06	ვალენსია — ატლეტიკო	2,2	2,9	3,0

ავსტრიის სუპერთასი

26.06	შტურმი — ლინცერი	1,6	3,2	5,0

ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი. III ტური

26.06	ნორვეგია — იაპონია	1,15	5,6	10,0
	კანადა — აშშ	10,0	4,4	1,15
	ჩინეთი — ავსტრალია	1,15	5,6	10,0
	განა — შვედეთი	10,0	5,6	1,15
27.06	ნიგერია — დანია			
	გერმანია — ბრაზილია			
	მექსიკა — იტალია			
	აშშ — კორეა			

კოეფიციენტებს ადგილზე გაეცნობით

კალათბურთი. NBA. ფინალის V მატჩი

25.06	ნიუ იორკი — სან ანტონიო	1,5	12,0	2,6

კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი

26.06	ესპანეთი — საფრანგეთი	1,6	12,0	1,8
	სლოვენია — იუგოსლავია	4,0	12,0	1,15
	რუსეთი — ისრაელი	1,1	12,0	5,0
	ლიტვა — თურქეთი	1,1	12,0	5,0
	ჩეხეთი — ხორვატია	4,0	12,0	1,15
	იტალია — გერმანია	1,15	12,0	4,0

ფორმულა 1. VII ეტაპი. საფრანგეთი. მანი-კური

პილოტები (I ად; I-VI ადგ; პოული)

27.06	ჰაკინენი (ფინეთი, მაკლარენი)	2,0	1,3	2,0
	მ. შუმახერი (გერმანია, ფერარი)	2,0	1,2	2,0
	ირვინი (ირლანდია, ფერარი)	4,0	1,4	3,5
	კულჰარდი (ბრიტანეთი, მაკლარენი)	5,0	1,5	5,0
	ფრენცენი (გერმანია, ჯორდანი)	15,0	1,7	20,0
	ფიზიკელა (იტალია, ბენეტონი)	20,0	2,2	25,0
	რ. შუმახერი (გერმანია, უილიამსი)	20,0	2,0	25,0
	ბარიჩელო (ბრაზილია, სტიუარტი)	30,0	2,5	30,0
	ჰილი (ბრიტანეთი, ჯორდანი)	30,0	2,5	30,0
	ჰერბერტი (ბრიტანეთი, სტიუარტი)	30,0	2,5	30,0
	ვილნევი (კანადა, ბარ)	20,0	2,0	20,0
	ალეზი (საფრანგეთი, ზაუბერი)	20,0	2,0	20,0
	ძანარდი (იტალია, უილიამსი)	40,0	3,0	40,0
	ვურცი (ავსტრია, ბენეტონი)	40,0	3,0	40,0
	პანი (საფრანგეთი, პროსტი)	30,0	2,5	30,0
	ტრული (იტალია, პროსტი)	40,0	3,0	30,0
	დინიცი (ბრაზილია, ზაუბერი)	40,0	3,0	40,0
	ნებისმიერი სხვა მონაწილე (თითოეული)	*70,0*	*5,0*	*50,0*

გუნდებს შორის გამარჯვებული

ფერარი	1,8
მაკლარენი	1,8
ჯორდანი	4,0
ბენეტონი	8,0
უილიამსი	8,0
სტიუარტი	10,0
ზაუბერი	12,0
პროსტი	12,0

ნებისმიერი სხვა მონაწილე (თითოეული) — 15,0

პირველი სამეული დაკავებული ადგილების მიხედვით — 10,0

ფორმულა 1-ის კოეფიციენტების გადამრავლება სპორტის სხვა სახეობებზე არ შეიძლება.

ერთმანეთზე შეიძლება მხოლოდ ექვსეულში მოხვედრის კოეფიციენტები გადამრავლდეს (არაუმეტეს ექვსისა)

რიგელი გუნდი გაიმარჯვებს

მანჩესტერი	2,5
მილანი	2,5
ბარსელონა	2,5
ლაციო	4,0
ფიორენტინა	5,0
პარმა	5,0
ბაიერნი	5,0
რეალი	6,0
არსენალი	7,0
ჩელსი	7,0
დორტმუნდი	10,0
ლევერკუზენი	10,0
მარსელი	10,0
ბორდო	10,0
ვალენსია	10,0
მალიორკა	15,0
ჰერტა	15,0
ლიონი	15,0
ფეიენოორდი	15,0
ეინდჰოვენი	15,0
პორტუ	15,0
დინამო (კიევი)	15,0
სპარტაკი	25,0
რუსენბორგი	25,0
კროაცია	25,0
პარტიზანი	25,0
გენკი	25,0
ოლიმპიაკოსი	50,0
აეკ	50,0
გალათასარაი	50,0
ბოავიშტა	50,0
ცსკა (მოსკოვი)	50,0
ბეშიქთაში	50,0
რეინჯერსი	50,0

ნებისმიერი სხვა გუნდი (თითოეული) 100,0

ჩემპიონთა თასი

UEFA CHAMPIONS LEAGUE

რიგელი ქვეყნის წარმომადგენელი გაიმარჯვებს

იტალია	2,0
ესპანეთი	2,4
ინგლისი	2,4
გერმანია	3,0
საფრანგეთი	5,0
ჰოლანდია	8,0
პორტუგალია	15,0
უკრაინა	15,0
ნორვეგია	25,0
რუსეთი	25,0
ხორვატია	25,0
ბელგია	25,0
იუგოსლავია	25,0
საბერძნეთი	50,0
თურქეთი	50,0
შოტლანდია	50,0

ნებისმიერი სხვა ქვეყანა (თითოეული) 100,0

უეფას თასი

UEFA CUP

რიგელი ქვეყნის წარმომადგენელი გაიმარჯვებს

იტალია	2,5
ესპანეთი	3,0
ინგლისი	3,0
გერმანია	5,0
საფრანგეთი	8,0
ჰოლანდია	8,0
პორტუგალია	12,0
ბელგია	15,0
რუსეთი	25,0
ხორვატია	30,0
იუგოსლავია	30,0
ჩეხეთი	50,0
ნორვეგია	50,0
თურქეთი	50,0
შვეიცარია	50,0
შოტლანდია	50,0

ნებისმიერი სხვა ქვეყანა (თითოეული) 100,0

რიგელი გუნდი გაიმარჯვებს

იუვენტუსი	3,0
რომა	5,0
ლიდსი	7,0
ტოტენჰემი	7,0
ბოლონია	7,0
უდინეზე	7,0
აიაქსი	7,0
კაიზერსლაუტერნი	7,0
დეპორტივო	10,0
სელტა	10,0
ატლეტიკო	10,0
ნიუკასლი	10,0
ვერდერი	15,0
ვოლფსბურგი	15,0
ჰამბურგი	15,0
დუისბურგი	15,0
ვესტ ჰემი	15,0
მონაკო	15,0
ნანტი	15,0
ლანსი	15,0
რენი	25,0
მონპელიე	25,0
ბენფიკა	25,0
სპორტინგი	25,0
ვიტესი	25,0
ლოკომოტივი (მ)	25,0
ჰაიდუკი	25,0
ცრვენა ზვეზდა	25,0
ბრიუგე	25,0
ანდერლეხტი	25,0
სელტიკი	25,0
გიოტებორგი	25,0
პაოკ	50,0
პანათინაიკოსი	50,0
როდა	50,0
სლავია	50,0
ზენიტი	50,0
ფენერბაჰჩე	50,0
გრასჰოპერი	50,0
ლიერსი	50,0
ლოკერენი	50,0
სტ. ტრუიდენი	50,0
სტიაუა	50,0
დინამო (გუძარესტი)	50,0

ნებისმიერი სხვა გუნდი (თითოეული) 100,0

გადამრავლება შეიძლება მხოლოდ ქვეყნის ქვეყანაზე ან გუნდის გუნდზე. ქვეყნის და გუნდის გადამრავლება არ შეიძლება.
უეფას თასზე იმ გუნდებზე, რომლებიც სიაში არ არის შეტანილი, ფსონები არ მიიღება.

კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე; გლდანი, I სავაჭრო ცენტრი.
ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში.
ბათუმში — აჰმედ მელაშვილის ქუჩა 23. (ყოფილი კამოს ქუჩა)
რუსთავში — მაჩაბლის ქუჩა 3. პირიმზე, მეორე სართული.
გორში — სტალინის ქუჩა. ჭადრაკის კლუბი.

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

შტეფი გასაღებს არ კარგავს

REUTERS ლონდონიდან

შტეფი გრაფი

არმადა ჩაიძირა

უიმბლდონის პირველმა წრემ ისე ჩაიარა, პირველად 12 წლის მანძილზე ერთი განთესილი კაციც არ გავარდნილა. ასეთი იდილია დიდხანს, რა თქმა უნდა, ვერ გასტანდა.

პირველად სისხლი, რაც მოულოდნელი სულაც არ ყოფილა, მოთიხნარეებმა გაიღეს.

ცენტრალურ კორტზე ორი ყოფილი მსოფლიოს პირველი ჩოგნისა და საფრანგეთის ღია პირველობის გამარჯვებულს, ჯიმ კურიესა და კარლოს მოიას (12) ორთაბრძოლა ხუთსეტიან მარათონში გადაიზარდა. გამარჯვება ორივეს ძალიან სწყუროდა: თუ 1993-ის ფინალისტი ამერიკელი უკვე ხუთი წელია, უიმბლდონზე მეორე წრეს ვერ გასცდენოდა, ესპანელს ეს კარიერაშიც არასოდეს მოეხერხებინა.

კურიეს მეტოსახელად „კლდე" ჰქვია. ძნელი სათქმელია, შეუდარებელი გამძლეობისთვის, თუ იმის გამო, რომ მეტოქეები ისევე უშედეგოდ ეხეთქებიან მატჩის დროს ამ კედლად ქცეულ ამერიკელს, როგორც ტალღები ნაპირს. თუმცა უფრო ერთისთვისაც და მეორისთვისაც.

ამას უეჭველად დაადასტურებენ ჩოგბურთელები, რომლებიც კურიეს მისთვის უმნიშვნელოვანეს ტურნირზე, დევისის თასზე, შეებრძოლებიან. დიდი სლემის ტურნირების ოთხგზის ჩემპიონი ძველებურად დიდი ხანია, ვეღარ ირჯება, მაგრამ წლეულს გუნდურ ჩემპიონატზე ინგლისში მასპინძელთა ორივე ჯილას — ტიმ ჰენმანსა და გრეგ რუზეკის სწორედ ხუთხელიან მატჩებში აჯობა.

კარლოს მოიას ჯერ კიდევ თიხნარის ოსტატად იცნობენ, მაგრამ ბოლო ერთი წლის მანძილზე ბადესთან თამაშში ესპანელმა იმდენად მოუმატა, მალე ყველაფერი უნდა შეიცვალოს.

სწორედ ამ პროგრესის დამსახურება იყო, რომ 22 წლის მალიორკელი მეტოქეს არაფერში ჩამორჩა და საბოლოოდ მისი ქებაც დაიმსახურა. „ამაზე უკეთ მიღებაზე არასოდეს მითამაშია, მაგრამ კარლოსი მთელ გარჯას წყალში მიყრიდა ბადესთან არაჩვეულებრივი დარტყმებით. ვიფიქრე, ესპანელია, ამას მიჩვეული არ არის და მალე შეცდომებს გამოურევს-მეთქი, მაგრამ შენც არ მომიკვდე. მხოლოდ მატჩის ბოლოს გავტეხე."

მეხუთე სეტში მოიამ მოწოდება მეექვსე გეიმში წააგო და მაშინვე ცხვირი ჩამოუშვა, თან ისე, რომ ამის შემდეგ ტაბლოზე თავის ანგარიშს ვეღარაფერი მიუმატა. კურიეს კი, რომელსაც მოთამაშეთა ლოჟიდან თანამემამულე ანდრე აგასი ქომაგობდა თავგადადებით, სამსაათიანი მატჩის ბოლოს დაღლაც კი არ ეტყობოდა — 6:3, 3:6, 7:6 (7:1), 3:6, 6:2.

„კარგი იქნებოდა, ყველა შეხვედრა ცენტრალურ კორტზე ჩამეტარებინა, მიყვარს დიდი შოუ — აღნიშნა ლამის ხორცთან შეზრდილ თეთრ კეპში გამოწყობილმა კურიემ და გულშემატკივრობისთვის არც აგასისთვის მადლობის თქმა დავიწყებია — ამერიკელები ერთმანეთის მხარდაჭერას ვსწავლობთ, რასაც არაფერი სჯობს. ეჭვიანობა და შური წარსულს ჩაბარდა, ჩვენ ახლა გულწრფელად ვენდობით და ვემხრობით ერთიმეორეს."

თუმცა მაინცდამაინც არც მოიას უნდა დაწყვეტოდა გული: ადრე თუ გვიან, უიმბლდონზე მას აუცილებლად ელის წარმატებები, მით უმეტეს, რომ თანამემამულეებისგან განსხვავებით, აქაურობა ძალიან მოსწონს: „ცენტრალურ კორტზე თამაში განსაკუთრებული რამ არის, როც იქ გადიხარ, თავს სულ სხვაგვარად გძნობ: ჯერჯერობით მასზე ყველა მატჩი წავაგე, მაგრამ მოუთმენლად ველი, როდის გავტეხ ამ თარსს."

მოიას ბედი გაიზიარა მეორე წრეში მისმა თანამემამულე ფელიქს მანტიამაც (16). მას ავსტრალიის ღია პირველობაზე გრეგ რუზეკის მჯობნელმა ამერიკელმა პოლ გოლდსტაინმა მოუგო 6:2, 6:4, 6:7 (5:7), 6:2.

შტეფი და გოლიათი

თქვენ მარიან დე შვარდტზე იქნებ ბევრი არაფერი გაგიგიათ, მაგრამ შტეფი გრაფი ამ ზორბა და ძონძროხა სამხრეთაფრიკელს სასურველზე გაცილებით კარგად იცნობს.

დიდი გერმანელი აქამდე ორჯერ შეხვდა ამ უსიამოვნო მეტოქეს, ერთხელ, 7 წლის წინ, უიმბლდონზე დიდი გაჭირვებით, 7:5 მოუგო მესამე ხელში, მეორედ კი — ბრაიტონში უიმედოდ დამარცხდა. „ასე კარგად ჩემს წინააღმდეგ არც ერთ ქალ ჩოგბურთელს არ უთამაშია" — განაცხადა იმ მატჩის შემდეგ შტეფიმ, რომელიც იოლ გასეირნობას არც ამჯერად ელოდა.

მაგრამ მეორე წრის შეხვედრის დასაწყისი თითქმის კატასტროფული გამოდგა: უიმბლდონის შვიდგზის ჩემპიონი უღონოდ აყოლებდა თვალს მეტოქის უჩვეულოდ მძლავრ მოწოდება-ფორჰენდებს და სასოწარკვეთილი თავს აქნევდა, ანგარიში კი ელვის სისწრაფით 5:1 გახდა სამხრეთაფრიკელის სასარგებლოდ. გაოცებულმა მაყურებლებმა ხმა ჩაიგდეს, „მიდი შტეფი!" თითქმის მიწყდა და ერთი ორჯერ „მიდი, მეორეე!" გაისმა (დე შვარდტის გვარი ზოგმა არ იცოდა, ზოგიც, ეტყობა, ვერ გამოთქვამდა).

„ასე რომ გაეგრძელებინა, ვერაფერს მოვახერხებდი. მესმის, რომ მაყურებლები შოკში იყვნენ, ერთ მომენტში მეც მაყურებელი მეგონა თავი. მაგრამ, საბედნიეროდ, მის მოწოდებას მალე ავუღე ალღო" — განაცხადა მოგვიანებით შტეფიმ.

გარდატეხა შეხვედრას უკვე პირველი სეტის ბოლოს დაეტყო, როდესაც გრაფმა მინიმუმამდე შეამცირა ანგარიში, მერე კი მეტოქის ფორჰენდი მუდმივად მეორე კიდეში მიმართული დარტყმებით გამოთიშა მატჩს და თანდათან უპირატესობაც მოიპოვა.

საკუთარი თავით კმაყოფილ შტეფის ერთი ჟესტი ახასიათებს — ხელს ბარძაყზე ირტყამს ხოლმე მსუბუქად, თითქოს ამოწშებს, გასაღები ჯიბეშია თუ არაო. მეორე სეტიდან გრაფი იმდენჯერ დარწმუნდა, რომ არც ერთი კარი გაუღებელი არ დარჩებოდა, დე შვარდტს შანსი ნამდვილად აღარ ჰქონია — 4:6, 6:3, 6:2.

ალბათ, ყველაზე უხერხული მეტოქის გზიდან ჩამოცილების მიუხედავად, გერმანელმა პროგნოზებისგან თავი შეიკავა: „ჯერ ადრეა იმაზე საუბარი, როლან გაროსი განმეორდება თუ არა. ისე, თავს შესანიშნავად ვგრძნობ, და იმედია, დამეთანხმებით, ჩემისთანა ბებერის კვალობაზე მშვენივრად ვმოძრაობ."

მეორე წრე. კაცები: პიტ სამპრასი (1, აშშ) — **სებასტიან ლარო** (კანადა) 6:4, 6:2, 6:3; **ევგენი კაფელნიკოვი** (3, რუსეთი) — **პარადორნ სრიჩაპანი** (ტაილანდი) 6:7 (4:7), 6:4, 7:6 (7:4), 6:4; **მარკ ფილიპუსისი** (7, ავსტრალია) — **მარკ ვუდფორდი** (ავსტრალია) 6:7 (4:7), 7:6 (8:6), 7:6 (7:5), 6:4; **კარლოს კუჩირა** (13, სლოვაკეთი) — **ანდრე სა** (ბრაზილია) 7:6 (7:4), 6:3, 6:2; **გრეგ რუზეიკი** (9, ინგლისი) — **არვინდ პარმარი** (ინგლისი) 6:3, 6:4, 7:6 (7:3); **დანიელ ნესტორი** (კანადა) — **ანდრეი მედვედევი** (უკრაინა) 6:1, 7:5, 6:3; **ფრანსისკო კლავეტი** (ესპანეთი) — **ტომას იოჰანსონი** (შვედეთი) 4:6, 1:6, 6:1, 6:3, 6:4.

ქალები: მონიკა სელეში (4, აშშ) — **მარლინ ვაინგარტნერი** (გერმანია) 6:0, 6:0; **ვინუს უილიამსი** (6, აშშ) — **ელენა ტატარკოვა** (უკრაინა) 6:3, 6:4; **ნატალი ტოზია** (8, საფრანგეთი) — **ამანდა პოპმანსი** (ჰოლანდია) 6:3, 6:4; **ანა კურნიკოვა** (17, რუსეთი) — **მარია ალეხანდრა ვენტო** (ვენესუელა) 7:5, 6:4; **სანდრინ ტესტიუ** (13, საფრანგეთი) — **ბარბარა რიტნერი** (გერმანია) 7:6 (7:2), 6:1; **ამანდა კუტცერი** (12, სამხრეთ აფრიკა) — **მიჰო საეკი** (იაპონია) 6:4, 6:1; **სედა ნურლანდერი** (ჰოლანდია) — **ჯენიფერ კაპრიატი** (აშშ) 6:1, 6:3; **დომინიკ ვან რუსტი** (15, ბელგია) — **კრისტი ბუგერტი** (ჰოლანდია) 6:3, 6:3.

ავთანდილ სვანიძე

REUTERS ლონდონიდან

ჯიმ კურიე

სხვადასხვა

მარსელო რიოსზე ამბობენ, ქვის გული აქვს, ხადხს ეზლთ-ეკეროა, აუტანელი ვინმეაო, ჟურნალისტებიც მუდმივად საპარცხვინო „ღიმილის პრიზით" აჯილდოებენ, მაგრამ ქვემორე ამბის წაკითხვის შემდეგ იქნებ ნაწილობრივ მაინც შეგეცვალოთ მასზე წარმოდგენა.

ამჟამად მარსელო უიმბლდონზე ტრავმის გამო არ ასპარეზობს და მშობლიურ სანტიაგოში იმყოფება. მას პირადი ცხოვრება აეწეწა.

პარიზში „როლან გაროსზე" ყოფნის დროს ერთ ღამის კლუბში კიკინიან ჩილელს უცნობ ფრანგ მანდილოსანთან მეტად ინტიმური სურათები გადაუღეს — ხელები დუნდულებზე, ტუჩები სახესთან ახლოს, სულელური ღიმილი...

ჰოდაკეს სურათები როგორღაც ჩილეს ყვითელ პრესაში მოხვდა, მარსელოს სილამაზის დედოფალმა გელფრენდმა იხილა და გაბრაზებულმა ჩვენს სუპერვარსკვლავს კარი ზედ ცხვირწინ მიუჯახუნა.

დევისის თასის მატჩის გამო გამართულ პრესკონფერენციაზე ამის შესახებ კითხვებზე პასუხისას მარსელომ თავი ვერ შეიკავა, სულ ცხარე ცრემლები აღვარღვარა და მწვრთნელმაც ძლივს დააწყნარა. ვერშემდგარმა კაზანოვამ სლუკუნით სახალხოდ განაცხადა, ოღონდ ჩემი გოგო დამიბრუნდეს და მაშინვე ცოლად მოვიყვანო.

რას იზამ, სიყვარულმა რიოსი კი არა...



REUTERS სანტიაგოდან

მარსელო რიოსს (მარჯვნივ) მწვრთნელი აწყნარებს

* * *

უიმბლდონელი სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ მებრძოლნი დიდი ხანია წუწუნებენ, მსოფლიოს ყველაზე ცნობილ საჩოგბურთო ტურნირზე მარწყვისა და ნაღების ანომალურად დიდი ფასების გამო.

და აი, წლეულს ამ ხილს, რომელიც ყოველ დილით ახლად დაკრეფილი მოაქვთ და ტურნირის ერთ-ერთ სიმბოლოდაცაა ქცეული, ფასი დაუკლეს, ოღონდ სულ 10 პენსით.

„სულ რაღაც 1,75 ფუნტად (2,75 $) მინიმუმ 10 მარწყვი მოგივათ, ნაღები და შაქარი კი უფასოა. თანაც, როგორც გავიგეთ, ეს იმაზე იაფია, ვიდრე სამეფო ცხენების რბოლებზე" — ეს უიმბლდონის ორგანიზატორთა განცხადებაა.

* * *

ღმერთი მართლაც რევერენდ ჯეი. ტი. ჰარტლის მხარეზე უნდა ყოფილიყო 1979 წლის უიმბლდონის ფინალში.

ჰარტლი ისე დარწმუნებული გახლდათ უცებ წაგებაში, რომ იორკშირში თავისი სამწყსოსთვის შემცვლელი მღვდელის მოსაძებნად თავიც კი არ შეუწუხებია.

ასე რომ, როდესაც გაოცებულმა თავი ნახევარფინალში ამოყო, მესის წასაკითხად სასწრაფოდ შინ დაბრუნება მოუხდა ჯერ მატარებლით, მერე კი ცხენით და ეტლით. ღვთისმსახურმა ჩოგბურთელმა ლონდონშიც მოასწრო დაბრუნება და ერთეულებში ჩემპიონიც გახდა.

* * *

სხვა კოლეგებისგან განსხვავებით, ზედმეტად დაინტერესებულ და მანიაკურად მომთხოვნ მშობლებს მსოფლიოს პირველი ჩოგანი პიტ სამპრასი არასოდეს შეუწუხებიათ.

სინამდვილეში, ისინი უფრო მეორე უკიდურესობაში არიან გადავარდნილნი: სემ და ჯორჯია სამპრასები დიდი სლემის ტურნირის ფინალს მათი შვილის მონაწილეობით ერთადერთხელ დაესწრნენ — 1992 წლის აშშ-ის ღია პირველობაზე, რომელიც პიტმა სტეფან ედბერგთან დათმო.

სამპრასი ასეთი „უყურადღებობისთვის" მშობლებს არასოდეს გაბუტვია და შინ, კალიფორნიულ პალო ვერდესში, კვირაში რამდენჯერმე რეკავს-ხოლმე.

თუმცა წინასაუიმბლდონო რიტუალის შეცვლას ჯერჯერობით არც ერთი მხარე არ აპირებს. სემი, რომელიც პენსიაზე გასული ინჟინერია, შვილს მხარზე ხელს მოუთათუნებს და შემდეგი სიტყვებით აცილებს ლინდონში: „პიტ, შენ უჩვენოდაც კარგად გადიხარ ფონს. აბა, შენ იცი, მალე გნახავთ".

* * *

ახლანდელი თინეიჯერი გოგონები იქნებ თავსაც კარგავენ ანდრე აგასის ყავისფერი თვალების, ორმეტრიანი მარკ ფილიპუსისის თუ პატრიკ რაფტერის კიკინის დანახვაზე, მაგრამ ეს არაფერია იმ ციებ-ცხელებასთან შედარებით, რაც უიმბლდონზე ჩოგბურთის პირველი სექს სიმბოლოს, ბიორნ ბორგის გამოჩენას მოჰყვა.

ქერა შვედს თითოეულ ნაბიჯზე 70-იან წლებში ასობით გადარეული ქომაგი დაჰყვებოდა, რომლებიც ზოგჯერ ტანსაცმლის შემოხევაზეც არ იხევდნენ უკან. ასე რომ, ბორგს „ოლ ინგლენდ კლაბის" ტერიტორიაზე მრავალრიცხოვანი საპოლიციო ესკორტი დასდევდა უკან.

უიმბლდონის კლუბის მდივანი დევიდ მილსი ისე იყო შეწუხებული, რომ უპრეცედენტო ნაბიჯი გადადგა: გოგონათა 60 სკოლის დირექტორებს მისწერა, თქვენი მოწაფეები აქ აღარ გამოუშვათო.

* * *

უიმბლდონის მახლობლად მდებარე სახლების პატრონებისთვის ტურნირის ორი კვირა საუკეთესო საშუალებაა საზაფხულო არდადეგებისთვის ფულის საშოვნელად.

ათასობით გულშემატკივრის შემოსევასა და მთელ ამ აურზაურს ადგილობრივი მაცხოვრებლები თავს არიდებენ, კურორტზე მიემგზავრებიან, თავიანთ ბინებს კი ჯიბესქელ სპორტსმენებზე აქირავებენ, რომელთაც სასტუმროებში ყოფნას მყუდრო ატმოსფერო ურჩევნიათ.

ერთი მასპინძელი, რომელიც ამ ორი კვირის მანძილზე დაახლოებით 3500 დოლარს იჯიბავს, განსაკუთრებით თბილად მონიკა სელეშის დედას იხსენებს:

„მან ერთხელ მობილურ ტელეფონზე დამირეკა, რადგან შეწუხებული იყო, ოქროს თევზს დაპურება ხომ არ სჭირდებაო".

იტალიელი მთიელი უკრაინელის სისხლის აღებას შემწირა

იტალიელმა ფრანჩესკო კასაგრანდემ მე-9 ეტაპზე გამარჯვებას „შვეიცარიის ტურის“ ლიდერის ოქროსფერი მაისურაც დაურთო. ფინიშს, პატარა ქალაქ არონზაში, იტალიელმა ეულად უწია. ავსტრიული ნაუდერსიდან წამოსვლამდე იგი საერთო ჩათვლაში ფრანგ ლორან ჟალაბერთან მხოლოდ ექვს წამს აგებდა, ამ ეტაპის შემდეგ კი მას უკვე წუთზე მეტით უსწრებს.

REUTERS არონზადან

კასაგრანდეს ჯილდოდ ამ ლამაზმანთან ჩახუტებაც ერგო

კასაგრანდემ, რომელიც მთებში საუცხოოდ დადის, გამარჯვება გზის ბოლო აღმართზე გამოჭედა. როცა ველოსიპედისტებს ხუთი კილომეტრიღა რჩებოდათ გასავლელი, ფრანჩესკო თანამემამულე ჯილბერტო სიმონისა და რუს პაველ ტონკოვთან ერთად გაექცა პელოტონს.

ჟალაბერი, რომელიც პროლოგის შემდეგ ლიდერობდა (მხოლოდ ერთი დღის გამოკლებით), ლტოლვილების მიერ შეთავაზებულ ტემპს ვერ აჰყვა და საერთო ჩათვლაში პირველობაც დაკარგა. მალე კასაგრანდეს ვერც ტონკოვმა და სიმონიმ მისდიეს და ჩამორჩნენ კიდეც. დაწინაურებულის დაწევა ლორან დუფომ და ჯუზეპე გერინიმაც სცადეს, თუმც ამაოდ.

წლეულს უკვე სამი ტურნირის მომგებმა ჟალაბერმა ფაქტობრივად აქ დაკარგა საბოლოო გამარჯვების ყველანაირი შანსი და ახლა აგვისტომდე უქმად ყოფნა მოუწევს, რადგან 3 ივლისს დასაწყებ „ტურ დე ფრანსში“ მონაწილეობა არ ისურვა.

მის მსგავსად საფრანგეთის გზებზე ვერ ირბოლებს „შვეიცარიის ტურის“ ახალგამომცხვარი ლიდერიც. თუმც აქ საქმე სურვილზე არაა. უბრალოდ, შვეიცარიული მე-3 ეტაპის წინ კასაგრანდეს თანაგუნდელ უკრაინელ სერგეი გონჩარს სისხლში ჰემატოკრიტების ნორმაზე მაღალი დონე დაუდგინეს. ამის გამო კი „ტურ დე ფრანსის“ საორგანიზაციო კომიტეტმა იტალიური „ვინი კალდიროლა“ ტურის მონაწილეთა სიიდან ამოიღო.

კასაგრანდესთვის ეს გამარჯვება პირველია დოპინგზე გამოჭერისთვის ექვსთვიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ. იგი იტალიის ველოსპორტის ფედერაციის მიერ იყო დასჯილი.

გაგი გურული

მე-9 ეტაპი

ნაუდერსი (ავსტრია) — არონზა (იტალია) 244 კმ

1 ფრანჩესკო კასაგრანდე (იტალია) 5 სთ 32 წთ 20 წმ
2 ლორან დიუფო (შვეიცარია) +35 წმ
3 ჯუზეპე გერინი (იტალია) +45 წმ
4 პაველ ტონკოვი (რუსეთი) +48 წმ
5 ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი) +1 წთ
6 ჯილბერტო სიმონი (იტალია) +1 წთ 05 წმ
7 კრისტიან გასპერონი (იტალია) +1 წთ 16 წმ
8 არმინ მეიერი (შვეიცარია)
9 ფილიპ ბუშორი (შვეიცარია)
10 სვენ მონტგომერი (შვეიცარია) ყველას იგივე დრო

საერთო ჩათვლა

1 ფრანჩესკო კასაგრანდე 30 სთ 10 წთ 55 წმ
2 ლორან ჟალაბერი +1 წთ 04 წმ
3 ჯილბერტო სიმონი +1 წთ 11 წმ
4 ლორან დიუფო +1 წთ 16 წმ
5 ოსკარ კამენზინდი (შვეიცარია) +1 წთ 45 წმ
6 სვენ მონტგომერი +3 წთ 57 წმ
7 რობერტო სგამბელური (იტალია) +4 წთ 21 წმ
8 ჯუზეპე გერინი +4 წთ 21 წმ
9 მაკაელ სარაბეიტა +4 წთ 29 წმ
10 პაველ ტონკოვი +4 წთ 32 წმ

ბრეტ ჰალის (16) წინგადგმულმა მარჯვენა ფეხმა ლიგას წესი შეაცვლევინა

სადაც ჭირს, ბეჭმეინიც იქაა

ახალი წესები ახალი სეზონისთვის

ყოჩაღ! ნჰლ-ის ხელმძღვანელობა დროული და აუცილებელი ცვლილებებისთვის უეჭველად ქებას იმსახურებს. სულ რაღაც ორიოდ დღე გავიდა მას შემდეგ, რაც პლეი ოფის ფინალის იმ ყბადაღებულ მეექვსე მატჩში ბრეტ ჰალმა ბუფალოს საეჭვო გოლი გაუტანა (დარტყმისას ფორვარდს ფეხი მეკარის მოედანზე ედგა) და ლიგამ უმალვე რეაგირება მოახდინა. „ვიდეოჩანაწერების გაუთავებელ ყურებასა და მილიმეტრიანი წესების დარღვევის გამო გოლის გაუქმებაზე მსჯელობას ბოლო უნდა მოეღოს“ — თქვა საგანგებო პრესკონფერენციაზე ნჰლ-ის კომისიონერმა გერი ბეტმენმა. ამიერიდან თუ გოლის გატანისას ჰოკეისტის ფეხი ან სხეულის სხვა ნაწილი მეკარის მოედანში იქნება, გოლის გაუქმება-არგაუქმების საკითხს მხოლოდ მსაჯები გადაწყვეტენ და ვიდეოჩანაწერის ნახვა საჭირო აღარ იქნება.

თუ ამ წესის შესაცვლელად ნიადაგი შემზადებული იყო და მოულოდნელი სულაც არ გახლდათ, მეორე ცვლილება სასიამოვნო სიურპრიზია.

ნჰლ-ის ხელმძღვანელობამ ზედმიწევნით დაკვირვებით შეისწავლა აჰლ-ის ლიგაში ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგები და დაადგინა: ამიერიდან ჩემპიონატის დროს ოვერტაიმში გუნდები 5 მოედნის მოთამაშის ნაცვლად ოთხით იასპარეზებენ. თუ ძირითადი დრო ფრედ დამთავრდა, ორივე გუნდი თითო ქულას მიიღებს, ხოლო ოვერტაიმში გოლის გატანის შემთხვევაში გამარჯვებული დამატებით ქულას შეიძენს.

ეს უდავოდ რადიკალური და გაბედული ნაბიჯია, რომელიც ოვერტაიმებს გაცილებით საინტერესოს გახდის. ამიტომაც შეხვდა მას ყველა აღფრთოვანებით.

დალასის მწვრთნელმა კენ ჰიჩკოკმა ამ ცვლილებას „დიდებული“ უწოდა: „მე აჰლ-ის ორი თამაში ვნახე. შემიძლია, დაგარწმუნოთ, რომ ეს სრულიად სხვანაირი, უაღრესად საინტერესო სანახაობაა. ოთხი ოთხზე თამაშისას არც ერთი მეტოქე აღარ ჩასაფრდება დაცვაში, რადგან უმალვე დაისჯება“.

მოგეხსენებათ, წლეულს ჩემპიონატში 220 ოვერტაიმი იყო. აქედან 161 ფრედ დამთავრდა.

ლიგაში მატჩაა: ატლანტა, 28-ე

ქანცგაწყვეტილ ცხენებს ხომ... დალასმა ბებერი ჩემპიონები დახლზე გამოფინა

მომავალი სეზონიდან ნჰლ-ს კიდევ ერთი გუნდი შეემატება — ლიგაში ასპარეზობას დაიწყებს 28-ე კლუბი — „ატლანტა თრეშერსი“. იგი აღმოსავლეთში, სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონში ითამაშებს. გუნდის ჩამოყალიბების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი, ეგრეთ წოდებული გაფართოების დრაფტია, რომელზეც ატლანტელებს მოთამაშეთა არჩევის უფლება ექნებათ. ეს დრაფტი ხვალ, 26 ივნისს გაიმართება.

დრაფტამდე 5 დღით ადრე 26 კლუბმა (წლევანდელი ახალბედის, ნეშვილის გარდა) ლიგის ხელმძღვანელობას გაუგზავნა მათი ეგრეთ წოდებული დაცული ჰოკეისტების სია. ამ ნუსხაში ყველა გუნდს შეუძლია შეიყვანოს ან 1 მეკარე, 5 მცველი და 9 თავდამსხმელი, ან (რასაც ძალიან იშვიათად მიმართავენ) 2 მეკარე, 3 მცველი და 7 ფორვარდი. გუნდების დანარჩენი მოთამაშეები, გარდა ბოლო ორი წლის დრაფტზე არჩეულებისა, შეადგენენ დაუცველი, ანუ თავისუფალი ჰოკეისტების სიას, საიდანაც ატლანტას არჩევანის საშუალება ეძლევა.

„თრეშერსს“ შეუძლიათ ყველა კლუბიდან მხოლოდ ერთი მოთამაშის აყვანა ისე, რომ საბოლოოდ სიაში ჰყავდეთ არანაკლებ 3 მეკარე, 8 მცველი და 13 ფორვარდი. დანარჩენი ორი ვაკანსია კლუბის შეხედულებით შეივსება. შერჩეულთაგან მხოლოდ ექვსი შეიძლება იყოს თავისუფალი აგენტი, ანუ მოთამაშე, რომელსაც კონტრაქტი ივლისამდე უმთავრდება.

21 ივნისს ლიგის კლუბებმა გაუგზავნეს ნჰლ-ის მესვეურებს ეს სიები და ატლანტის გენერალური მენეჯერი დონ უოდელი უკვე საქმესაც შეუდგა. აქედანვე შეიძლება ითქვას, რომ გუნდს ყველაზე დიდი არჩევანი მეკარეებში ექნება, რადგან კლუბების უმეტესობამ დაცულთა სიაში მხოლოდ ერთი მეკარე შეიყვანა. სენტლუისელი გრანტ ფიუური, სანხოსელი მაიკ ვერნონი, ოტაველი რონ ტაგნატი, ფილადელფიელი რონ ჰექსტოლი — აი, ყველაზე ცნობილ მეკარეთა სია, რომლებმაც შესაძლოა, მომავალ სეზონში დებიუტანტის ღირსება დაიცვან. როგორც დონ უოდელმა განაცხადა, კლუბი, ალბათ, ერთბაშად 5 მეკარეს აიყვანს და ზედმეტ ორს მომდევნო ტრეიდებში გამოიყენებს.

უკვე ცხადია, რომ ატლანტელებს შედეგიანობის თვალსაზრისით გარკვეული პრობლემები ექნებათ, რადგან ასარჩევად წარდგენილ ფორვარდთაგან წლეულს მხოლოდ ექვსმა გაიტანა 20 გოლზე მეტი. ესენი არიან: კაროლინელი რეი შეპარდი (25 გოლი), დეტროიტელი უენდელ კლარკი (32), ედმონტონელი რემ მიურეი (21), ოტაველი ანდრეას იუჰანსონი (21), სანხოსელი ჯო მერფი (25) და ტორონტოელი დერეკ კინგი (24). ასე რომ, დრაფტის შემდეგ უოდელს თავისუფალი აგენტების ბაზარზე დიდი ჯაფა ელის. სამაგიეროდ, დიდი არჩევანია „პოლიციელთა“ შორის. დაუცველთა სიაში ხომ ტორონტოელი ტაი დომი (198 საჯარიმო წუთი), კოლორადოელი ჯეფ ოჯერსი (259), ბუფალოელი რობერი (261 — სეზონის რეკორდი) და ბევრი სხვა „შარიანი ტიპია“.



დონ უოდელი



დამიენ როუდსი

რამდენიმე სახელოვან მოთამაშესაც დავასახელებ, რომლებიც შესაძლოა ატლანტაში მოხვდნენ: დეტროიტელი იგორ ლარიონოვი, კაროლინელი პოლ კოფი, სენტლუისელი ჯეფ კურტნოლი, ბუფალოელი ჯო ჟიუნო და ტამპელი ალექსანდრ დეიგლი.

დალასმა კი ერთბაშად 6 ბებერი ჩემპიონი წარადგინა გასაყიდად, მათ შორის უხუცესები: გი კარბონო და კრეიგ ლუდვიგი.

დონ უოდელი კი დროს არ კარგავს. მან უკვე შეიძინა პირველი ორი მოთამაშე, მეკარე დამიენ როუდსი და ფორვარდი ენდრიუ ბრიუნეტი.

გასული კვირის მიწურულს ატლანტამ ცნობილი გოლკიპერი ოტავას მომავალი დრაფტის არჩევანში გაუცვალა და მასთან ოთხწლიანმი კონტრაქტი გააფორმა.

„ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ კლუბის ისტორიაში პირველი მოთამაშე ესოდენ ცნობილი და კარგი მეკარეა“ — განაცხადა გენერალურმა მენეჯერმა და საამაყო საბაბიც ნამდვილად აქვს. შეგახსენებთ, რომ როუდსის და რონ ტაგნატის ოტავური დუეტი წლეულს ლიგაში საუკეთესო იყო. 30 წლის როუდსმა სეზონი კარგი მაჩვენებლებით დაასრულა (საშუალოდ 2,44 გაშვებული გოლი, 45 მატჩში 22 მოგება), ხოლო ტაგნატმა გაშვებული შაიბების საშუალო მაჩვენებლით — 1,79 ლამის ლიგის რეკორდი გაუუმჯობესა. სრულიად შესაძლებელია, ეს დუეტი ატლანტაში აღდგეს, რადგან ტაგნატი დაუცველთა სიაში მოხვდა.

ენდრიუ ბრიუნეტი უკვე შევიდა ლიგის ისტორიაში, როგორც ნეშვილის პირველი გოლის ავტორი. ამჯერად მას შეუძლია, იგივე ატლანტაშიც გაიმეოროს. 25 წლის ბრიუნეტის კარიერაში ბოლო სეზონი ყველაზე შედეგიანი გამოდგა. 77 მატჩში მან 31 (11+20) ქულა მიითვალა, ხოლო მანამდე, 1997-98 წლების სეზონში, ჩემპიონატის მეორე ნახევარში იგი ვაშინგტონის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე იყო (28 მატჩში 11 გოლი).

სამველ ღარიბიანი

ნიუ იორკმა ორმაგი კოშკი მეორედ ვეღარ აიღო



დევიდ რობინსონი (№50) ჩარლი ვორდზე (№21) და ლარი ჯონსონზე ამაღლდა

REUTERS ნიუ იორკიდან



მარიო ელიმ (მარცხნივ) და აივერი ჯონსონმა დიდად გაიხარეს

დამთავრდა კალათბურთის ეროვნული ასოციაციის ფინალური სერიის მეოთხე მატჩი. დადუმებულ და გაოგნებულ „მედისონ სკვერ გარდენში“ სტუმარი სანანტონიოელები ხარობდნენ. „სან ანტონიო სფურზმა“ სერიაში მესამედ დასცა „ნიუ იორკ ნიქსი“. ჩემპიონობამდე სულ ერთი ამოსუნთქვალა დარჩა. გუნდს, რომელიც წლევანდლამდე ფინალშიც არ ყოფილა, ტრიუმფის ურეალურესი შანსი აქვს. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ის, რომ ასოციაციის ფინალების ისტორიაში არც ერთ გუნდს არ გასცრუებია იმედი სერიაში 3:1 დაწინაურების შემდეგ. სტატისტიკა სტატისტიკად, მაგრამ ნიუ იორკს მებრძოლი და ჯიუტი გუნდის სახელი აქვს ლიგაში და ფარ-ხმალს არასდიდებით დაყრის, მაგრამ სან ანტონიო მაინც სან ანტონიოა, წლევანდელ სეზონში უგამორჩეულესი გუნდი, უძლიერესი, რომელსაც ნებისმიერი ბარიერის დაძლევა საკმაოდ იოლად სჩვევია და ნიუ იორკი პირველი არაა, ვინც ეს თავის თავზე გამოსცადა.

ნიუ იორკს ცდა არ დაუკლია, მაგრამ სანანტონიოელმა „დეზებმა“ მაინც იმძლავრეს. „ნიქსმა“ წინა შეხვედრის მოგებით თითქოს შეძლო სერიაში გარდატეხის შეტანა და ბედი თავის მხარეს შეატრიალა. ჩვენ ამაზე არ ვაპირებთ გაჩერებას და კიდევ მოვიგებთ თამაშებსო, იქადნებოდა ნიუიორკელთა იმ გამარჯვების ერთ-ერთი შემომქმედი ლარი ჯონსონი, მაგრამ სან ანტონიოს როგორც პლეი ოფში, ასევე რეგულარულ ჩემპიონატში ორი თამაში ზედიზედ არ წაუგია თებერვლის შემდეგ. ჯონსონი ამას რომ ამბობდა, იქნებ ზედმეტადაც იყო თავის თავში და გუნდის შესაძლებლობებში დარწმუნებული. სან ანტონიომ ხომ წლევანდელ პლეი ოფში სულ ორჯერ წააგო. იგი იმ სალ კლდეს მოგვაგონებს, თავის დამპყრობს ფეხის მოკიდების საშუალებას რომ არ აძლევს. ვერც ნიუ იორკმა მოიკიდა მასზე ჯეროვნად ფეხი და ფერადი ოცნება, მესამედ გამხდარიყო ჩემპიონი, გვარიანად გაუფერმკრთალდა. ჯეფ ვან განდი, ნიუიორკელთა მთავარი მწვრთნელი, რომელმაც საშუალო დონის ალმოსალური გუნდი ფინალში გაიყვანა, ახლა დასავლურ გრანდთან ყოველი მარცხის შემდეგ ჩივის, მათ (სანანტონიოელებს) უდიდესი უპირატესობა აქვთ სიმაღლეში და ამას მშვენივრად იყენებენ. აი, პატრიკი რომ გვყოლოდა, სფურზს სეირს ვაჩვენებდითო. გუნდის ბებერ ლიდერს პატრიკ იუინგს მისტრიან ნიუიორკელები და ყველაფერს მის ტრავმას აბრალებენ, რომელიც მან წინა სერიაში ინდიანასთან მიიღო. ძნელი სათქმელია, რამდენად დაეხმარებოდა ტრავმებით გატანჯული პატრიკი თავისიანებს, მაგრამ ერთი რამ ფაქტია: „ნიქსს“ უჭირს ფარქვეშ ბრძოლა და გარკვეულწილად სწორედ ამის გამოა, რომ აგერ მესამედ აგებს ოთხ თამაშში. თუ ნიუ იორკი ხეირიანი მაღლების ნაკლებობას განიცდის, მისი მეტოქის კოზირი სწორედ ესაა და ამის გამო წუწუნებს ვან განდი ერთთავად.

დევიდ რობინსონის და ტიმ დანკანის უდიდესი გამოცდილება და ახალგაზრდული შემართება — აი, ეს გახლავთ სანანტონიური მახვილის ბასრი წვერი თავდასხმაში და გაუვალი კედელი საკუთარი ფარის მისადგომების გამაგრების დროს. რობინსონ-დანკანის დუეტი, „ორმაგ კოშკად“ წოდებული, ნიუიორკელთა ჭირად ერთ გუნდში შეყრილა და საკმაოდ ძველი გუნდისთვის, სან ანტონიოსთვის პირველ ოქროს ჭედავს. მასპინძელ გუნდს ფარქვეშ არნახულად გაუჭირდა, განსაკუთრებით ფარიდან ასხლეტილი ბურთებისთვის ბრძოლაში. „ორმაგმა კოშკმა“ ერთით მეტი მოხსნა გააჩერხა, ვიდრე მთელმა ნიუ იორკმა.

მოხსნებთან ერთად ბურთის ჩაგდებასაც ჩვეულად მიჰყვეს ხელი. განსაკუთრებით დანკანმა ააწიოკა მეტოქის კალათი და რასაც იგი აცილებდა, ის ბურთი რობინსონის კერძი ხდებოდა. იჭერდა „ადმირალი“ აცილებულ ბურთს და ათავსებდა კალათში. რობინსონმა სულ 9 ბურთი მოხსნა მეტოქის ფარზე. ეს ბრწყინვალე მაჩვენებელია. მატჩის შემდეგ ბევრმა სწორედ „ადმირალი“ აღიარა გმირად. დანკანმაც პატივი სცა მასზე ხნიერ თანაგუნდელს — უდიდესი სამუშაო შეასრულა, მან მოგვაგებინაო. სტუმართაგან ასევე აღვნიშნოთ მარიო ელი, გამოცდილი კალათბურთელი, რომელიც 1994 და 1995 წლებში ორჯერ გახდა ჩემპიონი „ჰიუსტონ როკიტსის“ შემადგენლობაში ყოფნისას, მაგრამ მაშინ იგი გუნდის მეორეხარისხოვანი ფიგურა იყო. ამჟამად ელი „სფურზის“ სასტარტო ხუთეულშია, თუმცა ნიუ იორკს მთავარი ძალა სწორედ მის ამპლუაში ჰყავს. ელის უწევდა ხან ალან ჰიუსტონის, ხანაც ლატრელ სპრიუელის მეურვეობა და დიდადაც უჭირდა. ახლაც გაუჭირდა. ჰიუსტონ-სპრიუელმა კვლავ მშვენივრად ითამაშეს და თავისი წილი ქულები მიითვალეს, თუმცა დაცვაში არცთუ ეფექტურ გარჯასთან ერთად ელიმ შეტევაში ივარგა და თავის გუნდში მხოლოდ ტიმ დანკანს თუ ჩამორჩა.

თვითონ მატჩი სერიისთვის დამახასიათებელი ჩვეული სცენარით წარიმართა და მოიგო გუნდმა, რომელიც შეხვედრაში დომინირებდა. აქ არ იყო ბოლო წამებზე ჩაგდებული ან ვერჩაგდებული სროლა, რომელმაც მატჩის ბედი გადაწყვიტა. უბრალოდ, მოიგო გუნდმა, რომელიც სჯობდა მეტოქეს და გამარჯვებას უფრო იმსახურებდა.

შეხვედრა სან ანტონიოს უპირატესობით დაიწყო. სტუმარი გუნდი უფრო კარგად ესროდა. აივერი ჯონსონმა პირველი მეოთხედის მეექვსე წუთზე ორი საჯარიმო ჩააგდო და „სფურზი“ 17:10 დაწინაურდა. ნიუ იორკმა მალევე ირწმუნა საკუთარი ძალების და მშვენივრადაც ათამაშდა. ჩარლი ვორდმა სამქულიანი ჩააგდო და „ნიქსი“ პირველად გავიდა წინ (26:25). მეოთხედის დამთავრებამდე 1,35 წუთით ადრე. საერთოდ იმ თორმეტწუთეულში, ვორდმა თავისი საერთო 11-ქულიანი მონაგარიდან 10 ჩააგდო და ლომის წილი დაიდო პირველი მეოთხედის 29:27-ით მოგებაში. მეორეში სან ანტონიომ ჩვეულად მოჰკიდა საქმეს ხელი. ჯერ ჯონსონმა ჩააგდო ორი ბურთი გარღვევაზე, ორიც შონ ელიოტმა მოაყოლა, პირველი ორქულიანი, მეორე — სამიანი და მეორე მეოთხედის მეექვსე წუთზე კვლავ სან ანტონიო დაწინაურდა — 38:35. ამის შემდეგ აღარც გაუშვია უპირატესობა ხელიდან. დანკანმა პირველი ნახევრის ბოლო ათი ქულიდან რვა თავის ანგარიშზე ჩაიწერა და გუნდს უპირატესობა შეუნარჩუნა — 50:46.

მესამე პერიოდში სან ანტონიომ კიდევ უფრო გაზარდა სხვაობა. დასაწყისში „სფურზმა“ დანკანის ხელმძღვანელობით 9:0 გაქცევა მოახერხა და მისი გუნდიც 59:46 დაწინაურდა. სწორედ ამ დროს დაფიქსირდა მატჩის ყველაზე დიდი, 13-ქულიანი სხვაობა. ამ მომენტმა ბევრი რამ გადაწყვიტა. სან ანტონიო არ იყო ამ უპირატესობის ხელიდან გამშვები, მაგრამ ოციათასკაციანი აუდიტორიის ყვირილით გახელებული მასპინძელი მაინც ჯიუტად ცდილობდა თავისას. მესამე მეოთხედის ბოლოს ნიუ იორკმა ჩვეულად გამოიდო თავი და მესამე პერიოდი 72:63 დასრულდა. თუმცა, რომ არა რობინსონის ეფექტური თამაში, სხვაობა გაცილებით მცირე იქნებოდა.

ბოლო მეოთხედში კი გადაირია ნიუ იორკი. მასპინძლებმა ლამის თავი შეაკლეს მომხდურთ, მაგრამ უკვე მერამდენედ გამოჩნდა, რომ ტანდაბალი ნიუიორკელები უძლურნი არიან ორი უზარმაზარი კაცის წინაშე, რომელთაც ფარქვეშ საათივით აქვთ საქმე აწყობილი. „ნიქსმა“ ისღა მოახერხა, რომ მხოლოდ 7 ქულით წააგო, მაგრამ, მოგეხსენებათ, წაგება წაგებაა, ერთი ქულითაც და ოცდაათითაც.

გაიხარა სან ანტონიომ. ნანატრ ჩემპიონობამდე ერთი ხელის გაწვდენალაა. „სფურზს“ ისღა დარჩენია, 25 ივნისს ჩვეულად ეთამაშოს ნიუ იორკს განთქმულ „მედისონ სკვერ გარდენში“. თუ იქ გაწბილდა, მომდევნო თამაში მშობლიურ „ალამოდიუმში“ მოუწევს.

ირაკლი ფირაშვილი

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ფინალი (ოთხ მოგებამდე)

სან ანტონიო — ნიუ იორკი 3:1

ნიუ იორკი 89:96 სან ანტონიო

IV მატჩი 23 ივნისი ნიუ იორკი მედისონ სკვერ გარდენი 19763 მაყ

მსაჯები: ჰიუ ევანსი, მაიკ მატისი, რონ გარეტსონი

ნიუ იორკი	წთ.	2-ქ.	3-ქ.	საჯ.	მოხს.	პასი	ჩაჭ.	დაფ.	ფოლ	ქ.
ვორდი	41	4/9	2/5	1/2	4	8	4	0	3	11
ჰიუსტონი	46	7/18	0/1	6/7	2	3	0	0	3	20
სპრიუელი	46	9/22	0/1	8/8	4	3	2	0	2	26
ლ. ჯონსონი	37	2/8	0/3	1/2	6	0	0	0	6	5
კემბი	37	8/15	0/0	4/5	13	0	0	2	4	20
ტომასი	19	2/7	0/0	1/4	2	1	0	0	5	5
ჩაილდსი	7	0/0	0/0	0/0	0	0	0	0	0	0
დადლი	7	1/1	0/0	0/0	3	0	0	0	2	2
სულ	240	33/80	2/10	21/28	34	15	6	2	25	89
სან ანტონიო	**წთ.**	**2-ქ.**	**3-ქ.**	**საჯ.**	**მოხს.**	**პასი**	**ჩაჭ.**	**დაფ.**	**ფოლ**	**ქ.**
ა. ჯონსონი	44	6/10	0/0	2/4	2	10	1	0	1	14
ელი	39	6/9	1/2	5/6	6	4	2	0	4	18
ელიოტი	40	4/11	2/5	4/4	2	4	1	1	3	14
დანკანი	47	9/19	0/0	10/12	18	3	0	3	4	28
რობინსონი	36	6/15	0/0	2/2	17	0	0	4	0	14
ჯეკსონი	15	1/7	0/2	0/0	1	1	1	0	4	2
როუზი	13	1/2	0/0	0/0	3	0	0	1	2	2
კერი	4	1/1	0/0	0/0	0	1	0	0	0	2
სულ	240	35/75	3/9	23/28	49	23	5	9	25	96

სან ანტონიო — ნიუ იორკი. IV მატჩი ნიუ იორკში. 23 ივნისი

ფაქტები ● ფაქტები ● ფაქტები

შეხვედრაში 185 ქულა გაკეთდა, ამ სერიის მატჩებში ყველაზე მეტი. პირველ მეოთხედში გუნდებმა 56 ქულა მოაგროვეს (ნიუ იორკმა 29, სან ანტონიომ 27), რაც 1999 წლის პლეი ოფის რეკორდია ნებისმიერი მეოთხედისთვის.

ნიუ იორკელმა ალან ჰიუსტონმა მეორე მეოთხედის დამთავრებამდე 4,22 წუთით ადრე საჯარიმო გააცუდა. ეს ჰიუსტონის პირველი გაცუდებული საჯარიმო იყო ფინალურ სერიაში. მანამდე მას 19-დან 19 საჯარიმო ჰქონდა ჩაგდებული.

სან ანტონიოს სასტარტო ხუთეულის ყველა წევრის მონაგარი ორნიშნა რიცხვით გამოისახა. „სფურზის“ სათადარიგოებმა მხოლოდ 8 ქულა გააკეთეს. ნიუ იორკის სათადარიგოებზე 7 ქულა მოდის.

ლიგის ფინალების ისტორიაში ჯერ არ მომხდარა, რომ 1:3 ჩამორჩენილი გუნდი ჩემპიონი გამხდარიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

EURO BASKET 99 FRANCE

მოხსნა რად გინდა, თუ საჯარიმოს ვერ აგდებ

ევროპის ჩემპიონატის პირველი ეტაპი. III ტური. 23 ივნისი

ტულუზი

A ჯგუფი

იუგოსლავია 63:52 საფრანგეთი

(I ტაიმი 27:33)

იუგოსლავია: ბოდიროგა (13), დანილოვიჩი (16), ობრადოვიჩი (7), ლონჩარი (4), ლუკოვსკი (6), დივაცი (10), ტარლაკი, ტომაშევიჩი (6), ტოპიჩი (1)

საფრანგეთი: სონკო (8), დიგბო (7), ფუარე (5), სკიარა, აბდულ-ვაჰადი (13), რისაშე, ვეისი (6), ბილბა (7), სმიტი (6)

ჯგუფში პირველი ადგილისთვის მასპინძელთა ნაკრები მასავით დაუმარცხებელი ევროპის ჩემპიონებს შეხვდა. „ლურჯების" მთავარი პრობლემა ფარქვეშ ტარლაკთან, ტომაშევიჩთან და დივაცთან ბრძოლა უნდა ყოფილიყო. ეს მისია ფრანგთა მწვრთნელმა ჟან-პიერ დე ვიჩენციმ მანამდე უთამაშებელ ფრედერიკ ვეისს დააკისრა და უნდა ითქვას, რომ მანაც ბილბასთან ერთად თითქმის ტოლი არ დაუდო ძლიერ მოწინააღმდეგეებს. იუგებმა ფარი მხოლოდ მცირედი უპირატესობით მოიგეს (30:26).

მიუხედავად იმისა, რომ ფრანგებს თავიანთი ძირითადი გამთამაშებელი ანტუან რიგოდო მუხლის ტრავმის გამო აკლდათ, დასაწყისი მაინც მათი იყო. ტარიკ აბდულ-ვაჰადის წინამძღოლობით მათ მე-5 წუთისთვის მრისხანე მეტოქე ხუთი ქულით ჩამოიტოვეს უკან (11:6).

ამის მერე დე ვიჩენციმ ვეისი შეცვალა და დივაცმაც გაილაღა. სწორედ მან დააწინაურა თავისიანები პირველად. ეს მე-13 წუთზე მოხდა (18:17). მაგრამ მასპინძლები არ დაბნეულან, დაცვაში მეტი ყურადღებით ათამაშდნენ, რამდენიმე ბურთი ჩაჭრეს და აბდულ-ვაჰადის სამქულიანის შემდეგ გასახდელში ექვსქულიანი მარაგით გავიდნენ.

მეორე ტაიმის საწყისმა ხუთმა წუთმა ფრანგებს ვერაფერი შეჰმატა, იუგოსლავიელებმა კი რვა ქულა მოიხვეჭეს და დაწინაურდნენ — 35:33. ამის მერე გუნდები ქულებს ლამის თანაბრად აგროვებდნენ, 35-ე წუთზე ბალკანელები 46:43-ს იგებდნენ. აქ კი ლორან სკიარამ განზრახ ჯარიმა აიკიდა, რამაც მისი გუნდი შვიდი ქულით ჩამოარჩინა (50:43). მატჩის ბედიც, ფაქტობრივად, აქ გადაწყდა. ფრანგები ისე ცუდად ესროდნენ (მათი ტყორცნები მხოლოდ 34-მა პროცენტმა მიაღწია მიზანს), რომ იუგოსლავიის კი არა, სხვა, გაცილებით სუსტი გუნდის დამარცხებაც გაუჭირდებოდათ.

წაგების მიუხედავად საფრანგეთის დამრიგებელი ჟან-პიერ ვიჩენცი ძლიერ დამწუხრებული არ ჩანდა: „მეტოქე ჩვენზე გაცილებით ძლიერი იყო და ეს უნდა ვაღიარო. მათი დაცვის გარღვევა ძალიან გვიჭირდა. ისე, ანტუან რიგოდო რომ გვყოლოდა, მოგებაზე ფიქრიც შეიძლებოდა. ვეისის თამაშით ნამდვილად კმაყოფილი დავრჩი".

მისგან განსხვავებით ევროპის ჩემპიონების მწვრთნელი ჟელკო ობრადოვიჩი მთლად კმაყოფილი არ იყო: „პირველ ტაიმში მოწინააღმდეგემ გვაჯობა. მეორეში დაცვაში კარგად ვითამაშეთ და მათ მხოლოდ 19 ქულა ჩავაგდებინეთ, მაგრამ სასტიკად სუსტად გამოვიყურებოდით სწრაფი კონტრ-შეტევებისას. კიდევ ბევრი რამ გვაქვს დასახვეწი".

მაკედონია 62:64 ისრაელი

(I ტაიმი 37:29)

მაკედონია: ბლაჟევსკი, ბოჩევსკი (13), ჩეკოვსკი, გეჩევსკი (9), იოვანოვსკი (10), კურტოვიკი (11), ნაუმოსკი (3), სრბინოვსკი, სტანკოვიკი (2), სტეფანოვი (14)

ისრაელი: ამსალემი, დანიელი (1), გუდესი (8), ჰენფელდი (21), კატაში (18), შეფერი (7), შელეფი, შტეინჰაუერი (7), თორჯემანი (2)

იუგოსლავია	3	3	0	227:181	6
საფრანგეთი	3	2	1	200:196	4
ისრაელი	3	1	2	191:220	2
მაკედონია	3	0	3	197:218	0

კლერმონ-ფერანი

B ჯგუფი

რუსეთი 69:72 ესპანეთი

(I ტაიმი 30:39)

რუსეთი: კარასიოვი (13), კუდელინი (11), პეტრენკო (19), კისურინი (2), ტიხონენკო, ბაბკოვი (5), ავლეევი (2), პანოვი (10), ნოსოვი (7)

ესპანეთი: ანგულო, როდილია (7), კორალესი (5), რომერო (4), როდრიგესი (3), ხიმენესი (5), დე ლა ფუენტე (7), ერეროსი (20), ესტელერი (3), დე მიგელი (7), რეიესი (6), დუენიასი (5)

მეორე ეტაპზე გასვლა მეტოქეებს ადრევე გაენაღდებინათ და აქ მოგება სამომავლო საქმის გასაუმჯობესებლად სჭირდებოდათ: მეორე ეტაპზე გასულ გუნდებს პირველ ეტაპზე დაგროვილი ქულები მიჰყვებათ. რუსებმა, პრაქტიკულად, დაცვის გარეშე დაიწყეს თამაში და მე-3 წუთზე 2:8 აგებდნენ. წუთშესვენების შემდეგ ავლეევმა და ნოსოვმა ანგარიშში სხვაობა შეამცირეს, მაგრამ ესპანელებმა, ერეროსის მეთაურობით მე-8 წუთზე 11-ქულიანი უპირატესობა გაინაღდეს.

რუსებს ერთი კარგი თვისება აქვთ — რამდენსაც არ უნდა აგებდნენ, მაინც ცდილობდნენ დაცვის მოწესრიგებას. წესს არც ამჯერად უღალატეს და შესვენებამდე სამი წუთით ადრე ესპანელები ერთ ქულას იგებდნენ — 31:30. რუსთაგან სერგეი პანოვი გამოირჩეოდა. ზედიზედ მოპოვებული ხუთი ქულის შემდეგ მან ბურთი ჩაჭრა და კარასიოვს ჩააგდებინა. თანაგუნდელებმა წყალში ჩაუყარეს გარჯა პანოვს: ბოლო წუთზე რამდენიმე შეტევა გაეპარათ და ესპანელებმა ტაიმი ექვსი ქულით მოიგეს.

მეორე ტაიმის დასაწყისი რუსი დებიუტანტის ალექსანდრ პეტრენკოს ბენეფისად იქცა. შვიდ წუთში მან 11 ქულა გააკეთა (ამ მონაკვეთში მთელმა ესპანეთის ნაკრებმა 7 ქულას მოუყარა თავი), ხოლო მეორე ტაიმში 17 ქულა მიითვალა. დამთავრებამდე 9 წუთით ადრე რუსეთი 51:48 იგებდა.

რუსების ცენტრი ვიტალი ნოსოვი ფარქვეშ კარგად თამაშობდა — 17 ბურთი მოხსნა. სამაგიეროდ, საჯარიმოებს ვერ ისროდა ხეირიანად. ეს შეამჩნიეს ესპანელებმა და ძველ ხერხს მიმართეს — ნოსოვზე ჯარიმდებოდნენ. რუსმაც აცუდა და აცუდა: მატჩში ნასროლი 12 საჯარიმოდან მხოლოდ 3 ჩააგდო. იბერიელებს ნაჩო როდილია გაუძლვა და ბოლო წუთებში შვიდი ქულა გააკეთა.

დამთავრებამდე 2,20 წუთით ადრე ესპანეთი 67:59 იგებდა. რუსების ბოლო გაფაფხურება კარასიოვმა დაასრულა სამქულიანით, რის შემდეგაც სხვაობა სამ ქულამდე შემცირდა. ადრე ჩვენთვის მზე საიდანაც ამოდიოდა, იმ ქვეყნის გუნდს მატჩის გადარჩენის იმედი მიეცა, მაგრამ ესპანეთმა 25 წამს ათამაშა ბურთი, ხოლო დამთავრებამდე 5 წამით ადრე როდილია საჯარიმოს ხაზის სიახლოვეს ახტა, ისროლა და როცა დახტა, ტაბლო უკვე საბოლოო ანგარიშს უჩვენებდა.

უნგრეთი 66:72 სლოვენია

(I ტაიმი 33:40)

უნგრეთი: ბენცე (3), ბოროში (4), ციგლერი (4), დავიდი (14), გულიაში (12), კალმანი (7), მესაროში (1), შიტკუ (21)

სლოვენია: ბეჩიროვიჩი (7), დანეუ (4), იურკოვიჩი (12), კრალევიჩი (2), ნესტეროვიჩი (16), მილიჩი (17), სმოდისი, ზდოვცი (14)

რუსეთი	3	2	1	210:191	4
ესპანეთი	3	2	1	231:229	4
სლოვენია	3	2	1	204:209	4
უნგრეთი	3	0	3	213:229	0

ანტიბი

C ჯგუფი

იტალია 64:61 თურქეთი

(I ტაიმი 33:34)

იტალია: ბონორა (4), ბაზილე, გალანდა, ფუჩკა (9), მარკონატო (5), დე პოლი, მაიერსი (20), მენეგინი (14), აბიო (1), კოაჩიგი (11), დამიაო

თურქეთი: თუნჩერი (8), თურქოღლუ (6), თურქჯანი (13), ქონუქი (2), ილდირიმი (6), ქუთლუაი (10), ოქური, ბეშოქი (12), ფარსი (2), სარიჯა (2)

ამ თამაშის დაწყების წინ უკვე გარკვეული იყო, რომ ორივე გუნდი ითამაშებდა შემდეგ ეტაპზე. მათმა ერთ-ერთმა თანაჯგუფელმა ბოსნიამ თავისი მესამე მატჩიც წააგო, ამჯერად ხორვატიასთან და ტურნირი ნული ქულით დაასრულა. თუმცა ამ გარემოებას შესარჩევში ქართველების მეტოქეების დაპირისპირებისთვის ინტერესი არ დაუკლია, ორივე გამარჯვებისათვის იბრძოდა. თანაც, თურქებს დიდი სურვილი ჰქონდათ, მედლებისაკენ სვლა დაუმარცხებლად განეგძოთ.

მატჩი აპენინელთა მჭიდრო დაცვით დაიწყო, რასაც მეტოქე ეტყობა არ მოელოდა და ოდნავ გაბრუებული თურქები უმალ ჩამორჩნენ (0:5 მე-2 წუთზე). თუმცა ისინი მალე მოვიდნენ გონს და ბეშოქის მშვენიერი თამაშის წყალობით (რომელმაც დასაწყისში ერთბაშად ათ ქულას მოუყარა თავი), ისინი მე-9 წუთისთვის დაწინაურდნენ კიდეც — 19:18. კარგად ირჯებოდა თურქოღლუც, მაგრამ მან მალე ტრავმა მიიღო და თურქეთმაც დროის დარჩენილი ნაწილი თავისი საუკეთესო მოთამაშის გარეშე ჩაატარა.

ამან ჩვენს სამხრეთელ მეზობლებს ვერაფერი დააკლო, ისინი კომბინაციურად კარგად მოქმედებდნენ, სულ უფრო და უფრო სწრაფად თამაშობდნენ და მე-16 წუთზე ხუთი ქულითაც გავიდნენ წინ — 30:25. იტალიელთაგან საუკეთესო მაიერსი იყო. სწორედ მისი მეოხებით შეძლეს მისიანებმა ტაიმის ბოლოს ანგარიშში სხვაობის ერთ ქულამდე შემცირება, თუმცა ამაში თურქებმაც შეიტანეს წვლილი, რომლებიც შესვენების წინ საკმაოდ ნაჩქარევად მოქმედებდნენ და რამდენჯერმე ბურთიც ტყუილუბრალოდ დაკარგეს.

მეორე ნახევრის დასაწყისი აპენინელებს კარგს არაფერს უქადდა. 5 წუთის შემდეგ მათ მხოლოდ ორი ქულა ჰქონდათ მოპოვებული და იღბალმაც თითქოს ზურგი შეაქციაო — მაიერსის ტყორცნის შემდეგ ბურთი კალათში ჩავარდა, მაგრამ ბადემ უკან ამოაგდო. თურქებმა კი ამ დროში შვიდი ქულა მიითვალეს.

ფარქვეშ თურქები გაბატონდნენ, მაგრამ ამან მათ უპირატესობის გაზრდის ან თუნდაც შენარჩუნების საშუალება არ მისცა. ამაში „დამნაშავენი" კი მაიერსი და მენეგინი იყვნენ, რომლებიც შორი მანძილებიდან ძალიან ზუსტად ისროდნენ. 47:46 — 32-ე წუთზე და 53:51 — 35-ე წუთზე იტალიელთა სასარგებლოდ.

37-ე წუთზე ქუთლუაის საჯარიმო ტყორცნების შემდეგ ანგარიში გათანაბრდა — 56:56. „სკუადრა აძურას" გულშემატკივრები სიხარულით ცას ეწივნენ, როცა მაიერსის ზუსტი ტყორცნის შემდეგ მათი საყვარელი ნაკრები დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე 5 ქულით დაწინაურდა — 61:56. თუმცა ქუთლუაისა და სარიჯას წყალობით თურქები მეტოქეს კვლავ წამოეწივნენ — 61:61, მაგრამ ბოლო სიტყვის თქმის უფლება თურმე ბონორას ეკუთვნოდა — 64:61 იტალიელთა სასარგებლოდ.

„დაცვაში ძალიან კარგად ვითამაშეთ. გამარჯვება თურქებსაც შეეძლოთ, თუმცა ჩვენ უფრო ვიმსახურებდით ამას. მეორე ეტაპზე ჩეხეთთან ფრთხილად უნდა ვიყოთ" — თქვა აპენინელების მწვრთნელმა ბოგდან ტანიევიჩმა.

მისმა თურქმა კოლეგამ ერმან ქუნთერიმ კი ეს განაცხადა: „ჩვენ მიზანი ჯერ ლე მანში, შემდეგ კი პარიზში თამაშის უფლების მოპოვება იყო. ჩემპიონატის ყველაზე ახალგაზრდული გუნდი ჯერჯერობით თავის პროგრამას ახორციელებს".

ბოსნია 59:65 ხორვატია

(I ტაიმი 32:37)

ბოსნია: ალიჰოჯიჩი (5), ბეჩირაგიჩი (2), ფირიჩი (23), ჰუკიჩი (5), კაჰრიმანოვიჩი (2), ლერიჩი (2), მარკოვიჩი (11), მირკოვიჩი (2), მუეძინოვიჩი (7)

ხორვატია: გირიჩეკი (4), შენიაკი, კრსტიჩი, კუკოჩი (11), მრშიჩი (12), მულაომეროვიჩი (10), პრკაჩინი, რუჟიჩი (5), ვუიჩიჩი (14), ზადრავეცი (9)

თურქეთი	3	2	1	188:169	4
იტალია	3	2	1	196:190	4
ხორვატია	3	2	1	198:197	4
ბოსნია	3	0	3	160:186	0

დიჟონი

D ჯგუფი

საბერძნეთი 64:82 ლიტვა

(I ტაიმი 28:44)

საბერძნეთი: კალაიცისი (2), ბალოიანისი, ბუდურისი (14), პაპანიკოლაუ (21), სიგალასი (2), კორონიოსი (8), სულისი (2), ცაკალიდისი (9), იანულისი (2), კაკიუზისი (4), კარაგუტისი

ლიტვა: იასიკევიჩუსი (4), მ. ჟუკაუსკასი (9), მასიულისი (1), შტომბერგასი (13), კ. მარჩულიონისი (9), ე. ჟუკაუსკასი (4), ადომაიტისი, საბონისი (18), კარნიშოვასი (20), ენინგისი (4)

ჯგუფის ბოლო თამაშს ორივე გუნდისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. საბერძნეთისგან განსხვავებით ლიტვას წინა ორ მატჩში ერთი გამარჯვება კი მოეპოვებინა, მაგრამ წაგების შემთხვევაში იგი შემდეგ ეტაპზე მაინც ვერ გავიდოდა.

საბერძნეთმა მთელი ძალების დაძაბვით და დიდი თავდადებით იბრძოლა, მაგრამ ბალტიისპირელებს ვერაფერი დააკლო და იძულებული გახდა, წაგებას შეგუებოდა, თუმცა რას შეძლებდნენ ელინები ასეთ ძლიერ ნაკრებთან? ვერაფერს. მშვენიერად მოთამაშე საბონისისა და კარნიშოვასის წინააღმდეგ პეტროპოულოსის გაწვრთნილები მეტად უსუსურად გამოიყურებოდნენ.

დასაწყისში თავი შტომბერგასმა და მარჩულიონისმა გამოიდეს და მათი აქტიურობის წყალობით მე-4 წუთზე ლიტვა უკვე 8:0-ს იგებდა, მაგრამ ბერძნები იოლად დანებებას არ აპირებდნენ. მათ დასაკარგი აღარაფერი ჰქონდათ და კიდევ ოთხი წუთის შემდეგ სხვაობა შემცირდა — 14:9.

ლიტველებს ლე მანში თამაშის უფლების მოპოვება მტკიცედ გადაეწყვიტათ. მათ მეტოქის მერე კარნიშოვასის წინააღმდეგ ორჯერ დაჯარიმებით და კორონიოსის არაზუსტი შორეული სროლებით ისარგებლეს და მე-10 წუთზე 22:9 დაწინაურდნენ. პირველი ორი მატჩისას შედარებით მძიმედ და ზანტად მოქმედი არვიდას საბონისი თავდასხმაში ბრწყინვალედ ირჯებოდა, დაცვაში კი საქართველოში დაბადებული იაკოვოს ცაკალიდისის და მისიანების წინ ჩინეთის კედელივით იყო აღმართული. ლიტვას ყველაფერი გამოსდიოდა და მე-12 წუთზე იგი უკვე 26:9 იგებდა (12:0 ოთხწუთიან მონაკვეთში).

ბერძნები თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმს აკეთებდნენ, მაგრამ მატჩის მიმდინარეობის შეტრიალება ვერ მოახერხეს. მათი მეტოქის მწვრთნელმა კაზლაუსკასმა ნათლად დაინახა, რომ გუნდი მოწინააღმდეგეს ადვილად ჯაბნიდა და ვინმე ზედმეტად რომ არ გადაღლილიყო, შემადგენლობის ცვლა დაიწყო. ბალკანელებს ამან ცოტაოდენი შვება მოუტანა და მათაც ტაიმის მიწურულს მეტოქესთან თორმეტ ქულამდე მიახლოება შეძლეს — 38:26.

შესვენების წინ კი ბერძნებმა დიდი დანაკლისი განიცადეს: 9 ქულის მომხვეჭი ცენტრი ცაკალიდისი დაკარგეს. მან ქუსლის მცირე ტრავმა მიიღო. ტაიმი ექსსაჰჯოელებმა 16 ქულით მოიგეს.

მეორე ნახევარი პირველის მსგავსი სცენარით წარიმართა, ბალტიისპირელები სიტუაციის ბატონ-პატრონნი იყვნენ. მათ რიგებში უდავოდ „პორტლენდის" გიგანტი საბონისი იყო საუკეთესო. მისი და კარნიშოვასის აქტიურობით 27-ე წუთზე ანგარიშში სხვაობამ ოც ქულას მიაღწია — 59:39. მოწინააღმდეგე გუნდიდან მხოლოდ პაპანიკოლაუს გამოსდიოდა რაღაც, მაგრამ მისმა 21 ქულამ ლიტველებს ვერაფერი დააკლო.

მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო და ლიტვამაც პარიზისკენ, სადაც ტურნირი მეოთხედფინალებიდან გადაინაცვლებს, ერთი დიდი ნაბიჯი გადადგა.

ჩეხეთი 68:77 გერმანია

(I ტაიმი 33:49)

ჩეხეთი: ბარტონი (17), ბეჩკა (11), იდესი, კლაპეტკა (6), ნოვაკი (8), ოკაჩი (5), ტრმელი (5), ვაჰალა (8), ი. ველში (2), პ. ველში (6)

გერმანია: არიგბაბუ (2), ბოგოევიჩი (3), ფემერლინგი (7), ლუტკე, ნეესი (11), ნოვიცკი (23), ნიურნბერგერი (5), ოკულაჯა (10), როდლი (5), ტერდენგე (4), ტომიჩი (5), ვუჩერერი (2)

ჩეხეთი	3	2	1	228:211	4
ლიტვა	3	2	1	228:216	4
გერმანია	3	2	1	210:210	4
საბერძნეთი	3	0	3	194:223	0



AFP ანტიბიდან

იტალია — თურქეთი. იტალიამ კარლტონ მაიერსის (ბურთით) წყალობით სძლია მეჰმეთ ოქურის თანაგუნდელებს



AFP დიჟონიდან

საბერძნეთი — ლიტვა. ბერძენ ვასილიოს სულისს (№11) არვიდას საბონისი გადაეფარა

ეტაპი დამთავრდა, გაუმარჯოს ეტაპს!

AFP ტულუზიდან

იუგოსლავია პირველი ეტაპის წაუგებლად დამთავრებას ამგვარად აღნიშნავს

I ეტაპის სტატისტიკა (მითითებულია საშუალო მაჩვენებელი)

ქულა

ალბერტო ერეროსი	ესპანეთი	24,7
ლუბოშ ბარტონი	ჩეხეთი	22,3
დირკ ნოვიცკი	გერმანია	20,0
ტარიკ აბდულ-ვაჰადი	საფრანგეთი	18,7
საულიუს შტომბერგასი	ლიტვა	18,0
რობერტ გულიაში	უნგრეთი	17,3
ანტუან რიგოდო	საფრანგეთი	17,0
კარლტონ მაიერსი	იტალია	16,7
დემეტრიოს პაპანიკოლაუ	საბერძნეთი	15,7
მატიას სმოდისი	სლოვენია	15,3

მოხსნა

ჰუსეინ ბეშოჭი	თურქეთი	11,3
ვიტალი ნოსოვი	რუსეთი	9,3
ტონი კუკოჩი	ხორვატია	8,7
არვიდას საბონისი	ლიტვა	8,7
დეიან ტომაშევიჩი	იუგოსლავია	8,7
ჰარის მუეძინოვიჩი	ბოსნია	7,7
ჯიმ ბილბა	საფრანგეთი	7,3
ალფონსო რეიესი	ესპანეთი	7,3
რობერტ გულიაში	უნგრეთი	6,7
დუშან ბოჩევსკი	მაკედონია	6,7

პასი

ქერემ თუნჩერი	თურქეთი	7,0
დარიუს მასკოლიუნასი	ლიტვა	5,7
დამირ მულაომეროვიჩი	ხორვატია	5,3
ტონი კუკოჩი	ხორვატია	5,0
შარუნას იასიკევიჩუსი	ლიტვა	5,0
ლასლო კალმახი	უნგრეთი	4,7
იჯა დანეუ	სლოვენია	4,7
ვრბიცა სტეფანოვი	მაკედონია	4,3
იგორ კუდელინი	რუსეთი	4,3
კორნელ დავიდი	უნგრეთი	4,0

ჩაჭრა

სერგეი პანოვი	რუსეთი	3,3
კაი ნიურნბერგერი	გერმანია	2,67
არტურას კარნიშოვასი	ლიტვა	2,50
ნადავ ჰენფელდი	ისრაელი	2,00
ანდრეა მენეგინი	იტალია	2,00
ნიკოლაოს ბუდურისი	საბერძნეთი	2,00
ვასილი კარასიოვი	რუსეთი	2,00
დორონ შეფერი	ისრაელი	2,00
ტარიკ აბდულ-ვაჰადი	საფრანგეთი	2,00
მუსტაფა სონკო	საფრანგეთი	2,00

პო

E ჯგუფი

იუგოსლავია	3	3	0	227:181	6
რუსეთი	3	2	1	210:191	4
საფრანგეთი	3	2	1	200:196	4
ესპანეთი	3	2	1	231:229	4
სლოვენია	3	2	1	204:209	4
ისრაელი	3	1	2	191:220	2

26 ივნისი
ესპანეთი — საფრანგეთი 19:15
სლოვენია — იუგოსლავია 21:30
რუსეთი — ისრაელი 23:45

27 ივნისი
იუგოსლავია — ესპანეთი 19:15
ისრაელი — სლოვენია 21:30
საფრანგეთი — რუსეთი 23:45

28 ივნისი
ესპანეთი — ისრაელი 17:45
რუსეთი — იუგოსლავია 21:30
სლოვენია — საფრანგეთი 23:45

ლე მანი

F ჯგუფი

თურქეთი	3	2	1	188:169	4
ჩეხეთი	3	2	1	228:211	4
ლიტვა	3	2	1	228:216	4
იტალია	3	2	1	196:190	4
ხორვატია	3	2	1	198:197	4
გერმანია	3	2	1	210:210	4

26 ივნისი
ლიტვა — თურქეთი 19:15
ჩეხეთი — ხორვატია 21:30
გერმანია — იტალია 23:45

27 ივნისი
ხორვატია — ლიტვა 19:15
თურქეთი — გერმანია 21:30
იტალია — ჩეხეთი 23:45

28 ივნისი
გერმანია — ხორვატია 17:45
ჩეხეთი — თურქეთი 21:30
ლიტვა — იტალია 23:45

პარიზი

მეოთხედფინალი

1 ივლისი

E3 - F2	17:00
E1 - F4	19:15
E2 - F3	21:30
E4 - F1	23:45

პარიზი

ნახევარფინალი

2 ივლისი

E3 - F2 წაგ — E1 - F4 წაგ	17:00
E2 - F3 წაგ — E4 - F1 წაგ	19:15
E3 - F2 მოგ — E1 - F4 მოგ	21:30
E2 - F3 მოგ — E4 - F1 მოგ	23:45

პარიზი

ფინალი

3 ივლისი

მე-7 ადგილისთვის	14:45	მე-3 ადგილისთვის	18:45
მე-5 ადგილისთვის	16:30	პირველი ადგილისთვის	21:00

პირველი ხუთი გუნდი ითამაშებს სიდნეის 2000 წლის ოლიმპიურ თამაშებზე.

პირველი რვა გუნდი პირდაპირ ითამაშებს ევროპის 2001 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე.

საქართველოს ჩემპიონატი

მესამე III მატჩი ადგილისთვის

სტუ — თსუ 2:2

სამ მოგებამდე

24 ივნისი. თბილისი. სპორტის სასახლე

სტუ 91:93 თსუ

I ტაიმი 42:45

სტუ: მიქაძე (7), მოისნრაფიშვილი (10), ჩხეიძე (19), გ. ნაცვლიშვილი (14), ოთიურიძე (16); ტუღუში, გაგნიძე (4), ლოსაბერიძე (16), მინაშვილი, ცქიტიშვილი (5)

თსუ: ვეფხვაძე (16), წონელია (18), მარკოიშვილი (10), ქარაბაკი (13), არსიაშვილი (8); მგალობლიშვილი (22), ხელაშვილი (6)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, ზურაბ აბაშიძე

კომისარი: ნოდარ დარახველიძე

რომელი სტუდენტი მიიღებს სამიანს?

თუ ჩემპიონის გამოვლენა სათუოა, იმის შემდეგ, რაც თსუ-მ ანგარიში გაათანაბრა, დღეს, 25 ივნისს, ბრინჯაოს პრიზიორი აუცილებლად გაირკვევა.

წინა შეხვედრის მსგავსად, მატჩის ბედი ამჯერადაც ბოლო წუთის უკანასკნელ წამებზე გაირკვა. მეორე ტაიმის მეოცე წუთი ახალი დაწყებული იყო, როდესაც თსუ ოთხ ქულას უგებდა მეტოქეს და სულ რაღაც ცამეტ წამში სტუ-ს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა — 89:89. თსუ-ს მწვრთნელმა ნოდარ ქორქიამ წუთშესვენებით ისარგებლა და თავის კალათბურთელებს მეტი ყურადღებით თამაში მოსთხოვა. შეტევაში საუკეთესო ლევან მგალობლიშვილმა თანაგუნდელები ისევ დააწინაურა. ამჯერად სტუ-მ ისარგებლა წუთშესვენებით, შეტევაც კარგად დაგეგმა, მაგრამ მოისწრაფიშვილისა და ვეფხვაძის შეხლა-შემოხლამ მსაჯების აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ბრალი ერთ-ერთ მოთამაშეთა გარბენს აფიქსირებდა, ბაშიძე კი — ვეფხვაძის უხეშ თამაშს. მოისწრაფიშვილის წინააღმდეგ საქმეში მატჩის კომისარი ფიქრობდა, რომელმაც ძალიან წრაფიშვილს ორი ჯარიმის სროლის უფლება მისცა. სტუ-ს გამთამაშებელმა შანსი ხელიდან არ გაუშვა და ანგარიში გაათანაბრა — 91:91.

ცამეტი წამი საკმარისი დრო იყო, რათა თსუ კვლავ დაწინაურებულიყო. ქორქიამ კიდევ ერთხელ აიღო წუთშესვენება. საფუძვლიანად დაგეგმილმა შეტევამ, რომლის ავტორი ამჯერად გამოცდილი ხელაშვილი გახლდათ, შედეგი გამოიღო: თსუ-ს ცენტრს მოისწრაფიშვილიც ეუხეშა, მაგრამ ხელაშვილმა პლუს ერთი საჯარიმოს გამოყენება ვეღარ შეძლო. დარჩენილ დროში ვერც სტუ-მ გაათანაბრა ანგარიში და თსუ-მ ამ მეტად საჭირო გამარჯვებით სერიაში წონასწორობა აღადგინა — 2:2.

საერთოდ, მატჩი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. ანგარიში წინა შეხვედრის გმირმა რეზო ჩხეიძემ გახსნა, მაგრამ თსუ-მ მალე გაათანაბრა. ჩხეიძემ შემდეგაც არაერთხელ ისახელა თავი, თუმც წინა თამაშში სულ სხვა იყო...

სამაგიეროდ, მოწოდების სიმაღლეზე იდგნენ გამოცდილი ოთიურიძე და ახალგაზრდა ლოსაბერიძე. განსაკუთრებით ეს უკანასკნელი გამოირჩეოდა. იგი გუნდისათვის კრიტიკულ ვითარებაში ჰაერივით საჭირო სამქულიანებით აგულიანებდა თანაგუნდელებს. იყო მომენტები, როდესაც სტუ ცხრა ქულითაც კი გავიდა წინ. თსუ ანგარიშში სხვაობას კი ამცირებდა, მაგრამ წინ გასვლა ვერა და ვერ მოახერხა. გუნდის ლიდერები: ქარაბაკი, წონწელია და მარკოიშვილი კარგად თამაშობდნენ, ოღონდ წინა შეხვედრებში ბევრად უკეთ გამოიყურებოდნენ. სამაგიეროდ, სასიამოვნო სიურპრიზი შემოგვთავაზეს ვეფხვაძემ და, განსაკუთრებით, მგალობლიშვილმა. მათ თითქმის ყველაფერი გამოსდიოდათ: პასები, ჩაჭრები, ორქულიანები, სამქულიანები და საჯარიმოებიც.

სწორედ ლევან მგალობლიშვილის დამსახურება გახლდათ, რომ ტაიმის ბოლოს გააქტიურებული თსუ შესვენებაზე სამქულიანი უპირატესობით წავიდა — 45:42.

მეორე ტაიმი, პირველის მსგავსად, სტუ-ს შტურმით დაიწყო და იგი მეექვსე წუთისთვის ამჯერადაც დაწინაურდა. მერე კი ვეფხვაძის და მგალობლიშვილის აქტიურობამ გამოიღო შედეგი და თსუ-მ ანგარიში გაათანაბრა. აღსანიშნავია, რომ თსუ-ს კალათბურთელებს საჯარიმოებში ასპროცენტიანი შედეგი ჰქონდათ.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე კი უდავოდ ლევან მგალობლიშვილი იყო. სწორედ მისმა საუცხოო თამაშმა გადაწყვიტა მატჩის ბედი თსუ-ს სასარგებლოდ. მან გუნდს 22 ქულა შესძინა.

როლანდ ლაგუჩიძე





ფოტო ალექსანდრ ფეფელაშვილისა

სტუ — თსუ. სტუ-ელი ლაშა ლოსაბერიძე (№11) გოჩა არსიაშვილისგან წინააღმდეგობას წააწყდა

თსუ-ს მთავარი მწვრთნელი ნოდარ ქორქია სიხარულს ვერ მალავს: მისმა გუნდმა სერიის ანგარიში გაათანაბრა

იყიდება

თეთრი. გამჭვირვალე ორგანული მინა.

3 მილიმეტრიანი

ტელეფონი: 95-22-56 (სანდრო) 95-05-57 (მალხაზი)

(საღამოს საათებში)



ფედერაციის პრეზიდენტმა გოგი ქათამაძემ (მარცხნივ) ჯერ სამდივნოს მიუთითა...

...მერე კი მწვრთნელებს, ზურაბ ტომარაძეს (მარცხნივ) და ოთარ ხმელიძეს (შუაში) მოუწოდა წესრიგისკენ



ზურაბ დოლენჯაშვილის ფოტოები

ვითელი ნუგზარ კოკოლიშვილი (მარცხნივ) და რუსთაველი ლევან ჯიმშელეიშვილი (№15) ბურთისკენ მიიწევენ

გატეხილი ღამე და აზოტი

სპორტის სასახლეში ტკბილად წამოწვიმა

ფინალი
III მატჩი

აზოტი — ვითა 2:1
საბ მოგებაბადე

24 ივნისი. თბილისი. სპორტის სასახლე

აზოტი 65:78 ვითა

I ტაიმი 35:37

აზოტი: ჟღენტი (13), გაბისონია (3), გოგობერიშვილი (11), ბაბიაშვილი (7), ჯაფარიძე (19); ბერუაშვილი (11), ჩაჩუა (1), ჯიმშელეიშვილი

ვითა: უსტიაშვილი (3), დავითულიანი (15), ბაქრაძე (6), ორმოცაძე (10), კორძაძე; ტურაშვილი (21), აბრამიძე, ახალკაცი (1), კოკოლიშვილი (6), ჩუბინიძე (16)

მსაჯები: მურმან ქურიძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: როლანდ ხომერიკი

შეხვედრის დამთავრებამდე ხუთიოდე წამილა რჩებოდა, გამარჯვებული გუნდის ვინაობა ცნობილი იყო: „ვითა“ 76:65 იგებდა. ფარ-ხმალი დაეყარა „აზოტსაც“, კალათბურთელები ბედს შეგუებოდნენ და დარჩენილ დროში შეტევა აღარც უცდიათ — ბურთი იატაკზე დადეს...

ასეთ დროს, როგორც წესი, ბურთს აღარავინ ეკარება, თუმცა რა დროს ეგეთება, ფინალურმა მღელვარებამ მოთამაშეებს თავიც დაავიწყა და ადათწესების არსებობაც. ბურთი, რომელიც ორი ტაიმის განმავლობაში მეტოქეთა დავის მთავარი საგანი იყო, ახლა უძრავად იდო მოედანზე...

მას ირაკლი ბაქრაძე დასწვდა, წამზომს ახედა, მოტრიალდა და „აზოტის“ კალათისკენ გაექანა, გაექანა და გულში თუ რამ ბოლმა დაგროვებოდა, სულ ერთიანად ამოანთხია — ჩატენა და გულიც მოიოხა.

ბაქრაძის ეს ჩატენილი არც არავის სჭირდებოდა თავად ბაქრაძის გარდა, აღარაფერს წყვეტდა და იმიტომ.

მაგრამ ეს ჟესტი ძალიან ტევადი იყო. ამით ვითელების ხასიათი გამოჩნდა — უტეხი და შეუპოვარი.

ან კი რა ჰქონდა დასაკარგი „ვითას“. მათ მხოლოდ მოგება სჭირდებოდათ, წინააღმდეგ შემთხვევაში გუნდი საჩემპიონო გვირგვინს დაკარგავდა.

არ დაგავიწყდეთ, ექვსგზის ჩემპიონი ვარ და უბრძოლველად არაფერს დაგითმობთო, აგრძნობინეს გუშინ რუსთაველებს. გუნდმა, ჩვეულად, მართლაც რომ ჩემპიონურად ითამაშა, მძლავრი „აზოტი“ ღირსეულად დაამარცხა და თითქოს გახუნებული საჩემპიონო შანსები კვლავაც შეაფერადა.

მატჩის შემდეგ „ვითას“ მთავარ მწვრთნელ ზურაბ ტომარაძეს რომ ჰკითხეს, წუხელ თუ გეძინათო, რა დამაძინებდა, მთელი ღამე ფიქრში გავატარეო, უპასუხა. ასეა, იფიქრა მწვრთნელმა და ნაზრევს მოედანზე ფრთებიც შეასხა. ტყუილად არ გაუტეხავს ტომარაძეს ღამე, მრისხანე „აზოტის“ საწინააღმდეგოდ ისეთ ხერხს მიაგნო, რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა გუშინ ვითელთა წარმატება: აქამდე ჩრდილში მყოფი ირაკლი ბაქრაძე რუსთაველთა ვერცხლისწყალივით მოძრავ არჩილ ჟღენტს აადევნა. ამით მწვრთნელმა აზოტელთა შემტევი პოტენციალ ერთიორად დაკნინა, რადგან დაცვითი თამაშით სახელდაგდებული ბაქრაძე ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა „აზოტის“ გამთამაშებელს. ამიტომაც იყო, რომ ჟღენტმა სრულად ვერ გამოავლინა თავისი შესაძლებლობები. სამაგიეროდ, ბაქრაძის უნარი წარმოჩნდა — ტომარაძის დავალებას ირაკლიმ ბრწყინვალედ გაართვა თავი, რამაც გუნდი გამარჯვებამდე მიიყვანა.

ეს ერთ-ერთი და ყველაზე მთავარი წინაპირობა გახლდათ ვითელთა წარმატების, თორემ საყვედური არც დანარჩენებზე დასცდებოდა ტომარაძეს — ყველამ გაუმართლა.

რუსთაველები კი... აშკარად დაღლილები ჩანდნენ. სკამის სიმოკლემაც თავი იჩინა და მათი მარცხი ლოგიკურიც გახლდათ.

აბა, ისე როგორ იქნებოდა, ყველაფერს მშვიდად, ყოველგვარი გართულებების გარეშე ჩაევლო. მსაჯების მიმართ პრეტენზიებს ახლაც ბოლო არ უჩანდა, თუმც, საბედნიეროდ, დავა-კამათი შეხლა-შემოხლაში არ გადაზრდილა.

თავდაპირველად ალეკო დავითულიანის ნასროლი ჩაეშვა კალათში, რასაც მანვე ზუსტი პერსონალურიც მიაყოლა. ბაბიაშვილმა სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა, მაგრამ ისევ დავითულიანის გარღვევა და სხვაობა კვლავაც სამი ქულაა.

რუსთაველთაგან პირველი ირაკლი ჯაფარიძე გამოერკვა, რომელიც ფარის მისადგომებთან საიმედოდ ჩაეკეტათ ვითელებს. ჯაფარიძემ ჭკუა იხმარა, ცენტრის პოზიციიდან უკანახა ზისკენ ამოიწია, ბურთის მიღება უფრო გაუადვილდა და ზედიზედ ორჯერ სამიანით დასაჯა მეურვე გოდერძი კორძაძე.

ტომარაძემ არ დააყოვნა, კორძაძეს ჩუბინიძე შეუნაცვლა და ჯაფარიძის გაუვნებლება სწორედ მას მიანდო. ჩუბინიძემ „გეგმას გადააჭარბა“, ჯაფარიძეც ამოკეტა და თავისიანთა ზედიზედ სამი შეტევაც თავად დააგვირგვინა.

ამასობაში სამნახევარი წუთი ისე გაილია, „აზოტს“ ქულაც არ აეღო და „ვითას“ მეტი ფხა რომ გამოეჩინა, სხვაობა გაცილებით დიდი იქნებოდა. თუმცა მოედანზე მამუკა ტურაშვილიც გამოჩნდა, რომელმაც შემოსვლისთანავე დალაშქრა მეტოქის კალათი, სულ მალე იგივე კვლავაც მოიმოქმედა და რუსთაველები რვა ქულით ჩამორჩნენ მოწინააღმდეგეს — 12:20.

ოთარ ხმელიძემ წუთშესვენება ითხოვა, მაგრამ ამან „აზოტის“ მდგომარეობა ვერ გამოასწორა, „ვითა“ ექვსირვა ქულით ამის შემდეგ დიდხანს ლიდერობდა. დავითულიანი, ჩუბინიძე და ტურაშვილი წამოწევის საშუალებას არ აძლევდნენ რუსთაველებს, რომლებიც ვერაფრით ახერხებდნენ ფარზე გაბატონებას, რადგან ვითელები ძალიან შეთანხმებულად მოქმედებდნენ დაცვაში და ერომანეთსაც დროულად აზღვევდნენ.

სხვა გზა რომ აღარ დარჩენოდა, ჯაფარიძემ ისევ შორიდან სცადა მეტოქის დარბევა, პირველივე ცდა ზუსტი სამიანით დაასრულა, რამაზ გოგობერიშვილსაც წაუვიდა შორეული სროლები და „აზოტს“ ორი ქულაღა აშორებს მეტოქეს. ტაიმიც ასე დამთავრდა.

შეხვედრა ხუთიოდ წუთის დაგვიანებით განახლდა. ამის მიზეზი მატჩის არბიტრი მურმან ქურიძე იყო, რომელიც უსაფრთხოების გარანტიას ითხოვდა, მსაჯები ყოველგვარი ექსცესებისგან დაცული უნდა ვიყოთო, თავისაზე იდგა ქურიძე, თუმცა...

გუნდებმა თამაში განაახლეს. ტურაშვილის ნასროლმა მხოლოდ მეორე ცდაზე მიაღწია მიზანს. ორ წუთში ჯაფარიძემ სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა, თუმცა ისევ ტურაშვილისა და ჩუბინიძის სიზუსტის წყალობით „ვითა“ კვლავაც მოსწყდა მეტოქეს — 45:39.

ახლა გოგობერიშვილმა აიწყვიტა, ზედიზედ ორი შეტევა დააგვირგვინა და ერთი ჯარიმაც ჩააგდო, როდესაც მასთან ორთაბრძოლისას კოკოლიშვილმა მეოთხე პერსონალური მიიღო.

ცოტაც და „აზოტი“ ანგარიშსაც გაათანაბრებს, ჟღენტმა ესროლა კიდეც, თუმცა ჩუბინიძემ ბურთი ფარიდან ჩამოხსნა, რამაც რუსთაველი კალათბურთელების და მათი მრავალრიცხოვანი ქომაგების აღშფოთება გამოიწვია: აქაოდა, მსაჯებს ის ბურთი უნდა ჩაეთვალათ, რადგან ჟღენტის ნასროლი კალათში ეშვებოდა, ჩუბინიძემ კი არ აცალაო.

ატყდა ერთი ამბავი. ვაი-გულშემატკივრებმა პროტესტის სახით „კოკა-კოლას“ და „სპრაიტის“ ბოთლებიც მოისროლეს მოედანზე და შეხვედრაც, ასე, ათი-თხუთმეტი წუთის შემდეგ გაგრძელდა. ჯერ ფედერაციის პრეზიდენტი გოგი ქათამაძე ესაუბრა მწვრთნელებს, შემდეგ ქურიძემ გუნდების კაპიტნები გააფრთხილა მკაცრად და...

ჟღენტმა მაინც თავისი გაიტანა და მატჩის დამთავრებამდე თორმეტი წუთით ადრე ანგარიში მართლაც გათანაბრდა — 45:45. შემდეგ ტურაშვილის ჯერი დადგა. მამუკამ თამაშიდანაც მოათავსა და საჯარიმო ხაზიდანაც საკმაოდ ყარა. მას ორმოცაძემაც ხელი წააშველა და „ვითამ“ სამწუთიანი 12:4 მოიგო.

მატჩის დამთავრებამდე სამი წუთიღა რჩებოდა. „აზოტი“ მარცხის გვრიანი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, თუმცა არ შედრკა და ჟღენტმა ამ შეხვედრაში ერთადერთი ზუსტი სამიანით თანაგუნდელებს კვლავ შეუნარჩუნა წარმატების შანსი.

„ვითა“ განერვიულდა, გუნდმა ჯერ ოცდაათი, შემდეგ კი ათი წამის წესი დაარღვია, რითიც „აზოტმა“ ისარგებლა და წუთნახევრით ადრე ორი ქულაღა რჩებოდა გასაქვითი.

გოგობერიშვილმა სწრაფად შეუტია, მაგრამ გადაცემა არ გამოუვიდა, „ვითას“ საპასუხო იერიშისას კი გაბისონია დაჯარიმდა მეხუთედ — ჩუბინიძემ ორივე ჯარიმა გამოიყენა. რუსთაველების მომდევნო შეტევისას ბერუაშვილმა მოსინჯა შორი მანძილიდან სროლა — უშედეგოდ. ჟღენტი უსტიაშვილზე დაჯარიმდა და არც დათოს უმტყუნა მიზანმა.

ცხადი იყო, შვიდქულიან ჩამორჩენას „აზოტი“ ორმოცდათექვსმეტ წამში ვეღარ გააქარწყლებდა. მოთამაშეები ჯარიმებს იღებდნენ, იმ იმედით, იქნებ მეტოქეთ ნასროლები გაუცუდდეთო, მაგრამ...

გიორგი ბიკაშვილი

მატჩის შემდეგ

„აზოტის“ მთავარი მწვრთნელი **ოთარ ხმელიძე** ,,ჯერ ვერ ეყო ხასიათზე. არც გაუტყუნებოდა, რადგან ერთი ნაბიჯია“ იყო ჩემპიონობამდე, მაგრამ „ვითა“ ის გუნდი აღმოჩნდა, ზედიზედ სამჯერ დამარცხდა და ისიც ფინალში.

— ბატონო ოთარ, ერთადერთი მოგებაღა გაშორებთ ჩემპიონობასთან და გუნდი რომ გადიოდა მოედნიდან, ხომ მოგხსნიდნენ ასპარეზობიდან?

— აქვს კი აზრი ჩემპიონატის გაგრძელებას? ხომ ხედავთ, როგორ გვაიწროვებენ.

— კონკრეტულად რა გაქვთ მზედველობაში?

— მარტო ორმოცაძემ გააკეთა თხუთმეტი გარბენი, რომელიც არ დაფიქსირებულა. არც იმაში ვარ დარწმუნებული, რომ კოკოლიშვილისა და აბრამიძის უხეშობა, შესაბამისად, ჟღენტისა და ჩაჩუას მიმართ, შემთხვევითი იყო. იცით, მეორე ტაიმის დაწყება რატომ დაგვიანდა? მსაჯებს გასახდელში მიეჭრნენ და დანით აშინებდნენ, ისინი კი უსაფრთხოების მიზნით დაცვას ითხოვდნენ.

— თუ მისცეს მსაჯებს უსაფრთხოების გარანტია?

— რომელ გარანტიაზეა საუბარი. აიძულეს, რომ ემსაჯათ.

— თქვენი აზრით, ვის უნდა მოეხდინა მსაჯებზე ზეგავლენა?

— არ ვიცი, ჩვენი წარმომადგენლები რომ არ ყოფილან, ამაში კი ნამდვილად დარწმუნებული ვარ.

— „ვითას“ მისამართით რომ მოედანზე „სპრაიტისა“ და „კოკა-კოლას“ ბოთლები ცვიოდა, ამაზე რას გვეტყვით?

— მაყურებელიც მიხვდა, რაც ხდებოდა მოედანზე და ამიტომაც იყო რეაქცია.

— თქვენი საუბრიდან გამომდინარე, თამაში მსაჯებს მოუგიათ და არა „ვითას“.

— „ვითამ“ კარგად ითამაშა, დამსახურებულადაც გაიმარჯვა, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნე, მსაჯებზე ზეწოლა მოახდინეს...

— გამორიცხული არაა, წაგებული მატჩის შემდეგ ტაქტიკური გადანაცვლება მოახდინოთ გუნდში. ვერ გვეტყვით, კონკრეტულად რა ცვლილებები იქნება?

— ჯერ თვითონაც არ ვიცი, მაგრამ ცვლილებები ნამდვილად იქნება.

კოლეგისაგან განსხვავებით, „ვითას“ მთავარი მწვრთნელი **ზურაბ ტომარაძე** ამჯერად ხასიათზე იყო და მილოცვებსაც ვერ აუდიოდა.

— ბატონო ზურაბ, თქვენი კოლეგა ამბობს, მსაჯებს შესვენებაზე დანით დაემუქრნენ და ამიტომ მიკერძოებულად იმსაჯესო. თქვენ თუ ხართ საქმის კურსში?

— მე ჩემს ბიჭებთან ერთად გასახდელში ვიმყოფებოდი და თამაშის განხილვით ვიყავით დაკავებული. ვინ რა უთხრა მსაჯებს და რა ზეგავლენა მოახდინეს მათზე, არ დავინტერესებულვარ და, მართალი გითხრათ, ამისთვის არც მეცალა. მსაჯობა რომ მოისუსტებს, ამაში კოლეგას ნამდვილად ვეთანხმები.

— კონკრეტულად რამ განაპირობა „ვითას“ წარმატება?

— კარგად ვითამაშეთ დაცვაში და ამიტომაც მივაღწიეთ წარმატებას.

განსაკუთრებით მინდა გამოვყო ირაკლი ბაქრაძე, რომელმაც გასაქანი არ მისცა არჩილ ჟღენტს და პირველ ტაიმში ქულაც არ გააკეთებინა. კარგი იყო ორმოცაძეც და, საერთოდ, ყველამ კარგად ითამაშა.

— გოდერძი კორძაძეს როგორ აქვს ტრავმირებული ხელი, სერიოზული ხომ არაფერია?

— სერიოზული არაფერია, მაგრამ დაზიანებული აქვს და მთელი შესაძლებლობით ვერ თამაშობს.

— ზედიზედ სამი შეხვედრის შესახებ რას გვეტყვით, მოასწრებენ კალათბურთელები ენერგიის აღდგენას?

— თუ მეტოქეს ხელს აძლევს, მე თანახმა ვარ. ისე, ჩემთვის არც სპორტის სასახლეში თამაშის შესახებ უკითხავთ რამე. თანახმა ვიყავი თუ არა, არავინ დაინტერესებულა. მე ვერის ბაღის საკალათბურთო სასახლეში თამაშობდ ვემზადებოდი და მხოლოდ წინა დღით შემატყობინეს, რომ შეხვედრა სპორტის სასახლეში ჩატარდებოდა. მარათონის შემთხვევაში, ჩემი აზრით, გრძელი სკამის გამო უპირატესობა ჩვენს მხარეზე უნდა იყოს.

როლანდ ლაბუჩიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალი, თხილამურები და კოსტიუმი

ეს შოუა, რომელიც ბანგკოკის ახლო, მდინარე ჩაო პრაიაზე გაიმართა. ძველი დროის მოთხილამურე, ახლა კი წარმატებული კასკადიორი ჯეფ პენი ჯეიმს ბონდისებრ გამოწყობილა და ტაიურ ნავს ჩაბმული დასრიალებს წყალზე. პენს უკვე ორი ათასი ამგვარი შოუ გაუმართავს ამერიკაში, ევროპასა და აზიაში. მისი შემოსავალი კი ამ ჯერზე საქველმოქმედო საქმეს მოხმარდება.

REUTERS ბანგკოკიდან

REUTERS ველინგტონიდან

როცა ქალია ხელმწიფე

ფრანგ მორაგბეთა გუნდი სამხრეთშია და ზელანდიის „ოლ ბლექსთან" აგებს. თუმცა, ეს ხელს არ უშლის ომში დამარცხებულ მამლებს, ველინგტონში გამართულ კულტურულ ღონისძიებებში გულიანად ჩაერთონ. ერთ-ერთი ასეთი შეკრების დროს ფრანგთა და ზელანდიელთა კაპიტნები რაფაელ იბანესი (მარჯვნივ) და ტეინ რენდალი შეეცადნენ, ზელანდიის პრემიერმინისტრ ჯენი შიპლისთვის რამდენიმე მარტივი სარაგბო ილეთი ესწავლებინათ.

პირველი ქალი

ევერესტი ჩვენიცაა და სხვისიც. ამიტომ სახრეთაფრიკელი კეიტ ოდოუდი (მარცხნივ) უკვე პირველი ქალია დედამიწის ზურგზე, ორი მხრიდან რომ ასულა უმაღლეს მწვერვალზე. ამ ლაშქრობისას კეტი იან ვუდოლთან და პემბა შერპასთან ერთად ასულა ღმერთების მოსასვენებელ ადგილას.



REUTERS ევერესტიდან



REUTERS სიდნეიდან

ფული სახალხო ყვანჯებისთვის

გამოჩენილი ავსტრალიელი ყვანჯოსან-მეგოლფე გრეგ ნორმანი თავისი ოფისის იმ ფანჯარასთან ესაუბრება ჩვენთვის უცნობ ჟურნალისტს, რომლიდანაც სიდნეის ნავსადგური ჩანს. ამჯერად ეს არა საუბარი მხოლოდ გოლფს ეხება, არამედ ბიზნესსაც. ნორმანის ფირმა „მედალისტ გოლფ დეველოფმენტსი" დიდ ავსტრალიურ ბანკ „მაკარი ბენქ შპს"-ს შეკვრია, რათა სახალხო გახადოს გოლფი ამერიკასა და ავსტრალიაში.

ბარი ბონდსის სიხარული

„სან ფრანცისკო ჯაიანთსის" ბეისბოლისტ ბარი ბონდსს, თავისი ვაჟი ნიკოლაი ჩაუკრავს და თავისსავე მწვრთნელის დასტი ბეიკერის ხოტბას ისმენს. „მილუოკი ბრუერზთან" ბარიმ ჩინებულად ითამაშა და მწვრთნელს ქების სიტყვები ამადაც არ დაუშურებია. ისე, კი ბონდის მიერ გახერხებული ჰოუმრანი ბარე მეტსაც იმსახურებს...



REUTERS სან ფრანცისკოდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29